From the tragedies of the ancient Greek dramatists Aeschylus, Sophocles, and Euripides to the works of so-called postdramatic playwrights, the central narrative of dramatic literature has consistently been the representation of the geopolitical and social circumstances of each historical era. In his book *Political Theatre*, Erwin Piscator writes: “All theatre is political—from the earliest times to bourgeois and proletarian political theatre. I chose the name ‘political’ for my theatre because the bourgeoisie justifies itself by claiming that its theatre has nothing to do with politics”.⁴

As civilization has evolved, drama and theatre have continually transformed in response to the changing spirit of each era. Genres, artistic movements, representational strategies, and performance practices have undergone constant change in both European and Asian theatre.⁵ Documentary and political theatre, however, are specifically products of the twentieth century. Their origins can be traced to the work of German Expressionist playwrights and directors. Erwin Piscator gave this movement its mature form, while Bertolt Brecht developed it further in his own way, formulating the theory of “epic theatre” and the “alienation effect”, borrowing the term “epic theatre” from Piscator. In doing so, Brecht fundamentally transformed both the formal and conceptual foundations of theatre.

Beginning in the twentieth century, pre-existentialist* thinkers, followed by existentialist playwrights and the creators of the Theatre of the Absurd—whose works emerged from the spiritual and

3 Warlikowski, The International Message; <https://www.youtube.com/watch?v=v3fdXeALBzk>
<https://culture.pl/en/article/warlikowskis-message-for-world-theatre-day-2015> (Last seen on 22.07.25)

4 ПИСКАТОР Э. Политический. 1934. Ст. 40

5 ბარბა, სავარგზე ანთროპოლოგია, „კენტავრი“, 2025.

material crises brought about by the First and Second World Wars – created a form of drama radically different from anything that had existed before. Inspired by Søren Kierkegaard's search for a new conception of God, Friedrich Nietzsche's proclamation of the death of God, Sigmund Freud's psychoanalysis, Carl Gustav Jung's analytical psychology, and the exploration of archetypes within both the conscious and unconscious mind, these playwrights completely dismantled the traditional structure of drama and constructed entirely new dramaturgical forms. These "forgers of myths" deconstructed inherited myths to create new ones.

For example, the plays of Heiner Müller – and much of the contemporary drama that followed him – can be understood as extended monologues: unified textual structures whose deeper layers engage in associative dialogue with ancient and newly created myths, other authors, and fictional characters. Since the 1970s, world theatre has existed within what is commonly described as a postmodern or postdramatic condition (although scholars continue to debate the appropriateness of these terms).

What, then, is postdramatic theatre? Drawing upon the work of both theatre practitioners and scholars – including Peter Brook, Hans-Thies Lehmann, Jerzy Grotowski, Eugenio Barba, Nicola Savarese, Mikheil Tumanishvili, Richard Schechner, among others—it may be understood as a form of theatre that encompasses all previously existing theatrical forms and narratives without rejecting any of them. Instead, it reinterprets and reconfigures them in distinctive ways, both in dramaturgy and in stage practice. To paraphrase Peter Brook, what ultimately matters is preserving the energy, the spark, from which "living theatre" is born.

Whether illusionistic or epic, verbal or non-verbal, physical, dance-based, interactive, multimedia, or otherwise, "living theatre" may ultimately be understood as contemporary theatre – one that reflects and critically engages with the political and social realities of the present.

Discussion

Many important performances have been staged by directors of different generations in different theaters. I would like to highlight a few of them, which, by interpreting classical works artistically, convey political and social problems relevant to our time.

These are: *The Nose*, based on the story by Nikolai Gogol, staged in the Theater Factory 42 by a representative of the older generation, Levan Tsuladze; *Liberté* by young director Data Tavadze based on the text by Marquis de Sade at the Royal District Theater; Gega Gagnidze's (graduated from university just a few years ago) *Joseph* based on Franz Kafka's novel *The Trial*, a production of the Theater on Atoneli.

During the 100 days of strike, mainly private, independent theaters were actively involved. Among the state theaters, only the Vaso Abashidze New Theater participated by refusing to resume performances even when the majority of the theaters on strike began their shows. Its artistic director believed that it would be immoral to end the strike while their actor, Andro Chichinadze, remained unjustly imprisoned. While other state theaters did not officially declare a strike, they nonetheless refrained from performing. State authorities, the Ministry of Culture, punished the New Theater, a leader in terms of audience attendance, by dismissing its artistic director, Davit Doiashvili. They failed to appoint a successor, as they clearly understand that no theater professional with a conscience would agree to lead the theater under these conditions. Consequently, the theater has not functioned to this day. Private, independent theaters, whose revenue depends on ticket sales and projects, found themselves in a difficult economic situation during the strike. Yet they stood and continue to stand firm in defense of civilized values. As mentioned earlier, they changed the form of protest—today, they address the audience from the theatrical stage regarding these urgent and pressing issues.

Levan Tsuladze staged Gogol's brilliant story, *The Nose*, for the second time, the first time in the Basement Theater on Rustaveli Avenue, this time in the theater he founded, Theater Factory 42. I believe that the director's decision, both then and now, was determined by the political and social situation in our country. Although these two productions are almost 30 years apart, then and now, Georgia, like the rest of the world, is shaken by the fluctuations of the "transitional era". In the early 21st century and even today, Georgia remains a socially vulnerable country plagued by a corrupt government system and destructive political foreign policy. In the 1990s and now, the country stands on the brink of an abyss,

and fundamental changes and reforms are essential for its survival.

To convey this situation, Levan Tsuladze turned to Gogol's story, in which the writer of Ukrainian origin, in his characteristic phantasmagoric and sarcastic style, artistically depicted the existence of corrupt state structures under autocratic rule, the excessive greed of officials, the sacrifice of everything for career advancement, the desire to have a position as a means of enrichment, society transformed into an impersonal mass, the degradation of a person devoid of spirituality, his transformation into an "empty place", a life where there is no room for love, friendship, or compassion. Unfortunately, the problems reflected in Gogol's *The Nose*, written two centuries ago, are still very relevant in our country today.

In Levan Tsuladze's play, only the plot of the story is used. Still, while creating the stage text, the director preserved the artistic style of the work: its phantasmagoria, carnivalesque nature, satirical-grotesque absurdity of the drama, and comic delivery of the dramatic tale. He employed the buffoonery form of street theater. The characters in the play are nameless; the director created common types.

The director pulled the state official's (Nika Kuchava) nose (Nika Khrikuli), lost in his sleep, from a trash can. Following the director's instructions and choreographer Tinatin Tsuladze's movement patterns, the actor uses non-verbal body language to depict the consistent rise of a man "born" from trash, as he usurps someone else's property: clothes, shoes, rank, women.

In the world depicted in Levan Tsuladze's play, everything human has disappeared, and people themselves have become empty, impersonal beings. In the finale, Nika Khrikuli's runaway nose, having achieved high positions in government service, offers to return everything to its former owner, Nika Kuchava's Kovalyov, whose nose he once was, in exchange for occasionally resting his feet on Kovalyov's back. Levan Tsuladze ends the performance extremely pessimistically: after a little hesitation, Kuchava's official agrees to become the footstool of the former nose.

In the dramatic finale, the witches recount the Devil's last visit to Earth. Even Satan was stunned and saddened by human treachery, remarking that

they had outpaced Hell in their wickedness. "What happened to you, people? How did you become so corrupt, so skilled in everything that I was supposed to be teaching you? (...) In Hell, everything is built on remorse and regret, but what conscience or regret can we speak of today? Who regrets anything anymore? Who has remorse? Hell has been abolished and has moved into the human world." The Devil's monologue, written by Levan Tsuladze, is very profound. It leaves you heavy-hearted, wondering: what has become of man, what values do people live by today, or do we have any values left at all? "Give me media sources, and I will turn any nation into a herd of swine," Baia Dvalishvili's witch-journalist paraphrases Joseph Goebbels' statement in response to Nika Kuchava's character when he asks for help in uncovering the truth.

The victims of the deliberately created scandal were Data Tavadze and his original play *Liberté*, which premiered on October 30, 2024 (in his own text, Data Tavadze used excerpts from classical works from various eras, including the philosophical thoughts of Marquis de Sade). I specifically highlighted the premiere date because a part of our society, so-called "true Orthodox" hypocrites, controlled by government structures, "discovered" almost a year later that the play was "blasphemy against God," "preaching debauchery," etc. A frenzied crowd swarmed the Royal District Theater like devils, pelted the actors with eggs, and threatened them with physical violence. The director was terrorized and forced to leave the country. All this happened because of Data Tavadze's civic position. For the past 2-3 years, he did not avoid it and actively and loudly criticized the government's political course, the rigged elections, the social injustice in the country, demanding the release of young people imprisoned on trumped-up charges, etc. This is precisely what the director was not forgiven for and, perhaps, even threatened with arrest when Data Tavadze, who was on a business visit to Bratislava, received a message from government agencies not to return to Georgia. The saddest thing is that representatives of the artistic sphere were also found among these aggressive "hypocrites".

Data Tavadze's *Liberté* is a production based on historical facts of 18th-century France, a text saturated with fragments from Marquis de Sade's *Philosophy*, which is directed against the depravity, hypoc-

ris, and godlessness prevalent in society. I believe that for the first time in Georgia, the staging, in form and structure, is a practical realization of the theoretical works of Antonin Artaud. He threw the truth in society's face for its awakening; one might say it was a slap in the face. Four actors: Natuka Kakhidze, Magda Lebanidze, Sandro Samkharadze, and Gaga Shishinashvili do their best physically, intellectually, and emotionally for two hours, never allowing the audience to relax for a minute.

The story in *Liberté* mainly reflects the events that took place in France during the reign of Louis XV. At that time, the supreme sovereign and his entourage, immersed in a whirlpool of luxury, extravagance, and gluttony, where various types of orgies had become the norm of life, utterly ignored the hardships of the people. The common people of France, socially vulnerable and completely unprotected, were practically starving. Louis XV, his mistresses, the Marquise de Pompadour or the former prostitute Madame du Barry, and the royal court, immersed in a whirlpool of debauchery, were draining the state treasury. To satisfy their demands, the burden of replenishing the empty treasury fell solely on the Third Estate (peasants, artisans, merchants, and entrepreneurs), while the nobility and clergy remained tax-exempt by royal decree. This attitude towards the country and people ended with the French Revolution (1789-1799) and the democratic reforms of that period. Before that, in 1757, a simple citizen, a working man, Robert-François Damien, embittered by poverty and injustice, stabbed the king with a knife on the square at Versailles. The Grand Chamber of Parliament sentenced the attacker to death. As a public example, Damien was subjected to inhumanely cruel torture, and finally, his tormented body was drawn and quartered by horses.

It is precisely based on these historical facts that Data Tavadze and the creative team created and effectively presented the story in *Liberté*. This is a production that reflects the new times, the events taking place in our country and the world: endless wars, violence, injustice, corruption, human degradation, spiritual exhaustion, impersonality, ruthlessness towards each other, striving for gain, power, depravity, hypocrisy. After watching *Liberté*, you experience what Aristotle once called *catharsis*. The director created a finale that seemed unexpected, yet at the same time, perfectly aligned with Ar-

taud's theatrical aesthetics: after presenting this indescribable sinful nature of people, the actors go to the audience sitting on the stage, lift each other, and lead them towards each other for an embrace. So, hugging a stranger to you, you stand for several minutes and think, think, think... what is a human, why and for what purpose do we do all this? Your heart aches, but gradually, embracing a stranger, you are filled with an amazing feeling of love for a fellow man.

Every component of *Liberté* is in perfect harmony with the director's concept, including Nika Pasuri's musical score, which accentuates, shapes, emotionally fills and intensifies the mood; Ketik Nadibaidze's minimalist scenography, where lighting designed in half-tones carries immense significance; or Simon Machabeli's stylized costumes, created according to the fashion of 18th-century France, decorated with various details that hint at different periods in the history of civilization.

In the performance, you will recognize significant texts from various eras in different episodes. The construction of scenes will bring to mind paintings by famous artists or sculptures carved in stone. For instance, Sandro Samkharadze's character, dressed in a medieval knight's armor, is simultaneously a hero and a weak creature, with his backside exposed. He slowly walks up the stairs towards Natuka Kakhidze's character, who has one breast bared. Visually, the episode will remind you of Botticelli's *Birth of Venus* and *Madonna and Child*. Today, the hypocritical sycophants of the powerful people in our country quietly, stealthily, secretly filmed part of this very scene, despite the theater's strict prohibition. They passed off thoughts of Marquis de Sade as a text written by Data Tavadze and released it on social networks, claiming: "Look who is fighting our country's sinless rulers". The government media wasted no time in broadcasting segments condemning these "blasphemers". Pseudo-believers, pseudo-patriots, and pseudo-humans raised a hue and cry: "This is blasphemy! They have insulted our beloved Christ! Help us, let us protect our morality, our Georgian essence! A woman is a woman! A man is a man!", and so on. These pseudo-Christians took their revenge on Data Tavadze and the theater both verbally and physically, "out of love for Christ". As a result, one of the best recent performances created in the Georgian theater space was banned. In the 21st century, people decided

to return to the early Middle Ages. They want to burn progressive individuals and artists in the fire of the Inquisition. Just as in ancient times, the Sadducees and Pharisees of our days commit these acts in the name of Christ, the preacher of supreme love, kindness, and forgiveness.⁶

“They will continue the talk that started long before us; they will continue after us, and perhaps even after their tongues are cut out. Priests of speech – storytellers from entirely different times – without the fear of losing time, almost fearlessly; against the backdrop of momentary excitement – at the point of a short burst, or even endlessly – in parallel with the bloody suppression of some peaceful demonstration – at the moment of slipping out of the joints of history, without any connection to time, completely out of time. When their term expires, they will say “Revolution”; they will think of a place of action – in the Bastille, in the Winter Palace, in Tbilisi, or in crowded Tahrir Square. 1789? 1917? 1989? 2011? What does it matter...”⁷ This was the introduction the theater gave to *Liberté*. If you enter these words into the Google search engine, it immediately shows several website addresses. Among them is BILETEBI.GE dated April 2025, where it is marked in red that all tickets for the performance are sold out. You read the information remaining on the internet about the play with a heavy heart, while *Liberté* itself is dead.

Gega Gagnidze, a young and talented director, staged a performance at the Theater on Atoneli based on Franz Kafka’s *The Trial*, which he titled *Joseph. The Trial*, like Kafka’s other works, remains a subject of research to this day. A person thrown into a hostile world, the alienation of a man from the absurd world, the search for his own essence, his inability, weakness, and powerlessness towards the supreme government, law, court – the system, and the depression of a man caused by all this – are the main problems raised in Kafka’s stories and novels.

The poster informs us that *Joseph* is an original play by Gega Gagnidze, based on the motifs of Franz Kafka’s *The Trial*. Indeed, the director left only the fable of the work. Gega Gagnidze, unlike the work,

depicted only the last day of Joseph’s life, and within this single day he fits a confrontation between a citizen, an individual, and a corrupt, violent system; the spiritual or physical destruction of a person by a violent system. In Gega Gagnidze’s original text, the audience will recognize phrases from Kafka’s novel.

The director creates a dramatic story of human (our) existence using exaggerated techniques, with humor, sometimes irony, and at times sarcasm. The action is set in the future; everything in Joseph’s apartment is computerized, and the line between the virtual and real worlds is erased. Based on Gega Gagnidze’s concept, scenographer Mariam Dzmanashvili created an environment and costumes similar to those of science fiction films. The play, like the novel, begins with Joseph waking up in his apartment, but unlike the original work, the action takes place and concludes entirely within this single room over the course of an hour and a half.

The audience watches the story unfolding on stage from three sides – from seats positioned on the stage and from the audience hall. They are participants, silent witnesses to the dramatic end of Joseph’s life. According to the director’s concept, the audience represents our conformist society, a society that has resigned itself to the violence of the state system, the corruption in the system, and the absurd laws. This society allowed Joseph’s arrest on non-existent charges, the violation/destruction of laws, and finally, the execution of the unjust sentence, Joseph’s execution. Another notable detail is that the director generalized Joseph’s character: the main protagonist is named Joseph, but so are his father, his brother, his neighbor, and so on. The “system” has turned citizens into faceless Josephs.

The musical score created by Noe Kvirkvelia, which includes various famous opera arias (Joseph, driven to hysteria, performs them grotesquely and selflessly in the climactic moments), along with the scenography and lighting, is one of the important components in the performance, intensifying the emotional charge and mood.

Actors Giorgi Sharvashidze, Natalia Gabisonia,

6 One cannot help but recall Henrik Ibsen’s “An Enemy of the People”, particularly Dr. Thomas Stockmann’s address to the public meeting, where he declares that he has made a new discovery: the true enemies of freedom and truth are not the corrupt representatives of government institutions, but rather “the compact majority” – by which he refers to a hypocritical society. “An Enemy of the People”, Tbilisi: “Soviet Georgia”, 1974, p. 821.

7 Tavadze D., Performance Description. <https://biletebi.ge/royal-district-theatre/Liberte> (Last seen on 27.07.25)

Giorgi Giorganashvili, and Niko Pipia create their characters with professional skill, using the techniques of grotesque and irony to portray soulless, emotionless beings turned into robots, devoid of human love or warmth. It is precisely because of their conformist, indifferent nature that the ugly forms of the state system were created.

Gega Gagnidze's and the creative troupe's performance of *Joseph* serves as a warning to those members of society who do not react to injustice in any way, but on the contrary, adapt and sometimes even justify it. And if we, people, allow, tolerate, do not prevent the creation of ugly forms of the state system by officials, we will perish.

Conclusion

In the foreword to the Georgian edition of Hans-Thies Lehmann's "Postdramatic Theatre", the Romanian theatre scholar Octavian Saiu writes: "Rooted in the dramatic tradition through both history and influence, Georgian theatre now stands on the threshold of a profound transformation. New voices are becoming increasingly audible, promising precisely what the world needs most: vitality. This is what Lehmann himself aspired to, and it constitutes the cornerstone of his work; it is what he explored and valued above all else. The postdramatic is nothing other than the fully contemporary. It is not what

comes after the dramatic, but rather a different manifestation and dimension of the dramatic within the present. It is precisely the dynamic coexistence of these two that keeps theatre alive. In Georgia, this vitality is palpable".⁸

Against the backdrop of an increasingly complex political, geopolitical, social, and economic reality – at a time when Georgia, much as it was in 1921, once again faces the threat of losing its independence and falling under Russian domination, and when the Third World War is underway – postdramatic, or contemporary, Georgian theatre stands alongside the country's critical and progressive voices. Through a variety of theatrical forms, it "struggles" to defend and restore the homeland, human dignity, and freedom, as well as social and political justice.

It can therefore be confidently argued that Georgian theatre is very much "alive". It responds immediately to the challenges of its historical moment, engaging with epoch-defining developments while embracing – and itself generating – new artistic and creative approaches. Georgian theatre offers numerous examples of such engagement, dating back to the 1920s. Within the scope of the present conference paper, however, I focus exclusively on several contemporary examples that demonstrate how today's Georgian theatre responds to the political and social realities of the present.

* The eloquent expression – „The Unfair Court“ or „Unjust Justice“ – appeared during the protest rallies in November 2024, amidst the brutal crackdowns and arrests of demonstrators.

* Krzysztof Warlikowski (1962) is a famous Polish director. A student of Christian Lupa, he also learned from Peter Brook and Giorgio Strehler. His production "The French" was presented at the Tbilisi International Theater Festival in 2017.

* The first phase of German Expressionist theatre is commonly referred to as the "lyrical" or "provincial" period. During this stage, directors did not stage their productions in Berlin but worked instead in cities such as Darmstadt, Frankfurt, Cologne, Düsseldorf, Dresden, and Mannheim. Directors including Gustav Hartung (1887-1946), Richard Weichert (1880-1961), and Otto Falkenberg (1873-1947) constructed their productions as both monologues and sermons delivered by the central protagonist. In its later development, German Expressionist theatre began to incorporate explicitly political themes. Three major directors are generally associated with this phase in Germany: Karlheinz Martin (1888-1948), Leopold Jessner (1878-1945), and Jürgen Fehling (1885-1968). Political theatre, however, found its fullest expression in the work of Erwin Piscator (1893-1966).

* Luigi Pirandello.

* As a consequence of his political activism, Data Tavadze spent nearly a year in forced exile. During this period, both the director and his family were subjected to sustained moral and physical intimidation, including threats against their lives. While living in exile, Tavadze directed productions in war-affected Ukraine (Kyiv) and in Poland. Despite these circumstances, he regained the strength to continue his artistic and civic work. He has since returned to Georgia, where he plans to stage new productions in his own theatre while continuing his political activism. His social media accounts document the premieres of his recent productions and demonstrate his continued commitment to resisting injustice and advocating for democratic values (see Data Tavadze's Facebook and Instagram pages).

⁸ ლემანი. პოსტდრამატული, გვ. XVIII. 2024.

REFERENCES:

- ბარბა ე. სავარეზე ნ. თეატრის ანთროპოლოგია. თბ. „კენტავრი“. 2025
- ბრუკი პ. ცარიელი სივრცე. თბ. „ხელოვნება“. 1984
- ლემანი ჰანს-თის. პოსტდრამატული თეატრი. თბ. „კენტავრი“. 2024
- შეხნერი რ. გარემოს თეატრი. თბ. „კენტავრი“. 2023
- Krzysztof Warlikowski “The International Message, a reflection on theater and peace delivered this year by Polish director”. <https://www.youtube.com/watch?reload=9&v=v3fdXeALRzk>
- <https://culture.pl/en/article/warlikowskis-message-for-world-theatre-day-2015>
- Mango L. “Form and Politics: An Introduction of the Theatre of Milo Rau”. <https://journal.eastap.com/2019/01/25/form-and-politics-an-introduction-to-the-theatre-of-milo-rau/>
- Пискатор Э. Политический Театр. Лоцт Наркомвоенмора им. Клима Ворошилова (Ленинград, пл. Урицкого, 10). 1934 г. <https://archive.org/details/Piscatorpolitteatr>

ესქილესა და ევრიპიდეს დრამა - ანტიკური დრამის თეორია

თეიმურაზ კეჭერაძე

საკვანძო სიტყვები: დრამა, არისტოფანე, ესქილე, ევრიპიდე, დიონისე, დრამის თეორია.

თეატრის დაბადებად ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის 534 წელი ითვლება, როდესაც ათენში პირველი ბერძენი დრამატურგის, თესპისის ტრაგედია წარმოადგინეს დიდ დიონისობაზე (ტრაგედიის სახელწოდება უცნობია). დრამისა და თეატრის წარმოშობისა და მისი ძირითადი ჟანრების პირველი მკვლევარი ფილოსოფოსი არისტოტელეა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ძირითადად ტრაგედიის, როგორც მაღალი ჟანრის დრამას აანალიზებს. პირველი ტრაგედია არისტოტელეს „პოეტიკას“ ორ საუკუნეზე მეტი აშორებს.

დრამის სწრაფმა განვითარებამ, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში, პირველი დრამატული წარმოდგენებიდან, სადაც ჯერ კიდევ არასრულყოფილად იყო გამოვლენილი დრამატურგიული ფორმები, გაიარა გზა ანტიკური ტრაგედიისა და კომედიის კლასიკურ ნიმუშებამდე, დღის წესრიგში დააყენა თეატრისა და დრამის თეორიის წარმოშობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა თეატრალური პრაქტიკის პროგრესის დაჩქარება. ფაქტობრივად სათეატრო პრაქტიკა წინ უსწრებდა თეატრის თეორიის ჩამოყალიბებას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამისა და თეატრის განვითარება, სათეატრო რეფორმები, გაუზარებლად, სტიქიურად მიმდინარეობდა.

მე-6 საუკუნეში პირველი ათენელი დრამატურგის, თესპისის თეატრი ერთი მსახიობისაა, მე-5 საუკუნეში ტრაგედიის მამად წოდებულ ესქილეს თეატრში ერთდროულად ორი მსახიობი მოქმედებს, სულ მალე სოფოკლესთან - სამი მსახიობი. ესქილე ქმნის ტრილოგიის სისტემას, სოფოკლე უარს ამბობს ტრილოგიაზე, შემოიღებს მოხატულ (ფერწერულ) დეკორაციებს, თეატრალურ პრაქტიკაში ქმნის სამი ერთიანობის მეთოდს (დრო, მოქმედება, მოქმედების ადგილი), 15-მდე ზრდის ქოროს მსახიობთა რაოდენობას და სხვა.

მეთოდები

ბაშრომში წარმოდგენილია ბერძენი კომედიოგრაფის კომედიის „ბაყაყები“ პერსონაჟების ესქილეს, ევრიპიდესა და დიონისეს სასცენო სამეტყველო ტექსტების ანალიზი, რომელიც შეეხება ესქილესა და ევრიპიდეს დრამატურგიული მეთოდების თავისებურებებს. ძვ. წ. მე-5 საუკუნის მიწურულის ანტიკური საბერძნეთის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების კონტექსტში განხილულია ბერძნული დრამისა და თეატრის მდგომარეობა.

შესავალი

ათენის დემოკრატიის აყვავების ხანა პერიკლეს მოღვაწეობას უკავშირდება. პერიკლემ ათენის მმართველობის პერიოდში ირგვლივ შემოიკრიბა ბერძენი ფილოსოფოსები, მეცნიერები, სწავლულები და კულტურის მოღვაწეები. მისი მმართველობის პერიოდი ისტორიაში „პერიკლეს ოქროს ხანად“ იწოდება. პერიკლეს ოქროს ხანას უკავშირდება ანტიკური დრამისა და თეატრის რეფორმები. დრამისა და თეატრის რეფორმები, ცხადია, დრამატურგებს ეხება. თუმცა, პელოპონესის ომში (ძვ. წ. 404) ათენის სახელმწიფოს მარცხით

დასრულების შემდეგ, ათენი ღრმა კრიზისმა მოიცვა. სახელმწიფოს კრიზისი აისახა როგორც დემოკრატიასა და ეკონომიკაზე, ასევე კულტურასა და ხელოვნებაზე, მათ შორის თეატრზე. სათეატრო კრიზისი ასევე უკავშირდება უკანაკნელი დიდი ბერძენი დრამატურგების – სოფოკლესა და ევრიპიდეს გარდაცვალებას (ძვ. წ. 406).

როგორც ზემოთ აღინიშნა, დრამისა და თეატრის რეფორმები დაკავშირებულია სათეატრო პრაქტიკასთან. სათეატრო პრაქტიკა წინ უსწრებდა დრამისა და თეატრის თეორიის ჩამოყალიბებას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამისა და თეატრის განვითარება, სათეატრო რეფორმები, გაუზარებლად, სტიქიურად მიმდინარეობდა. დრამისა და თეატრის თეორიის საკითხებით თავდაპირველად თავად თეატრის რეფორმატორები ინტერესდებიან. კომედიის მამად წოდებული ათენელი კომედიოგრაფი არისტოფანე თავის კომედიაში „ბაყაყები“ განიხილავს ესქილესა და ევრიპიდეს შემოქმედებას, რაც შეიძლება ჩაითვალოს დრამის ანალიზის პირველ მცდელობად.

მსჯელობა

ძვ. წ. 406 წელს ანტიკური ბერძნული თეატრის რეფორმატორების, სოფოკლესა და ევრიპიდეს, ხოლო ძვ. წ. 401 წელს ბერძენი ტრაგიკოსის, აგათონის, გარდაცვალების შემდეგ ბერძნული თეატრი ღრმა კრიზისმა მოიცვა. თეატრის კრიზისით შეწუხებული ბერძენი კომედიოგრაფი არისტოფანე თავის კომედიაში „ბაყაყები“ კრიზისს ჭაობს ადარებს, სადაც ბაყაყები ყოყინებენ. კომედიის პროლოგი: „ბაყაყები“

... ჭაობის წყლის შვილებმა

აღვაგლინოთ ჰიმნები;

ავაჟღეროთ ტკბილხმიანი სიმღერა:

კოაქს, კოაქს!

და ღირსეულ ღვთაებას, დიონისეს, ზევსის ძეს, ვუგალობოთ ჭაობში¹.

კომედიის თანახმად, თეატრის მფარველი ღვთაება დიონისე მზადაა ჰადესს ღვთაებას ქვესკნელში ეახლოს, რათა გარდაცვლილი ევრიპიდე დაუბრუნოს თეატრს. „ბაყაყებში“ საკუთრივ ამბავი, როგორც ყოველთვის არისტოფანესთან, სრულიად წარმოუდგენელი, ფანტასტიკური, გროტესკული, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ დამაჯერებელი, მარტივი და ადვილად გასაგებია: დიდი დრამატურგების გარეშე დარჩენილი თეატრის

ღმერთი, დიონისე, გადაწყვეტს, ჰადესიდან, ქვესკნელიდან ამოიყვანოს და ათენის სცენას დაუბრუნოს რომელიმე გენიალური ტრაგიკოსი პოეტი. მისი არჩევანი ევრიპიდეზე ჩერდება, რადგან ამასწინათ, გემით მგზავრობისას, სწორედ ევრიპიდეს ტრაგედია, „ანდრომედე“ წაუკითხავს და ჯერაც შთაბეჭდილების ქვეშაა“. (ბერძენიშვილი, 2017: 2)

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დრამის თეორიის საკითხები ორგანულად არის გადაჯაჭვული არისტოფანეს აღნიშნული კომედიის დრამატურგიულ ქსოვილში, სადაც თეატრალურ მოედანზე ესქილესა და ევრიპიდეს და მათ მომხრეებს შორის მწვავე პოლემიკის საგნად ქცეულა. რაც უპირველესად დრამატული ხელოვნების ისტორიაში.

კომედიაში შექმნილია პაექრობის ატმოსფერო, სადაც კამათობენ დრამის თეორიის პრობლემებზე. დაძაბული და დრამატული ხასიათის. დისკუსია ორ ტრაგიკოს დრამატურგს შორის კომედიის ძირითადი თემაა. აღნიშნული დისკუსია მეტყველებს იმაზე, რომ ესქილესა და ევრიპიდეს შორის არსებობს განსხვავება თეორიულ აზროვნებაში. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი ბატალიები ევრიპიდესა და ესქილეს შორის ატარებს კომიკურ ხასიათს, იგი შეესაბამება იმ ეპოქის ბერძნული კულტურის ხასიათს. ტრაგიკოს პოეტებს შორის რიტორიკულ პაექრობაში ყოველი მათგანი წარმოაჩენს თავისი ნაწარმოებების ღირსებებს და დასცინის მოწინააღმდეგის დრამის სუსტ მხარეებს.

კომედიის პერსონაჟების – ესქილესა და ევრიპიდეს – კამათის, რომელიც მიმდინარეობს დრამატურგიული ხერხის – „აგონის“ ატმოსფეროში, უმაღლესი მსაჯული დიონისეა. დისკუსიაში, პირველ ყოვლისა, ყურადღება ეთმობა ორი პოეტის შემოქმედებითი მეთოდების განმასხვავებელ ნიშნებს. ევრიპიდეს სასცენო სამეტყველო ტექსტში წარმოჩენილია არა მარტო ევრიპიდეს შემოქმედებითი მიღწევები, არამედ კრიტიკული პოზიციიდან განხილულია უფრო ადრინდელი დრამის, ესქილეს შემოქმედება, რასაც, ცხადია, ეწინააღმდეგება ესქილეს პერსონაჟი. აღნიშნული, კომედიოგრაფის (არისტოფანე) დრამის თეორიასა და თეატრალური პრაქტიკის დაკავშირების მცდელობაზე მეტყველებს. კომედიიდან ჩანს, რომ არისტოფანეს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული თეატრალური მოქმედების პოეტური, მუსიკალური

1 არისტოფანე, 2017:19. აქ და ქვემოთ, კომედიიდან ციტატები მოყვანილია ლევან ბერძენიშვილის თარგმანიდან.

და თავად დრამატურგიული ასპექტების თავისებურებები. ესქილეს დრამის კრიტიკისას, ევრიპიდეს პერსონაჟი დაცინის თავის მოწინააღმდეგეს იმის გამო, რომ მის ნაწარმოებებს ეტყობა არქაული კვალი და ესქილეს დრამაში არ არის გამოკვეთილი დრამის სპეციფიკური თავისებურებები, რაც დრამას ეპოსისა და ლირიკისაგან განასხვავებს. ევრიპიდეს პერსონაჟი ამახვილებს ყურადღებას ესქილეს ტრაგედიებში დრამატული მოქმედების განუვითარებლობაზე, მის ტრაგედიაში ქოროს წამყვან როლზე, მსახიობთა უმოქმედობაზე. მიუხედავად არისტოფანეს ესქილეს მიმართ სიმპათიებისა, ავტორი ირონიით აღწერს ესქილეს ნაწარმოებების ნაკლოვანებებს დრამატული მოქმედების მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, რაც, ევრიპიდეს პერსონაჟის ტექსტის თანახმად, თანამედროვე პოეტებში ღიმილს იწვევს.

ევრიპიდეს პერსონაჟის სიტყვებით, ესქილე პერსონაჟთა მოქმედების მოლოდინით უბრალოდ ასულელებს მაყურებელს, ხშირ შემთხვევაში ესქილეს დრამის გმირები „მუნჯებით“ დგანან და როგორც კი პირს გააღებენ რაიმეს სათქმელად – დრამაც სრულდება. ნაცვლად იმისა, რომ ავტორმა მოქმედება განავითაროს დრამატურგიული ხერხების საშუალებით, ესქილე ძირითადად ეყრდნობა ლამაზ, პოეტურად ამაღლებულ მეტყველებას.

არისტოფანეს კომედიაში ესქილესა და ევრიპიდეს პერსონაჟები დაობენ, ესქილეს არა მარტო პოეზიის სტილსა და პოეტიკაზე, არამედ, მაყურებელზე დრამის ზეგავლენის თაობაზე.

ესქილეს აზრით, მაყურებელზე ზემოქმედების ყველაზე მძლავრი იარაღი ტრაგედიაში არის პოეტური ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, აგრეთვე გამოკვეთილი, ძლიერი სახეები. ევრიპიდეს, პირიქით, თავის დამსახურებად მიაჩნია ტრაგედიის ზედმეტი სიტყვებისგან გამოთავისუფლება. თავისი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად ევრიპიდე თვლის, რომ დრამის ყოველი პერსონაჟი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენით საუბრობს და არა ამაღლებული, ლამაზი პოეტური ენით. ხოლო ესქილეს ტრაგედიებში ყველა პერსონაჟი საუბრობს არა საკუთარი, არამედ ავტორის ენით. შემთხვევითი არ არის რომ, ევრიპიდეს ტრაგედიის გმირები სცენაზე გამოჩენისთანავე, პირველ რიგში, საუბრობენ თავიანთი წარმომავლობის შესახებ. პერსონაჟის ხასიათი პირდაპირ არის დამოკიდებული მისთვის დამახასიათებელ საუბრის მანერაზე. რაც შემდგომში, არისტოტელეს

ლეს პოეტიკაში, ანტიკური დრამის თეორიის დეტალური განხილვის საგნად იქცა.

ევრიპიდე, საკუთარი იდეებითა და საუბრის შესაბამისი მანერით, არა მარტო ღირსების მატარებელ გმირებს ამეტყველებს, არამედ დრამის ყველა პერსონაჟს. „ყველას ვაძლევ სიტყვას: ქალებს, მსახურებს, გოგონებს, ბატონებს, მოხუცებსაც კი“. შინაარსისა და საუბრის სტილის ასეთი დემოკრატიულობა აღიზიანებს არისტოფანეს, რომელიც არისტოკრატიული იდეების მომხრე იყო.

ევრიპიდეს ტრაგედიის გმირი საუბრობს, რომ მან ესქილესეული დრამის გაზვიადებული პოეტური ენა შეცვალა გმირების ხასიათების შესაბამისი მეტყველებით, და აღნიშნავს ორ სიახლეს, რომელიც დაამკვიდრა დრამაში: პირველი, მან შეცვალა საუბრის წმინდა პოეტური ენა ისეთით, რითაც შესაძლებელია გონივრული დასკვნების გაკეთება რიტორიკის მეთოდების გამოყენებით. ლირიული საწყისი დრამის ენაში გადავიდა მეორე პლანზე, ანუ გმირს, თავისი ხასიათის შესაბამისად, ევრიპიდე რიტორიკის მეთოდების საშუალებით ამეტყველებს ბუნებრივად და დამაჯერებლად, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მაყურებლის ფსიქიკაზე. მეორე, ევრიპიდეს ცვლილებები შეეხო არა მარტო ფორმას, არამედ შინაარსსაც: მან გაზარდა ტრაგედიაში ასახულ პირთა წრე, წარმოგვიდგინა ისინი განსხვავებულ გარემოებებში და აამეტყველა პერსონაჟები უბრალო ადამიანურ თემებზე. ამით ევრიპიდემ გადაუხვია ტრაგედიისათვის ტრადიციულად მისაღებ ამაღლებულ თემებს. სხვათა შორის, ესქილეს პერსონაჟი ამტკიცებს, რომ „დიადი აზრისა და საქმისათვის აუცილებელია შესაბამისი ამაღლებული სიტყვა“ (არისტოფანე 2017:9).

ევრიპიდეს პერსონაჟს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ესქილეს მტკიცებულებების მიმართ. იგი თავის გმირებს, ხელმწიფეებსა და ღმერთებსაც კი გვიხატავს ჩვეულ გარემოში, ჩვეულებრივი ადამიანური აზრებითა და სურვილებით, რაც მათ მიმართ მაყურებელში თანაგრძნობასა და სიბრაღულს იწვევს. ესქილეს დრამის პრინციპების დარღვევით ევრიპიდესთან მოქმედებენ განსხვავებული გმირები განსხვავებულ გარემოში, მეტყველებენ განსხვავებული ენით, რითაც იცვლება მაყურებლის ემოციური დამოკიდებულება სცენაზე განვითარებული მოვლენებისადმი.

რაში მდგომარეობს თეორიულ აზრთა სხვადასხვაობა ესქილესა და ევრიპიდეს პერსონაჟებს შორის, უფრო სწორად, მათი ტრაგედიების

მიმდევრების, ძველი და ახალი დრამის შემოქმედებით პრინციპებს შორის? ძირითადი სხვაობა მდგომარეობს თავად ტრაგედიის არსის გაგებაში. ესქილესათვის დრამა წარმოადგენს ამაღლებულის, გმირულის გადმოცემის ხელოვნებას. იგი ადასტურებს თავისი შემოქმედების კავშირს ჰომეროსის ეპოსთან, რომელმაც „პოემაში განადიდა დიადი ბრძოლები, მებრძოლთა გმირობა, ვაჟკაცობა“ (არისტოფანე 2017:18). ჰომეროსის ტრადიციებზე ესქილემ შექმნა დრამა „მეომარი სულისკვეთებით“. ამრიგად ეპოსსა და დრამას შორის სხვაობას იგი მხოლოდ ფორმაში ხედავს, რაც დაკავშირებულია სასცენო მოქმედების ორგანიზებასთან და არა ეპიკური ტრადიციის სიტყვის საგანსა და სტილთან.

ევრიპიდეს პერსონაჟის აზრით, ტრაგედიის საგანი განსხვავებულია ეპოსისაგან. პირველი იგი უფრო ახლოსაა რეალობასთან და მეორე – უფრო მასშტაბურია. თემები, რომლებიც ადრე განეკუთვნებოდა მხოლოდ ლირიკის სფეროს, მაგალითად, სიყვარულის თემა და მასთან დაკავშირებული განცდები: ეჭვიანობა, წყენა, ხორციელი სურვილები, ორგანულად აისახა ტრაგედიებში. შესაბამისად, შეიცვალა გმირის მეტყველება, იგი გამდიდრდა ახალი გამონათქვამებით, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ყოფით ემოციურ განცდებთან. შეიცვალა თავად საუბრის მანერაც, რაც ძირითადად ეყრდნობა არა პოეტური ენის ეფექტებს, არამედ მიზეზებსა და მტკიცებულებებს, რომელიც ემსახურება მოცემულ გარემოებაში გმირის ქმედებებსა და განცდებს. დრამის ენა წმინდა პოეტურიდან გარდაიქმნა პოეზიისა და რიტორიკის ერთგვარ ნაზავად.

ესქილესეული დრამის მომხრეების ძირითად პრეტენზიას ევრიპიდეს მიმართ წარმოადგენს ტრაგედიის ზეგავლენა მაყურებელზე. ორთავე მხარე აღიარებს რომ, პოეტი ფასდება იმით „თუ რამდენად აკეთილშობილებს დრამა ადამიანებს“. ესქილეს პერსონაჟის სიტყვებით, მისმა პოეზიამ ადამიანები გახადა უფრო პატიოსნები, გონიერები, პატივცემულები, და ყოველივე ამას მან მიაღწია იმით, რომ სურდა აემაღლებინა ადამიანები თავის გმირებამდე, რომლებიც ყველაფრით გამოირჩევიან ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან თავიანთი ამაღლებული ენით, ქცევებით, ჩაცმულობითაც კი. ევრიპიდემ კი დაამახინჯა ესქილეს დაფუძნებული კანონები ხელოვნებაში, რითაც თავისი გმირები მაყურებელში იწვევდა არა აღფრთოვანებას, არმედ სიბრაულეს. გამოიყვანა რა სცე-

ნაზე სხვადასხვა წარმომავლობისა და წოდების პერსონაჟები, რომლებიც გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი საუბრის მანერით, საუბრობენ დამაჯერებლად და შეუძლიათ თავიანთი პოზიციის დაცვა. ამით ევრიპიდემ ათენის მოქალაქეები მოლაყებებად და ამპარტავნებად აქცია. ყოველივე ამით დასტურდება, რომ ევრიპიდეს მიერ დრამის საფუძველში შემოტანილი ახალი პრინციპები ემსახურება ადამიანების ზნეობრივ დაცვას და საზოგადოებაში არსებული ნორმების რღვევას.

ბერძნული ფილოსოფიის თანახმად (ჯერ კიდევ პითაგორა სამოსელი წერდა ამის შესახებ), ადამიანი, რომელიც კოსმიურ კანონებს ვერ სწვდება, ბალანსს არღვევს და კატასტროფა მოეწვევს, რადგან მან უზენაესი მართლწესრიგი ხელიყო. აღნიშნულის თანახმად, ძველი ბერძნების სულიერ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რელიგიას, შესაბამისად, მითოლოგიას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ესქილეს რელიგიური კონცეფცია პიროვნების ქცევის ეთიკურ საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან მის ნაწარმოებებში სარწმუნოებრივი მორალი დაკავშირებულია სამართლიანობის, კანონზომიერებისა და ჭეშმარიტების რწმენასთან. ამის საფუძველზე პოეტი თავის ნაწარმოებებში ქმნის ბერძნული საზოგადოებისათვის მისაღებ გმირებს. ევრიპიდეს შემოქმედებაში, ღმერთებთან დამოკიდებულება მკვეთრად იცვლება. მან ერთ-ერთმა პირველმა შეიგრძნო დროთა კავშირის რღვევა და ეს თავის დრამაში ასახა. მის ნაწარმოებებში ადამიანმა საზოგადოებისა და სამყაროსთან განუყოფლობის განცდა დაკარგა. პიროვნება დაუპირისპირდა საზოგადოებას და რელიგიურ მცნებებში (მითოსში) ვერც სამართალს, და ვერც ცხოვრების მყარ საფუძველს ვერ ხედავდა. მის შემოქმედებაში ასახულია საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების კრიზისი. აღნიშნული კრიზისი ძვ. წ. მე-5 საუკუნის 30-იანი წლების ანტიკური საბერძნეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა სოფისტების მსოფლმხედველობასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში. შემთხვევითი არაა, რომ ევრიპიდეს სოფისტ პროტაგორას მოსწავლეს უწოდებდნენ. სოკრატეს სოფისტად იყო მიჩნეული. საზოგადოების აზრით, სოკრატე და ევრიპიდე არღვევდნენ მორალის ტრადიციულ საფუძვლებს, ღმერთების რწმენას და რყვნიდნენ ადამიანებს.

არისტოფანეს კომედიის ანალიზისას შეიძლება გამოვყოთ მასში წარმოდგენილი სამი ძირითა-

დი პოზიცია დრამის თეორიის შესახებ. პირველი – ესქილეს პერსონაჟის პოზიცია. მას საფუძვლად უდევს მოსაზრება დრამისა და ჰომეროსისეული ეპოსის ერთიანობის შესახებ, რაშიც იგულისხმება ღმერთების, გმირებისა და პატრიოტი ადამიანების მოქმედების ამსახველი მოვლენების გადმოცემა. მეორე – მაღალი იდეებისა და გმირული მოქმედების ჩვენება შესაძლებელია შესაბამისი პოეტური, ამაღლებული სიტყვით. მესამე – ტრაგედიის მიზანს წარმოადგენს, მაყურებლის აღზრდა ღირსეული გმირების ასახვით, რომლისკენაც შეიძლება იგი ისწრაფოდეს. ასეთია ესქილესეული დრამის პოზიცია, სადაც სპეციფიკური დრამატული მიბაძვა ხორციელდება ეპოსისა (ტრაგედიის საგანი და შინაარსი) და ლირიკული პოეზიის (ენა და სტილი) ტრადიციების ათვისებითა და დამკვიდრებით.

სხვა პოზიციას ავითარებს ევრიპიდეც პერსონაჟი. ისიც საუბრობს პოეზიის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ხელოვნების აღმზრდელობითი ფუნქცია მის ეპოქაში ეჭვის ქვეშ არ დგას. ამავე დროს დრამა, როგორც პოეზიის განსაკუთრებული სახე, ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამოყოფილი ლირიკისა და ეპოსისაგან, კვლავ არ არსებობდა გამყოფი პოეზიის ამ სახეებს შორის. იგი უფრო მოგვიანებით, „მიმესისის“ საშუალებით პლატონმა განახორციელა. დრამის ბუნება, როგორც ხელოვნების განსაკუთრებული სახე, რომელიც განსხვავდება პოეზიის სხვა ფორმებისაგან, არისტოტელეს კვლევის საგანი ხდება პოეტიკაში.

ევრიპიდეც დრამის თეორია წარმოდგენილია სრულიად განსხვავებული სახით, ვიდრე ესქილესთან. პირველ ყოვლისა, მასში შეცვლილია ეპიკური ტრადიციების მიბაძვის პრინციპი, რაც გამოიხატება საგნისა თუ მოვლენის გადმოცემაში. ფართოდაა ასახული მოვლენების თემატიკა, რომელშიც შედის ყოფითი ელემენტები და ლირიკული განცდები. თუ ესქილესთვის ტრაგედიის საგანს წარმოადგენს მხოლოდ მშვენიერი, როგორც ამაღლებული, კეთილშობილური აზრები და პერსონაჟთა ქმედებები ემსახურება მშვენიერებას. ევრიპიდე თვლის, რომ არ შეიძლება გადმოსცე მშვენიერი და ასწავლო სიკეთე არაბუნებრივი გმირების არაბუნებრივი მეტყველებით. „ადამიანური – ბუნებრივი უნდა იყოს“ – ამბობს ევრიპიდე. მისი მოსაზრება შეეხება არა მარტო დრამის სტილსა და დრამის ენობრივ ქსოვილს, არამედ დრამატული ხელოვნების მთელ შინაარსს.

ევრიპიდე ტრაგედიის საგნის ახლებურად გაგებას ხედავს გამომსახველობითი საშუალებების

სხვაგვარად გამოყენებაში. იგი ამტკიცებს რომ, პირველ ყოვლისა დრამის სპეციფიკა მის უწყვეტ მოქმედებაში მდგომარეობს. ევრიპიდე გმირის ხასიათსაც სხვაგვარად განსაზღვრავს. გმირი უნდა იყოს გაცილებით ინდივიდუალური, ვიდრე ეს ესქილესთანაა. ესქილესთან გმირის ხასიათი სტატიკურად და უცვლელად არის გააზრებული, ევრიპიდე მას ანიჭებს გარკვეულ დინამიკას. გმირი სცენაზე გამოჩენისას ყვება თავისი წარმომავლობისა და ცხოვრების პერიპეტიების შესახებ. ამრიგად, პერსონაჟის ხასიათს ამდიდრებს გმირის ქმედების განსაზღვრული მოტივაცია და იგი, მაღალფარდოვანი მეტყველების ნაცვლად, მიზანმიმართულად მოქმედებს.

პერსონაჟის, განსხვავებულ გარემოებებში, სხვადასხვა განწყობის წარმოდგენისას, როგორც სიდიადის, ასევე დაცემის მომენტში, აუცილებელია საუბრის სტილისა და ქცევის მანერის შეცვლა.

ევრიპიდე შეყვარებული ქალების, მსახურებისა და მოხუცი ქალების (ამ კატეგორიის პერსონაჟები ადრე ტრაგედიის ყურადღების ღირსად ირთვებოდა) პერსონაჟებს ხასიათის შესაბამისი საუბრის მანერის მინიჭებისას იყენებს ყოფით სასაუბრო ენას, რითაც ემიჯნება ტრაგედიის ტრადიციულ ლირიკულ-ეპიკურ სტილს. ევრიპიდე დიდ ყურადღებას უთმობს გმირის ქცევის მოტივაციას და პოეზიაში აზავებს რიტორიკის ელემენტებს.

ევრიპიდე დრამაში აფუძნებს ახალ პრინციპებს, რომელთა თანახმად ავტორი ცალკეულ დეტალებსაც კი წარმოგვიდგენს რეალობასთან მიახლოებულად, პერსონაჟების ტექსტიც დამაჯერებლად ჟღერს. ყოველივე ეს ემსახურება მაყურებლის აღმზრდელობით მიზნებს. ევრიპიდე, ისევე როგორც ესქილე, ისწრაფვის, თავისი ტრაგედიებით დადებითი ზეგავლენა მოახდინოს მაყურებელზე. მაგრამ მისი პოზიცია განსხვავდება ესქილეს პოზიციისგან. ევრიპიდე არ ცდილობს აღზარდოს მაყურებელი სხვების მაგალითზე, იგი ცდილობს მაყურებელი გახადოს გონიერი, მოაზროვნე. პოეტებს აფასებენ „მართალი სიტყვისათვის, კეთილი რჩევისათვის“.

მართალი, დამაჯერებელი, გონივრული – ევრიპიდეც ტრაგედიის მთავარი ღირსებაა. ასეთი მიზნები იძლევა გაცილებით მეტ თავისუფლებას აზრებისა და გრძნობების გამოსახატად, გმირის ცხოვრების პერიპეტიების ლოგიკურად გააზრებული მოქმედების გადმოსაცემად.

ევრიპიდე ცდილობს ხალხს აზროვნების საშუალება მისცეს და მის ქმედებას საფუძვლად

არგუმენტირებული დასკვნები დაუდოს. ამაში ხედავს არისტოფანე ევრიპიდეს უმთავრეს ცოდვას. ევრიპიდემ ხალხს მისცა ენა, ასწავლა ლაპარაკი, რაც მათ არასწორად გამოიყენეს. აზრის გამოხატვის ნაცვლად, ადამიანები ლაყბობენ, საკუთარი ქმედების გამართლება გადაიქცა დემაგოგიად და სოფისტიკად. ევრიპიდეს სურდა ესწავლებინა ხალხისთვის გონების კარნახიდან გამომდინარე მოქმედება და აზროვნება. შედეგად კი, ხელი შეუწყო თვითნებობის გავრცელებას, ტრადიციების რღვევასა და ზნეობრივი ნორმების დაცემას. არისტოფანე ირწმუნება, რომ მიუხედავად ევრიპიდეს სიბრძნისა, ესქილე გაცილებით ბრძენია, რადგან თავისი ტრაგედიებით მან აამაღლა ზნეობა და ხელი შეუწყო მოქალაქეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებულ ანალიზს ითხოვს არისტოფანეს პოზიცია, რომელიც ძირითადად გამოხატულია დიონისეს რეპლიკებში (ტექსტში). არისტოფანე, მიუხედავად ესქილესადმი სიმპათიებისა, ყოველთვის არ გამოხატავს მისდამი მხარდაჭერას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დიონისე დასცინის ევრიპიდეს, მისი დაცინვა უფრო ლაზღანდარობის სახეს ატარებს ვიდრე ჭეშმარიტი კრიტიკისა. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ერთ-ერთ მომენტში უარსაც კი აცხადებს მსაჯულობაზე, რადგან ევრიპიდე ბრძენ პოეტად მიაჩნია, ესქილე კი უფრო მეტად უყვარს.

არისტოფანე ფიქრობს, რომ დრამატული ხელოვნების ძირითადი არსი მის აღმზრდელობით ფუნქციაშია. ამ მხრივ ესქილე ევრიპიდეზე მაღლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ არისტოფანე წარსულის იდეალიზების წინააღმდეგია (რაც ესქილეს დრამატურგიის ძირითადი თემაა), იგი ეთანხმება გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ევრიპიდე რყვნის მაყურებელს.

მიუხედავად პაექრობაში ევრიპიდეს მარცხისა, მისი მართებული პოზიცია დრამის თეორიის საკითხებში ნათლად ჩანს. ევრიპიდეს აკრიტიკებენ დრამის შინაარსის ენის დემოკრატიულობისა და არა მისი დრამის სპეციფიკურობისათვის. არისტოფანეს არ შეუძლია არ დაეთანხმოს ესქილესადმი კრიტიკას ერთფეროვანი და ფრაგმენტული მომბაზვრებლად გამეორების გამო. ევრიპიდეს მისამართით საპასუხო კრიტიკა გაისმის ლირიკის ტრადიციების უარყოფისათვის, რაც, ესქილეს აზრით, აკნინებს ევრიპიდეს დრამის მხატვრულ

ღირებულებას. მის მიერ (ევრიპიდე) ლექსის სხვადასხვა ზომათა გამოყენება ეწინააღმდეგება ლირიკული პოეზიის კანონებს.

მიუხედავად იმისა, რომ არისტოფანეს კომედია „ბაყაყები“ მხატვრული ნაწარმოებია და არა ტრაქტატი ხელოვნების შესახებ, მასში ნათლად არის ასახული ანტიკური პერიოდის დრამის თეორიის თავისებურებები. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია პროგრესი, ეპოსთან შედარებით, დრამის თეორიის სპეციფიკის განსაზღვრაში. ევრიპიდე პრაქტიკაში ამკვიდრებს ამ პოზიციას. მას მიაჩნია, რომ ტრაგედიის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მის უწყვეტ და ერთიან მოქმედებაშია, რომ სცენაზე გამოყვანილი გმირები თავიანთი წარმომავლობისა და ხასიათის შესაბამისად უნდა მეტყველებდნენ და მოცემული გარემოების შესაბამისად მოქმედებდნენ.

კომედიაში „პაექრობის მსვლელობისას, არისტოფანე ტრაგედიის პოეტიკის, მისი მიზნის, ენისა თუ სტუქტურის თავის ხედვას წარმოაჩენს. ესქილეს ის მაღალფარდოვნებას უწუნებს, ხოლო ევრიპიდეს რიტორიკულობასა და ზედმეტ სიტყვაკაზმულობას“.² არისტოფანეს კომედიაში ყურადღებას იქცევს დრამატული მოქმედებისა და მუსიკალური ელემენტების თანხვედრისა (თუმცა ეს თემა არაკმარისადაა განვითარებული კომედიაში) და დრამის სტილისა და ლირიკული პოეზიის თანაფარდობის პრობლემები.

დასკვნა

არისტოფანეს კომედიის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ დრამის თეორიის რიგი პრობლემები, რომლებიც პლატონმა და არისტოტელემ განიხილეს, ადრეც იქცევდა დრამის პრაქტიკოსების ყურადღებას. ცხადია ისიც, რომ „ბაყაყებში“ დრამის თეორიის საკითხები წარმოდგენილია ზედაპირულად, დრამის თეორიის ადეკვატური მცნებების, კატეგორიებისა და კვლევის აპარატის გარეშე.

2 ბოკუჩავა, მსოფლიო, 2017, გვ. 217.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არისტოფანე 2017: არისტოფანე „ბაყაყები“, არილი, თბ., 2017.
- ბერძენიშვილი ლ., მთარგმნელი, არილი, თბ., 2017.
- ბოკუჩავა თ., გოშაძე მ., მსოფლიო თეატრის ისტორია წ.1, თბ., 2018.
- იმერლიშვილი ლ. (რედ.), ძველი ბერძნული ტრაგედია, თბ., 1996.

THE DRAMA OF AESCHYLUS AND EURIPIDES ON THE ISSUE OF ANCIENT DRAMA THEORY

Teimuraz Kezheradze

Keywords: drama, Aristophanes, Aeschylus, Euripides, Dionysus, drama theory.

The birthdate of theater is considered the 6th century BC, namely 534 B.C., when the tragedy of the first Greek playwright Thespis was presented in Athens at Great Dionysia (the name of the tragedy is unknown). The first researcher of the origin of drama and theater and its main genres is 4th-century B.C. philosopher Aristotle. In his *Poetics*, Aristotle mainly analyzes tragedy as a high genre of drama. Two centuries separate Aristotle's *Poetics* and the first tragedy.

churches, and a synagogue.¹⁸ Among these, the Church of Alexander Nevsky likewise came to dominate the city's skyline.

The project selected for the Batumi cathedral was executed in the Neo-Russian style, featuring a five-domed, polychromatic composition. This choice was evidently in alignment with the Russophile tendencies through which the Empire sought to present itself as the successor to the "Second Rome" and to frame the Christianization of Muslim populations as part of its civilizational mission. The profound importance attributed to the Batumi Cathedral by the imperial authorities is evidenced by the fact that Emperor Alexander III (1845–1895) personally attended the laying of its cornerstone.¹⁹

The project was designed by architect Ivan Golenishchev (1861–1888), while the construction was completed by Vasily Kosyakov (1862–1921).²⁰ The interior decoration was executed by Alexander Novoskoltsev (1853–1919).²¹ As in the military cathedral in Tbilisi, the interior featured a low altar screen in the Neo-Byzantine style.²²

The fate of this cathedral, too, proved short-lived. Following the Sovietization its function of the *sobor*, which was repurposed and a cinema was opened inside it. Italian journal *Del Popolo* responded to this development by publishing a sketch by Alfredo Ortelli depicting how believers destroyed the furnishings of the cinema hall arranged within the former cathedral space.²³

The subsequent phase in the history of the Batumi Cathedral of Alexander Nevsky witnessed yet another functional transformation, as the edifice was converted into the Museum of Atheism. However, this did not ultimately prevent the cathedral's demolition. Photographic evidence indicates that the dismantling of the dome commenced in 1939, followed by the bell tower.

The Kutaisi *Sobor*

The cathedral constructed in Kutaisi, the former capital of Georgia, was likewise dedicated to St. Alexander Nevsky. The study of this cathedral remains in its early stages of research, and its precise placement within the context of Georgian art history necessitates further investigation and in-depth analysis.²⁴

The idea of constructing a new cathedral in Kutaisi emerged in 1851. In the same year, at the request of the then-governor of Kutaisi, Russian general Alexander Gagarin, an initial architectural design was prepared by his cousin, Grigol Gagarin (1810–1893), an artist and architect active in Georgia. The design for the construction of the *sobor* was initiated with the intention of creating a structure that would resemble traditional Georgian architectural forms. Yet this work was soon suspended and only resumed in 1860, during the episcopate of Bishop Gabriel (1825–1896). Construction of the cathedral was completed in 1871 under the auspices of the governor of Kutaisi, Levashov, with financial resources procured from the rural population. The structure was almost equivalent in scale to Bagrati Cathedral (XI c), and, at the request of its patrons, it was also intended to bear resemblance to the Gelati Monastery church (XII c).²⁵

The cathedral was conceived as a cross-domed church set upon a high base. Its exterior was articulated by a tall arcade, an elevated drum supporting a high dome with a conical roof, and a six-armed Russian-style cross surmounting the dome. The only feature in the exterior that emphasized a degree of authorial exclusivity was the pentagonal narthex directly attached to the western façade and crowned with an open arcade, an element that appeared highly unusual in relation to earlier ecclesiastical

18 გივიაშვილი, ბათუმი, 2009, გვ. 4–11; ჭიჭილაშვილი, ძველი, 2012, გვ. 302–309.

19 A cast-iron trowel bearing the inscription 25 сентября 1888 год, Батуми held in the private collection of Mikhail Alshibaya, was most likely produced specifically for the emperor.

20 КИРИЧЕНКО, Архитектор 2016. с. 73–78

21 ЦИТОВИЧ, Храмы 1913, с. 439–440.

22 GIVIASHVILI, MGALOBILISHVILI, Neo-Byzantine, 2025, pp. 192–193, fig.10

23 Illustrazione del Popolo, 18/3, 1923.

24 კებევაძე, ქუთაისის, 2021; ნაცვლიშვილი, ქუთაისი, 123–124; ლორთქიფანიძე, დოკუმენტები, 2023; GIVIASHVILI, MGALOBILISHVILI, Neo-Byzantine, 2025, pp. 193–196.

25 კებევაძე, ქუთაისის 2021, გვ.4–5.

buildings. This may be interpreted as an attempt to modernize the traditional Georgian bell tower.

In terms of form, the *sobor* integrated naturally into the Georgian architectural environment. Moreover, following the vision of its designer, Grigol Gagarin, the structure can be regarded as one of the earliest manifestations of the Neo-Byzantine style in the Russian Empire. In conjunction with the painted decoration of Sioni, it exemplifies an experimental articulation of Gagarin's innovative approach to ecclesiastical art. Gagarin regarded it as a variant of Neo-Byzantine expression.²⁶ The cathedral was not painted, and unlike the previous two cathedrals, a tall multi-tiered wooden iconostasis had been installed here.²⁷

The construction of such a church can be explained by several factors. Firstly, Gagarin had considerable influence at the Russian imperial court. Secondly, Russian authorities did not perceive the Georgian architectural style as a threat, as they felt firmly established in Georgia at the time and did not interpret it as an expression of Georgian national identity.

The cathedral itself was not frescoed; unlike the two preceding cathedrals, it contained a tall, multi-tiered wooden iconostasis. Owing to its formal characteristics, the building did not appear as an alien element within the Georgian context. In 1920, the cathedral was dedicated to the Holy King David the Builder and became the episcopal seat—first of Imereti and subsequently Kutaisi hierarchs. Nevertheless, despite all these circumstances, Alexander Nevsky Cathedral in Kutaisi did not survive the Soviet regime.

On January 30, 1924, a decree was issued by the Bolshevik authorities, which declared that: “The cathedral (*sobor*) is to be demolished. The material is to be used for the fencing of the Brotherhood Cemetery. The square is to be expanded on that site, and a monument to Comrade Lenin is to be erected in place of the cathedral.”²⁸ The cathedral was subsequently dismantled, and a new square was

established in its location, named after Lenin. One of the columns from the building was preserved and used as the pedestal for Lenin's statue. However, the monument is no longer extant.

The Poti *Sobor*

Finally, among the examples of 19th-century cathedral construction, special attention should be given to the Poti Cathedral, whose construction was planned at the end of the century and completed in 1907. In the context of the edifices previously examined, the Poti Cathedral constitutes a remarkable exception, having withstood the vicissitudes of time to maintain its original architecture.

The city experienced significant development into a prominent port center under the leadership of Niko Nikoladze (1843–1928), who served as mayor of Poti. Nikoladze was also responsible for the development of the city's distinctive urban plan, transforming Poti into a European-style city whilst maintaining its function as a maritime hub. In 1895, he presided over the cathedral construction committee, which initially sought to erect a church in the Georgian architectural style. However, this proposal was rejected by the Russian authorities.²⁹ Consequently, a Neo-Byzantine design by architects Zelenko and Marfeld, was selected for implementation.³⁰

This project despite its simplification is regarded as one of the most accurate reinterpretations of the plan and forms of Hagia Sophia in Constantinople within the Russian Empire.³¹ The interior space was not frescoed; instead, the painting of the low Neo-Byzantine iconostasis was executed by Viktor Dumitrashko.

While the cathedral's forms are characterized by the imitation of historical models, its engineering solutions are distinctly modern. The architectural resemblance to the grand cathedral of the Byzantine Empire was achieved through the application of modernist construction principles, most notably the use of reinforced concrete and curved reinforcement within the structural system. The Poti Cathe-

26 მგალობლიშვილი, ნეობიზანტიური 2016, გვ. 98–104.

27 კეზევაძე, ქუთაისის, 2021, გვ. 51.

28 ლორთქიფანიძე ი., დოკუმენტები, 2023.

29 ჭავჭავაძე, (რედ) ივერია, 1900, გვ. 2.

30 გუგუშვილი ნ., და სხვ. ნიკო ნიკოლაძე, 2004, გვ. 29–32.

31 მგალობლიშვილი, ზოგიერთი, 2020–2021, გვ. 98–104.

dral is widely regarded as one of the earliest examples in the architecture of the Russian Empire of the so-called Hennebique reinforced concrete framing system.³² Concomitantly, it is positioned within the category of edifices constructed during the early stages of the emergence of modernist architectural principles on a global scale.³³ This innovation was reported in a French journal, which described both the cathedral's design and the process of constructing its dome.³⁴

During the Sovietization of Georgia, the Poti Cathedral, like many religious structures, underwent a change in function. Its building was adapted for use as a theatre. Following the collapse of the Soviet Union, the structure was repatriated to the Church in 2005 and underwent the restoration conducted by the Studio 9.³⁵

As demonstrated above, the Poti Cathedral is the sole cathedral among the ones discussed that has withstood destruction. This can be explained by two factors. Firstly, the cathedral was not dedicated to Alexander Nevsky, whose name was closely associated with Russian military-imperial expansion. Secondly, the construction of the Poti Cathedral was initiated by a local patron, Niko Nikoladze, a figure of exceptional significance for the city of Poti.

Conclusion

The present study is an attempt to interpret four *sobors* constructed within the Georgian urban space of the 19th and 20th centuries within a unified historical, ideological, and architectural framework. From a stylistic perspective, the architectural expression of the aforementioned cathedrals is highly diverse. The neo-Byzantine structures of Tiflis and Poti conceptually follow the model of Hagia Sophia, while the cathedral of Kutaisi incorporates Georgian architectural forms within the neo-Byzantine traditional idiom. The Batumi cathedral, by contrast, is distin-

guished by characteristics of the neo-Russian style.

Notably, within the Russian Empire, an innovative low-partitioned "neo-Byzantine" altar screen first emerged in Georgia. This form, inspired by traditional Georgian architectural models, was installed in all of the aforementioned churches except the Kutaisi Cathedral, which is the most distinctly Georgian in character. From a technological standpoint, the implementation of reinforced concrete in the construction of the Poti Cathedral constitutes one of the earliest examples of modern construction techniques within the Russian Empire.

Despite the presence of formal and stylistic differences, a close examination of the four cathedrals, when viewed within a broad historical context, clearly reflects the religious and political strategy of the Russian Empire in the Caucasus. These edifices do not merely serve as places of worship; rather, they are materialized expressions of imperial ideology, intended to establish symbolic dominance within the urban landscape. During the Soviet period, the majority of these cathedrals were either destroyed or functionally transformed, reflecting, on the one hand, an anti-religious agenda and, on the other, an attempt to overwrite imperial memory. It is evident that the 19th-century Georgian spatial and cultural environment was subjected to a double erasure. Firstly, it was erased under the auspices of Russian imperial dominance, and subsequently, it was eradicated through the actions of the Soviet regime.

The examination of these four cathedrals enables us to assess how symbolic and political markers of space were constructed, transformed, and ultimately lost, as well as how architecture can function as a direct participant in historical processes, a witness to historical change, and a repository of cultural memory.

32 БАРАНОВСКИЙ (ред.), Строитель, 1905, с. 700

33 Van de VOORDE, Hennebique's 2009, pp. 1453–1461

34 PREVOST, Cathédrale, 1908, pp. 147–153

35 As there is no publication on the mentioned project, see the video on the construction company's social media: <https://www.facebook.com/reel/334588301401340> (last seen: 14.04.2026)

REFERENCES:

- ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტომი 2, თბ., 1963.
- ბუბულაშვილი ე., კავკასიის არმიის სამხედრო ტაძრის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, #15, 2011, გვ. 304-323.
- გერსამია თ., ჯოვანი სკუდიერი: 1816-2016, თბ., 2016.
- გივიაშვილი ი., ბათუმი – მონატრების ქალაქი, ფიროსმანი (Pirosmani), #9, სტამბოლი, 2009, გვ. 4-11.
- გუგუშვილი ნ., ტალახაძე ი., მაჭარაშვილი შ., ჯაფარიძე გ., ნიკოლაძე ნ., უღმობელი საქმის კაცი, თბ. 2004.
- თუმანიშვილი, დ., XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი, თბ., 2020.
- თუმანიშვილი, დ., ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები: უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, თბ., 2022.
- კეზევაძე მ., ქუთაისის საკათედრო ტაძარი (სობორო), ქუთაისი, 2021.
- კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985.
- ლორთქიფანიძე ი., დოკუმენტები და ბეჭდური მედია ქუთაისის საკათედრო ტაძრის (სობორის) დანგრევის შესახებ. ქუთ., 2023.
- მგალობლიშვილი ა. ნეობიზანტიური სტილი საეკლესიო ხელოვნებაში და საქართველო, ჯოვანი სკუდიერი: 1816-2016, გერსამია თ., (რედ).თბ., 2016, გვ. 98-104.
- მგალობლიშვილი ა., მოგიერთი საკითხი ნეობიზანტიური ხელოვნების შესახებ, აკადემია, 8-9 (2020-2021), გვ. 98-104.
- მგალობლიშვილი ა., თანამედროვე ქრისტიანული ცნობიერების და ბიზანტიური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, რელიგიათმცოდნეობითი კრებული, თბ., 2016.
- მგალობლიშვილი ა., საეკლესიო მხატვრობა საქართველოში (1900 - 1921), თბ., 2023.
- ნაცვლიშვილი ნ., ქუთაისი, საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, თბ., 2019, გვ. 113-156.
- სილაგაძე ნ., ჯაბუა ნ., აბასთუმნის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია ისტორიციზმის კონტექსტში, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“, კონფერენციის მასალები, ბათ., 2023, გვ. 194-202.
- შონვაძე თ., XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში, თბ., 2023.
- ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 1995, გვ. 138-152.
- ჭავჭავაძე ი. (რედ), ივერია #98, 1897.
- ჭავჭავაძე ი. (რედ), ივერია, #120, 1900.
- ჭიჭილეიშვილი მ., ძველი ბათუმის საკულტო არქიტექტურა (ზოგადი სურათის დასადგენად), ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, II, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2010 წლის 30-31 ოქტომბერი, ბათ., 2012, გვ. 302-309.
- ხოშტარია დ., ქართული სტილი და იმპერიის არქიტექტორები, არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა XIX საუკუნის თბილისში (1801-1918), დ. ხოშტარია (რედ.), თბ. 2016, გვ. 31-49.
- ხოშტარია დ. (რედ.), არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918), თბ. 2016.
- ხოშტარია დ. (რედ.), საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, თბ., 2019.
- ხოშტარია დ. (რედ.), საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, თბ., 2019.
- BACCI, Michele, FOLETTI Ivan, (eds.). Cultural Interactions in the Medieval Subcaucasian Region: Historiographical and Art-Historical Perspectives. Vols. I-II. CONVIVIA IV. Rome / Brno: Viella; Masaryk University Press, 2023.
- BULLEN Barrie, Byzantium Rediscovered, London, 2003.
- FOLETTI Ivan, Russian Imperialism and the Medieval Past, Leeds, 2024.
- GENGIURI Nato, Architecture of the 19th Century in Georgia and Cultural Identity: Villa Firuze in Borjomi, #7, 2016, pp. 14-25.

- GIVIASHVILI Irene, & MGALOBlishvili Anna, Neo-Byzantine church architecture in Georgia: Between Empire and Nation (1800–1920). A Byzantine century: Political, colonial, and national uses of Neo-Byzantine architecture, 1820s–1920s. Turnhout: Brepols. 2025: pp. 182–200.
- GRIMM David, Monuments d'architecture byzantine en Géorgie et en Arménie, Saint-Petersbourg, 1864.
- KOKRASHVILI Khatuna, The abolition of the Kartli-Kakheti and Imereti Kingdoms, in Russia's expansion in the Caucasus and Georgia, G. Cheishvili (ed.), Rondeli Foundation: <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2792.pdf>
- MANIA Maia, European architects in Tbilisi, Tb., 2006.
- MANIA Maia, German architects in Tbilisi, Tb., 2018.
- PALLADINO Adrien (ed.), A Byzantine century: Political, colonial, and national uses of Neo-Byzantine architecture, 1820s–1920s. Turnhout: Brepols. 2025.
- PREVOST Henri, “Cathédrale de Poti (Russie)”, Le béton armé: organe des concessionnaires et agents du système Hennebique, 126, 1908, pp. 147–153.
- TATARASHVILI N., Die deutschen Siedlungen und das deutsche architektonische Erbe in Georgien German settlements and architectural heritage in Georgia. Tb., 2018.
- Van de VOORDE Stephanie, Hennebique's Journal le Béton Armé. A Close Reading of the Genesis of Concrete Construction in Belgium, Proceedings of the Third International Congress on Construction History, Cottbus, May 2009, Gent, 2009, pp. 1453–1461.
- БАРАНОВСКИЙ Гавриил (ред.), Строитель #18, СПб, 1905.
- БЕГИЧЕВ Константин (ред.), «Кавказ», #133, Тиф., 1902. с. 2–3.
- ГРИММ Давид, Памятники византийской архитектуры Грузии и Армении, т. 1, СПб, 1859.
- ГРИММ Давид, Памятники византийской архитектуры Грузии и Армении, т. 2, СПб, 1866.
- ДЗУЦОВА Ирина, Народное направление в грузинской станковой живописи второй половины XVIII–XIX веков, Тб., 2014.
- СЛИВИЦКИЙ Иван (ред.), Кавказ, 1871, N44.
- КИРИЧЕНКО Евгения, Архитектор Василий Косяков. М., 2016, с. 73–78.
- ЦИТОВИЧ Григорий, Храмы армии и флота. Пятигорск, 1913, с. 440.
- ЭСАДЗЕ Семен, Штурм Гуниба и пленение Шамиля. Тифлис, 1909.
- ЭСАДЗЕ Борис, Боевые подвиги Кавказской армии: альбом Картинной галереи Кавказского военно-исторического музея, с пояснительным текстом, Тифлис, 1919.
- САВЕЛЬЕВ Юрий, “Византийский стиль” в архитектуре России. Вторая половина XIX – начало XX века, СПб, 2005, с. 26– 41.



1. თფილისი 1911-19 წწ. ცენტრში მოსრანს ქალაქის ურბანული დომინანტი, ე.წ. სობორო; წყარო: დიმიტრი ერმაკოვის კოლექცია, ეროვნული არქივი:

NAG_FPA_P_A799_P008_S1_2016_06_28

1. TIFLIS, 1911-1919. AT THE CENTER APPEARS THE CITY'S DOMINANT URBAN LANDMARK, SOBORO, ALEXANDER NEVSKY

MILITARY CATHEDRAL. SOURCE: DMITRI YERMAKOV COLLECTION, NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA: NAG_FPA_P_A799_P008_S1_2016_06_28.



2. აფლში თფილისის ალექსანდრე ნეველის სახმედრო ტაძრის წინ;
წყარო: ეროვნული ბიბლიოთეკა, ბაადურ კობლიანიძის კოლექცია.

2. PARADE IN FRONT OF THE ALEXANDER NEVSKY MILITARY CATHEDRAL IN TIFLIS.

SOURCE: BAADUR KOBLIANIDZE COLLECTION. NATIONAL LIBRARY OF GEORGIA.



3. ბათუმი, სავრთო ხედი ზღვიდან, ცენტრში მოჩანს ურბანული სივრცის დომინანტი, ა.წ. სობორო; წყარო: შოთა გუჯაბიძის კოლექცია
3. BATUMI, PANORAMIC VIEW FROM THE SEA. AT THE CENTER STANDS THE DOMINANT LANDMARK OF THE URBAN LANDSCAPE, SOBORO, ALEXANDER NEVSKY MILITARY CATHEDRAL.
SOURCE: SHOTA GUJABIDZE COLLECTION.



4. ბათუმის ბულვარი, უკანა ფონზე სობორო; წყარო: მიხეილ ალშიბაიას კოლექცია.
4. BATUMI BOULEVARD, WITH THE CATHEDRAL VISIBLE IN THE BACKGROUND.
SOURCE: MIKHEIL ALSHIBAIA COLLECTION.



5. ბათუმის კათედრალის ნგრევა, დაახლოებით 1931, უცნობი ფოტოგრაფი.
წყარო: შოთა გუჯაბიძის კოლექცია.
5. DEMOLITION OF THE BATUMI CATHEDRAL, AROUND 1931. UNKNOWN PHOTOGRAPHER.
SOURCE: SHOTA GUJABIDZE COLLECTION.



6. ჰერის მოხსნა ქუთაისის ალექსანდრე ნეველის კათედრალის გუმბათიდან, 1924 წელი. წყარო: ეროვნული არქივის კოლექცია: FPA_P_F1_45553_F120_BW_NEG_2017_11_21.
6. REMOVAL OF THE CROSS FROM THE DOME OF THE ALEXANDER NEVSKY CATHEDRAL IN KUTAI, 1924.
SOURCE: NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA
COLLECTION: FPA_P_F1_45553_F120_BW_NEG_2017_11_21.

8. ფოთის კათედრალი ჩვენს დროში.
წყარო: Wikipedia
8. THE POTI CATHEDRAL IN THE PRESENT DAY SOURCE: WIKIPEDIA.



7. ფოთის თეატრი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ფოთის კათედრალის ადაპტირებულ შენობაში მდებარეობდა.
წყარო: შოთა გუჯაბიძის კოლექცია
7. THE POTI THEATRE, LOCATED DURING THE SOVIET PERIOD IN THE ADAPTED BUILDING OF THE FORMER POTI CATHEDRAL.
SOURCE: SHOTA GUJABIDZE COLLECTION.



უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოვასხენებთ ხელოვნების მკვლევართა XVIII საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორებს, სადაც შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვედგინა წინამდებარე ნაშრომი. ასევე გვსურს გულ-წრფელი მადლობა მოვასხენოთ საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ბატონ შოთა გუჯაბიძეს, კვლევაში გამოყენებული ფოტომასალის გადმოცემისთვის. განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ მიხეილ ალშიბაიას ხსოვნას, რომელმაც გაგვიზიარა არაერთი ფოტო და ცოდნა ბათუმის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

First and foremost, we would like to express our gratitude to the organizers of the 18th International Conference of Arts Researchers, where we had the opportunity to present the present study. We also wish to extend our sincere thanks to the National Archives of Georgia, the National Library of Georgia, and Mr. Shota Gujabidze for generously providing the photographic material used in this research. Finally, we respectfully commemorate the late Mikheil Alshibaia, who shared with us numerous photographs and his extensive knowledge of the history and cultural heritage of Batumi.

ქუთაისის თეატრის არქიტექტურა და საბჭოთა იდეოლოგიური დისკურსი

ირმა დოლიძე

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა არქიტექტურა; სათეატრო ნაგებობები, შალვა თავაძე, მიხეილ შავიშვილი, ქუთაისის თეატრი.

საბჭოთა პერიოდში არქიტექტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იდეოლოგიური დისკურსების ფორმირებასა და გავრცელებაში. სათეატრო არქიტექტურა, როგორც სივრცითი „მედია“, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვითპრეზენტაციის შესაძლებლობაც იყო და ინსტრუმენტიც.

XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ოთხი ათეული მოქმედი თეატრია. შთამბეჭდავია დაპროექტებულ-აგებული სათეატრო ნაგებობების რაოდენობაც.

1930-50-იან წლებში საქართველოს რეგიონებში, ინტენსიურად მიმდინარეობს სათეატრო ნაგებობების, სახალხო კლუბების, კულტურის სასახლეების მშენებლობა. ისინი შენდება ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებშიც კი. ასეთია სათეატრო ნაგებობები: სოფელ ველისციხეში (1931), ქ. ზუგდიდში (1932; 1944-47), დაბა ჩოხატაურში (1932-33), ქუთაისში (1933-40; 1955), ოზურგეთში (1934; 1962), ხონში (1934-39), გორში (1934/5-1939), ლანჩხუთში (1936), ფოთში (1931-36), დაბა ხულოში (1931-1937), ბათუმში (1930-იანი წლები; 1953), ჭიათურაში (1949), რუსთავში (1950-იანი წლები), სოხუმში (1952), სენაკში (1953-1959) და სხვა.

როგორია ამ პერიოდის სათეატრო არქიტექტურა? არის თუ არა ის საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი? როგორ, რა ფორმით ისახება იდეოლოგია არქიტექტურის კონცეპტუალურ გადაწყვეტასა თუ ინტერპრეტაციაში? არქიტექტურული ერთგვაროვნება თუ პირიქით, მრავალფეროვანი ტრანსფორმაცია? როგორია ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია და რა გავლენას ახდენს ის საბჭოთა პერიოდის სათეატრო არქიტექტურაზე საქართველოში. ეს არის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას ამ სტატიაში შევეცდებით.

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულმა საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ (1918-1921) შეწყვიტა არსებობა. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად (სსრკ) სახელდებული უზარმაზრი სახელმწიფო გაერთიანება მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის სისტემით, სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგიით, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით, საბჭოთა ადა-

მიანის შექმნის იდეა-კონცეფციით და, რა თქმა უნდა, სრულიად იდეოლოგიზებული ხედვით ხელოვნებასა და არქიტექტურაზე. „სოციალისტური რეალიზმი“ წამყვან პოზიციებს იკავებს და საბჭოთა ხელოვნების ერთადერთ ოფიციალურ მართულეზად ყალიბდება. ცხადია, ეს ყველაფერი ერთბაშად არ მომხადარა და იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების თანმდევი იყო, რომელიც 1920-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო ფართო მასშტაბსა და გავლენას იძენდა“.¹

¹ დოლიძე, სათეატრო, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2025, გვ. 297.

საბჭოთა კავშირში და, მათ შორის საქართველოში, გაშლილია ფართომასშტაბიანი მშენებლობები, მზადდება ქალაქების განვითარების გენერალური გეგმები, შენდება სამრეწველო კომპლექსები, მზარდია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ამ ვითარებაში განსკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების: სათეატრო შენობების, სახალხო კლუბების, კინოთეატრების, კულტურის სასახლეების მშენებლობას, როგორც ქალაქებში, ისე დაბებსა და სოფლებში, რაც, ბუნებრივია, არ არის შემთხვევითი და იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელია.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურაში გავრცელებული ეკლექტიკური სტილის საპირისპიროდ „ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე ორი მიმართულება გამოიყოფა. ეს იყო, ერთი მხრივ, ცდა თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში ეროვნული არქიტექტურული ფორმების გამოვლენისა, ან როგორც მაშინ ამბობდნენ, „ქართული სტილის“ შექმნისა, ხოლო მეორე მხრივ – რაციონალიზმისა და კონსტრუქტივისტული არქიტექტურის პრინციპების შეთავსება“.²

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს სათეატრო ნაგებობებისა და კულტურის სახლების მშენებლობა. წინა საუკუნისგან განსხვავებით, ამ პროექტებზე ქართველი არქიტექტორები მუშაობენ. პროფესიული განათლება მათ უკვე სამშობლოში აქვთ მიღებული.

სათეატრო არქიტექტურისადმი გამოკვეთილი ინტერესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იყო შემთხვევითი. უპირველეს ყოვლისა, ის ახალი, საბჭოთა იდეოლოგიის ამსახველ-გამომხატველი უნდა გამხდარიყო, რომლის მთავარი გზავნილი – კულტურა მასებისთვის და არა საზოგადოების პრივილეგირებული ფენისთვის (როგორც ეს მაინამდე იყო), საყოველთაო ხელმისაწვდომობის კეთილშობილურ მიზნებსაც ემსახურებოდა. ამასთან, სათეატრო შენობებს თავისი მონუმენტურობითა და გამორჩეული დეკორატიული მორთულობით, ვიზუალურად უნდა მოეხდინა სახელმწიფოს სიდიადის დემონსტრირება. ამ მხრივ საბჭოთა სათეატრო არქიტექტურა იდეოლოგიური გავლენის

ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც საბჭოთა მოქალაქე ამ „სიდიადის“ ნაწილად მოიაზრებს თავს.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ინვესტიციებს დებადა ფართომასშტაბიან, შენებლობებში, მათ შორის თეატრებში და ეს პროცესი თვალსაჩინოა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდის საბჭოთა საქართველოში ათეულობით თეატრია. 1935 წლის სტატისტიკით – 35 მოქმედი თეატრი.³ შესაბამისია ამ პერიოდში დაპროექტებული და აგებული სათეატრო შენობების რაოდენობაც.

1930-იანი წლები სტალინური ამპირის დამკვიდრების ხანაა. „სტალინური ამპირი“, იგივე „სოციალისტური კლასიციზმი“ მკვეთრად გამოყოფილ დროით საზღვრებში თავსდება: ესაა 1933-1955 წლები. მისი დასაწყისიც და დასასრულიც პარტიულ გადაწყვეტილებებს უკავშირდება და სამთავრობო დადგენილებების თარიღებითაა განსაზღვრული. ის მკაფიოდ განსხვავდება საბჭოთა არქიტექტურის როგორც წინა, 1920-იანი წლების ეტაპისაგან, ისე – 1955 წელს მომხდარი ცვლილების შემდგომი პერიოდის არქიტექტურისგან.⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მართლაც გრანდიოზული მშენებლობების ხანაა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. გრანდიოზულია არა მხოლოდ სამთავრობო-ადმინისტრაციული, არამედ სათეატრო ნაგებობები (ქუთაისი, ერევანი, მინსკი, ნოვოსიბირსკი, როსტოვი და სხვა), კულტურის სასახლეები, კლუბები, 1 500-დან 2 500 მაყურებელზე გათვლილი დარბაზებით (სანქტ-პეტერბურგი, ხარკოვი, მოსკოვი, ბაქო, კიევი).

1930-იან წლებში დაპროექტებული თეატრები ნათლად აჩვენებს კლასიკური არქიტექტურისადმი სწრაფვას, რაც არა მარტო დეკორში, არამედ, პირველ ყოვლისა, საერთო არქიტექტურულ გადაწყვეტაში ისახება, განმასხვავებელი თავისებურებაა – პომპეზურობისა და გიგანტურობისკენ მიდრეკილება. რითაც ხაზი ესმება საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ სახელმწიფოს. „ოცდაათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში აშენებულია ბევრად მეტი სათეატრო შენობა, ვიდრე ერთად აღებული ევროპის ქვეყნებში. თეატრების კაპიტალური ნაგებობები, 800-დან 2 500-მდე ტევა-

2 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 99-100.

3 რა ხდება საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელოვნება, N1, 1935, გვ. 61.

4 გენგიური, სტალინური, 2012, გვ. 228.

დობის, აგებულია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა დედაქალებსა და მსხვილ ქალაქებში“.⁵

აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათად სათეატრო ნაგებობების მშენებლობა წლები გრძელდებოდა, ამ ვითარებაზე გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომამაც (1939–1945), რომელშიც საბჭოთა კავშირი 1941 წლიდან ჩაერთო. ამიტომ 1930–იან წლებში დაწყებული არაერთი სათეატრო ნაგებობის მშენებლობა ომის დასრულების შემდეგ გაგრძელდა, რამაც, ბუნებრივად განაპირობა ცვლილებები ნაგებობათა როგორც არქიტექტურულ (მასშტაბი, მოცულობა, ტევადობა და ასე შემდეგ), ისე დეკორატიულ გადაწყვეტაშიც.

1930–50–იანი წლების სათეატრო არქიტექტურის საინტერესო და ამავდროულად ტიპური ნიმუშია ქუთაისის თეატრის შენობა. მისი მშენებლობა 1933 წელს დაიწყო არქიტექტორ შალვა თავაძის პროექტით და 1940 წლამდე გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, კვლავ განახლდა, მხოლოდ არა შალვა თავაძის, არამედ მიხეილ შავიშვილის პროექტით.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა 1955 წელს დასრულდა.

ამდენად, ორ ეტაპად აგებული ქუთაისის სათეატრო ნაგებობის მაგალითზე, რომლის თავდაპირველი პროექტი 1930–იან, საბოლოო კი 1950–იანი წლებს ეკუთვნის. შეგვიძლია თვალი გავადევნოთ 1930–იანი და 1950–იანი წლების საბჭოთა არქიტექტურის ძირითად ტენდენციებს საქართველოში (სურ. 1, 2).

ახალი სათეატრო შენობის აგების საკითხი ქუთაისში წლების მანძილზე იდგა. ამის დასტურია 1933 წლის „სალიტერატურო გაზეთში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია: „უკანაკნელი ორი წლის განმავლობაში ქუთაისში აშენდა 4 ახალი მუშათა კლუბი, 2 კინო თეატრი და რამდენიმე სამკითხველო მუშათა საწარმოო რაიონებში; მიუხედავად ამისა, ქალაქის წინაშე მაინც გადაუჭრელი დარჩა ერთი მთავარი საკითხი, – სახელდობრ ქალაქის ცენტრალურ თეატრის აშენების საკითხი“.⁶

ამ მიზნით ქუთაისში თეატრის სააღმშენებ-

ლო კომიტეტიც ჩამოყალიბებულა და 1933 წლის დასაწყისში გამართულ კომიტეტის პირველივე სხდომაზე სათეატრო ნაგებობის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაც დაუმტკიცებიათ. 1300 მაყურებელზე გათვლილ თეატრს 700–ადგილიანი საკონცერტო დარბაზიც უნდა ჰქონოდა. მშენებლობის დაწყება 1933 წელსვე იყო ნავარაუდევო, დასრულება კი 1935 წელს.

ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, ქუთაისის თეატრის პროექტი 1933 წელს უკვე არსებობს. მისი ავტორი ახალგაზრდა არქიტექტორი შალვა თავაძეა, რომელმაც 1928 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, 1931 წელს კი მოსკოვის უმაღლესი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსტიტუტი. სავარაუდოდ, ქუთაისის თეატრის პროექტი შალვა თავაძის ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარია, თითქმის პარალელურად ის გორის თეატრის პროექტზეც იწყებს მუშაობას არქიტექტორ მიხეილ ჩხიკვაძესთან ერთად.⁷

ქუთაისის თეატრის პროექტზე წარმოდგენას გვიქმნის შალვა თავაძის სტატია, „სოციალისტური ხუროთმოძღვრების მორიგი გიგანტი (ქუთაისის თეატრი)“, დაბეჭდილი 1936 წელს, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ და თავად სათეატრო ნაგებობის ნახაზი ავტორისავე ხელმოწერით (ინჟინერ-არქიტექტორი შალვა თავაძე).⁸ ეს მცირე მოცულობის სტატიან გარდა იმისა, რომ თავად თავაძის მიერაა დაწერილი, ნათლად გვიჩვენებს მისი ჩანაფიქრის მასშტაბურობას და ასახავს ეპოქის საერთო სურათსა და სულისკვეთებას.

„ქუთაისის თეატრი, რომელიც დაიტევს 900 მაყურებელს, ახლო მომავალში აღიმართება ერთიან მონუმენტად. მას ირგვლივ ახლავს თავისუფალი ვრცელი მოედანი, საიდანაც განიერ კიბეებით გადადიხართ მეორე მოედანზე. აქ გხვდებათ ღირსეულ მოღვაწეთა სახეები და ტრიბუნები. წინ გაშლილია პარიზის კომუნის სახელობის საზეიმო მოედანი გამშენებული შადრევნებით, აუზით. თეატრი შემკობილია თეთრი, ალისფერი ქვისგან, მაღალი სვეტებით, ფართე ფანჯრებით, რომლის შიგნით გამართულია სართულშორისი ბალკონები. კედლები, ბოძები, ფანჯრები, მორთულია

5 Корнфельд, Архитектура, 1948, с. 8–16.

6 სალიტერატურო გაზეთი, #5 (32), 1933, გვ. 4.

7 1941–1955 წლების პერიოდი შალვა თავაძის ბიოგრაფიაში არ ჩანს. ქრონოლოგიურად იგი ქუთაისის თეატრის მშენებლობის შეჩერებასაც ემთხვევა. ამ „დუმილის“ მიზეზი უცნობია, თუმცა 1930–იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები გვაფიქრებინებს, რომ შალვა თავაძეც (1907–1989) რეპრესირებული იყო, თუმცა ის არ დაუხვრეტიათ.

8 საბჭოთა ხელოვნება, N1–2, 1936, გვ. 65.

ქართული ჩუქურთმებით, რომელთა შემკულობაში ჩასმულია ბელადების და ცნობილ მოღვაწეთა სახეები.

შედიხარ თეატრში, ირგვლივ თითქოს ფარშევანგის ფრთის ციმციმია. დარბაზი განათებულია გამჭვირვალე ქვის თასებიდან და ბოძებიდან. ჭერიდან თითქოს ვარსკვლავებიდან, შუქის სვეტები ანათებენ დარბაზის შუა აუზში მოცურავე პირებს. უეცრად დარბაზში გაიღება ხიდი და ქანდარიდან სცენისკენ გაივლის პიონერთა რაზმი, საყვირზე დაიძვრება ერთი წყება საჯდომი ადგილებისა და მოექცევა სცენის მოპირდაპირე მხარეს. აუზი იხურება. შუა დარბაზში გაიშლება მოედანი, რომელზედაც პანდუსებით ამოდის მანქანები, სცენის გუმბათზე ეფინება კინოსურათი, იხურება ფარდა და სხვა.

დასვენების დროს მაყურებლები ათვალიერებენ თეატრალურ მუზეუმს, დასაყრდენს სახურავის ვერანდაზე, საიდანაც მოსჩანს ქუთაისის მშვენიერი პანორამა.

თეატრის ნაგებობის მეორე სართული უკვე მთავრდება.⁹

ამდენად, 1936 წლისთვის თეატრის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია. ეს არ არის მხოლოდ ერთი ნაგებობა, არამედ მთელი კომპლექსია, რომელიც ცვლის და აყალიბებს ქალაქის ცენტრალური მოედნის ახალ ურბანულ, მხატვრულ და იდეოლოგიურ აქცენტებს, თეატრის შენობა, რომელიც „ალიმართება ერთიან მონუმენტად“ ქართული ჩუქურთმებითაა მორთული.

თავად არქიტექტორის აღწერილობიდან ვიგებთ, რომ ქუთაისის თეატრის მაყურებელთა დარბაზი და სცენა სრულადაა მექანიზებული და ითვალისწინებს როგორც დრამატული წარმოდგენის, ისე სპორტული სანახაობის გამართვის შესაძლებლობას (მაგ. სათამაშო მოედნად ტრანსფორმირებული აუზი, დარბაზისა და ქანდარის დამაკავშირებელი მოძრავი კონსტრუქცია და სხვა). იმ დროისათვის ამ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, ბუნებრივია, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დღის წესრიგში თეატრის „რეალისტურ მოთხოვნებთან შესაბამისობის“ ვალდებულებაც იდგა. ეს კი მთელ რიგ ცვლილებებს განაპირობებდა პროექტშიც და მშენებე-

ლობის დროსაც. ასე მოხდა ქუთაისის თეატრის შემთხვევაშიც. თავდაპირველად 2 000 ადგილზე¹⁰ გათვლილი მაყურებელთა დარბაზი 1500-მდე, შემდეგ კი 900 მაყურებელამდე შემცირდა. 1936 წლისთვის, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ შალვა თავაძის ზემომოყვანილი სტატია დაიბეჭდა, სათეატრო შენობის მოცულობა უკვე 900 ადგილზეა განსაზღვრული..

გამოქვეყნებული ნახაზის მიხედვით, ქუთაისის თეატრის შენობა უზარმაზარი მასშტაბისაა. „ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განლაგებული გრანდიოზული კომპლექსი განსხვავებულ დონეებადაა დაპროექტებული. თავად სათეატრო ნაგებობა საფეხურებიან შემადგენელ დგას და ვრცელი გარშემოსავლელი აქვს. გეგმაში წაკვეთილი ოვალის ფორმის შენობა უხვადაა დეკორირებული. მრგვალი ქანდაკებებითაა შემკული გარშემო მოედანი, ასევე, სამ საფეხურად დანაწევრებული ნაგებობის დამასრულებელი ბალუსტრადები. შენობა ოთხი მხრიდან სვეტებიანი პორტალებითაა დამშვენებული. ცენტრალური (აუზისა და შადრევნისკენ გახსნილი) – გამორჩეულია ზომებითა და კოლოსალური ორდერით. ექსტერიერი შემკულია თაღნარით, ღია კოლონადით, მრავალრიცხოვანი ცალკე მდგარი ქანდაკებით, სხვადასხვა ტიპის დეკორით. მათ შორის ქართული ჩუქურთმებით. კლასიკური არქიტექტურის ფორმებთან ერთად, გამოყენებულია ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების მოტივები“.¹¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისის თეატრის მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს დაკონსერვდა (ამოყვანილი იყო ცოკოლის და პირველი სართულის კედლები. სცენის მხარეს კი მესამე სართულის ნაწილიც). მშენებლობის პროცესი განახლდა 1945 წელს, არქიტექტორ მიხეილ შავიშვილის (1894-1958) პროექტით. თეატრის შენობა საზეიმოდ გაიხსნა 1955 წლის 7 ნოემბერს ლეო ქიაჩელის პიესით „ტარიელ გოლუა“. სტალინის სახელობის მოედანზე აგებული თეატრის წინ, პირველი პროექტით გათვალისწინებულ მრავალრიცხოვან ქანდაკებათა ნაცვლად, ამჯერად ერთადერთი მონუმენტური ქანდაკება ალიმართა და, რა თქმა უნდა, ეს საბჭოთა ბელადის, სტალინის, ძეგლი იყო.

9 საბჭოთა ხელოვნება, N1- 2, 1936, გვ. 64.

10 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 325.

11 დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურა XX საუკუნის 30-იან წლების საქართველოში – ქუთაისის თეატრის შენობის თავდაპირველი პროექტი, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2025, გვ. 303

ახალი სათეატრო ნაგებობის გახსნა ქუთაისში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ ფაქტს მომდევნო დღესვე გამოეხმაურა პრესა. გაზეთი „კომუნისტი“ სტატიაში „ძვირფასი სადღესასწაულო საჩუქარი ქუთაისის მშრომელებს“ დეტალურ ინფორმაციას აწვდის მკითხველს თეატრზე. აღნიშნული ინფორმაცია, ბუნებრივია, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ამიტომ ვრცელი ამონარიდი მოგვყავს სტატიიდან:

„ქუთაისელმა მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28-ე წლისთავის დღესასწაულისათვის მიიღეს ძვირფასი საჩუქარი – თეატრის ახალი შენობა... ახლა ქალაქის თითქმის ყველა კუთხიდან გარკვევით მოჩანს დიდებული, მონუმენტური შენობა. ქართული არქიტექტურის წინსვლის მკაფიო მაგალითია გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვრის, მიხეილ შავიშვილის მიერ შექმნილი ეს შესანიშნავი ნაგებობა.

თეატრის მთავარი შესასვლელი შემოსილია ეკლარის მოჩუქურთმებული ქვით. მნახველის თვალს იტაცებს ქართული მარმარილოს მრავალფეროვნება, მარმარილოს სვეტები, მხატვრული მოზაიკით შესრულებული იატაკი, ფერადი პარკეტი, წითელის ხის კარ-ფანჯრები.

თეატრის სასცენო ნაწილი სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე საბჭოთა თეატრის ყველა მოთხოვნას. თეატრის სცენა მთლიანად მექანიზებულია. მოძრავი წრის დიამეტრი 15 მეტრს უდრის, რაც უაღრესად გააადვილებს დეკორაციების შეცვლას და სპექტაკლების მსვლელობას.

მაყურებელთა დარბაზს, რომელიც 1 100 კაცს იტევს, ამშვენებს დიდი ჭალი 120 ელექტროლამპიონით. დარბაზი ნალისებური ფორმისაა, რაც უზრუნველყოფს სმენისა და ხედვის ერთნაირად კარგ პირობებს პარტერში და იარუსებზე.

თეატრის დარბაზი და მის ირგვლივ სათავსები გემოვნებით არის გაფორმებული. არქიტექტურულ გაფორმებაში გამოყენებულია ფერწერული ფრესკული ორნამენტი, ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილო, მხატვრული მოზაიკა, მაგარი ჯიშის ხე და სხვ... აქ არის ნიჭიერი მოქანდაკის ვ. მიზანდარის, გამოჩენილი მეჩუქურთმეების პ. აბესაძის, ლ. ბაზაძის, დ. მამრიკიშვილის და სხვათა მაღალი ოსტატობით შესრულებული ქართული ჩუქურთმები. სამხატვრო სამუშაოების შესრულებაში თავი ისახელეს მხატვრებმა: გ. ცაგარეიშვილმა, ჯ. ქათამაძემ, გ. ჩხარტიშვილმა და ნ. ლარიბაშვილ-

მა. თეატრის მთავარი დარბაზის ჭერის სამხატვრო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეუსრულებიათ მ. თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულებსა და მოსწავლეებს...

ქუთაისის ახალი დრამატული თეატრი ჩვენი რესპუბლიკის მშვენიერაა თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და არქიტექტურული გაფორმებით. ეს შესანიშნავი შენობა ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვანი დრამატული თეატრების გვერდით შეიძლება დავაყენოთ“.¹²

ქუთაისის სათეატრო ნაგებობის რთული სტრუქტურის მქონე გეგმა ოვალშია ჩაწერილი და ოთხივ მხრივ სიმეტრიულად განლაგებული შესასვლელებით აქცენტირებული, რომელთაგან უმთავრესი მოედნისკენ გახსნილი მთავარი შესასვლელია. იგი 4 შეწყვილებული სვეტის მონუმენტური პორტიკითაა წარმოდგენილი, მოედანთან დამაკავშირებელი ფართო კიბეებითაა და პანდუსებით.

მაყურებელთა დარბაზის გეგმა ნალისებური ფორმისაა (ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტა ხედვითი და აკუსტიკური თვალსაზრისით). იგი სამ იარუსს აერთიანებს. თანდათან ამალელებული პარტერის რიგები უკან ლოჟებით სრულდება. მართალია, მიხეილ შავიშვილმა გაითვალისწინა სათეატრო ნაგებობის უკვე არსებული, აშენებული სტრუქტურა, თუმცა, 900 ადგილზე გათვლილი მაყურებელთა დარბაზის ტევადობა ახალი პროექტით 1100-მდე გაზარდა.

დარბაზის გარშემო მოწყობილია გალერეები, გარეთ გასასვლელი ტერასები და აივნები. თავად დარბაზის კედლები დაფარულია მცენარეულ მოტივებზე შექმნილი ორნამენტული მხატვრობით, რომელიც ზევით კედლის თაღოვანი რიგით სრულდება. მხატვრობითაა შემკული დარბაზის პლაფონიც, ცენტრში ბრინჯაოს ორნამენტებიანი ნახევარსფერული ბროლის ჭალით. მთლიანობაში მაყურებელთა დარბაზი საზეიმო ხასიათისაა და ჟღერადი კოლორიტით გამოირჩევა.

ოთხსართულიანი სათეატრო ნაგებობის ბოლო სართულზე წარმოდგენილია მუზეუმი, ბუფეტი, სარეპეტიციო დარბაზი, სამხატვრო სახელოსნო და ასე შემდეგ. სასცენო ნაწილის გარშემო კი – მსახიობთა საპირფარეშოები, გრიმიორის, რეჟისორის ოთახები, მსახიობთა ფოიე და სხვა სივრცეები. ზოგადად, სათეატრო ნაგებობის გეგმაში გათვა-

12 მეფისაშვილი, კინწურაშვილი, ძვირფასი, კომუნისტი, 08.11, N264, 1955.

ლისწინებულება თეატრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა პირობა.

შთამბეჭდავია სათეატრო ნაგებობის ექსტერიერი. ერთიანი არქიტექტურული მოცულობა პორტიკისა და ლოჯიათა სვეტნარით შუქ-ჩრდილისა და ფორმათა ერთმანეთში გადასვლის ფერწერულ ეფექტს ქმნის. წამყვანი როლი აქ თაღედის სისტემას ენიჭება. იგი საერთო არქიტექტურული და მხატვრული გადაწყვეტის გამაერთიანებლადაც გვევლინება. „ისევე, როგორც ინტერიერში, დეკორი ქართული არქიტექტურის ორნამენტული მოტივებისა და საერთო გაფორმების პრინციპებს ეყრდნობა. ასეა შედგენილი ეკლარის ქვის კედელზე ვიწრო და მაღალი კედლის თაღები, ლოჯიათა სვეტების კაპიტელები, მოჩარჩოებანი გვერდის პორტიკებზე და სხვ. მთავარი პორტიკის კაპიტელთა ელემენტები აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების რეპერტუარიდან არის აღებული, მაგრამ მათი ნახატი ორიგინალურია. კოლონების ვიწრო სვეტების „კონად“ წარმოდგენაც ქართული არქიტექტურის მოტივებითაა ნაკარნახევი, ისევე როგორც რთული კარნიზის მორთულობის ელემენტები და სხვ.“¹³

თავდაპირველ ჩანაფიქრთან შედარებით, ქუთაისის თეატრი შედარებით სადა ნაგებობაა, აქ აღარ არის მრგვალი ქანდაკების ათეულობით ნიმუში, რომელიც 1930-იანი წლების პროექტით იყო გათვალისწინებული. შენობა, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად მონუმენტურია, თუმცა ის გიგანტური მასშტაბი აღარ აქვს.

1933 წლის პროექტის მსგავსად, თეატრის შენობა ქალაქის ცენტრალური მოედნის სივრცითი დომინანტია. სამიარუსიანი მონუმენტური ნაგებობა მოედნისკენ საზეიმო პორტიკით, პანდუსებითა და კიბეებითაა გახსნილი. შენობის მთელ სიმაღლეზე, კოლოსალური ორდერის შეყვანილებული სვეტებით გამოთლიანებული მთავარი ფასადია (სურ. 3, 4).

თეატრის ექსტერიერის დეკორატიულ გადაწყვეტაში ერთნაირად მონაწილეობს კლასიკური არქიტექტურა და შუა საუკუნეების ეროვნული საკულტო ხუროთმოძღვრების დეკორატიული მოტივები. ასეთია, მეორე სართულის თაღნარით შემკული ღია გალერეები, იონური და კორინთული კაპიტელებით შემკული სვეტები. მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული კარნიზები, სარკმელთა საპირეები, მოაჯირები,

თაღის ტიმპანები.

მიხეილ შავიშვილის შემოქმედებაში ქუთაისის თეატრი ერთადერთი ამ ტიპის ნამუშევარია, შალვა თავაძისგან განსხვავებით, რომელსაც ეკუთვნის გორის დრამატული თეატრის პროექტი (მიხეილ ჩხიკვაძესთან ერთად, 1934/5-1939), შავიშვილს სათეატრო არქიტექტურის მიმართულებით აღარ უმუშავია, იგი 1958 წელს გარდაიცვალა.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის შენობა, რომელსაც დღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, ერთი ეპოქისა და ორი ავტორის შემოქმედების ნაყოფია. ქუთაისის თეატრის ამ მაგალითზე შესაძლებელია რიგი იმ მახასიათებლების გამოყოფა, რომლებიც აღნიშნული ეპოქისთვისაა ნიშანდობლივი. ასეთია სათეატრო ნაგებობათა მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ქალაქებისა თუ სოფლების განაშენიანებაში. ისინი პროექტდება და შენდება მოედნებზე, არქიტექტურული ანსამბლების ცენტრში და ორგანულად ერთვება ურბანულ გარემოში. ქუთაისის თეატრის გარდა, ამის მკაფიო მაგალითებია გორში, ხულოში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, ჭიათურაში, ბათუმში, სოხუმში აგებული სათეატრო ნაგებობები. მათ არქიტექტურულ გადაწყვეტაში კლასიკური მოტივების პარალელურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმები, რაც ამ პერიოდის არქიტექტურის თავისებურებადაც გვევლინება.

ცნობილ ფორმულას „შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური“¹⁴

თითქოს ხელიც უნდა შეეწყო ამ პროცესისთვის, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის 1930-50-იან წლების საბჭოთა საქართველოში, ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი არსებული და, ამავდროულად, სულ უფრო მზარდი ინტერესი, პირველ ყოვლისა, საკუთარი იდენტობის გამოხატვისა და მხატვრული ენის ძიების პროცესის მაჩვენებელია. ქვეყანა, რომელმაც დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თვითგამოხატვას ეროვნული მხატვრული ფორმების ძიებასა და რეპრეზენტაციაში ცდილობს. მით უფრო იმ იდეოლოგიური წნეხის პირობებში, როდესაც ხელოვნებას და არქიტექტურას მკაცრად განსაზღვრულ იდეოლოგიურ ჩარჩოშია მოქცეული და ერთადერთ მხატვრულ

13 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 330.

14 Сталин, О политических, Речь на собрании студентов КУТВ, 18 мая 1925 г. Сталин И.В. Сочинения, 1952. Т. 7., с. 138.

მეთოდად „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპია აღიარებული. მიუხედავად ამისა, სახეზეა საბჭოთა პერიოდის სათეატრო არქიტექტურის ერთ-ერთი სახასიათო და, ამავედროულად, გამორჩეული ნიმუში, რომელიც 1930-იანი და 1950-

იანი წლების სტალინური ამპირისა და ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციითა თანაარსებობის საინტერესო მაგალითად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გიური ნ., სტალინური ამპირი - იდეოლოგიური ინსცენირება (შედარებითი ანალიზი გერმანიისა და იტალიის ფაშისტურ არქიტექტურასთან), კრებული XX საუკუნის ხელოვნება, ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში 1930-1960, თბ., 2012.
- დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურა XX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში - ქუთაისის თეატრის შენობის თავდაპირველი პროექტი, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში, კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2025.
- თავაძე შ., სოციალისტური ხუროთმოძღვრების მორიგი გიგანტი, საბჭოთა ხელოვნება, N1-2, 1936.
- რა ხდება საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელოვნება, N1, 1935.
- ციციშვილი ირ., ქართული საბჭოთა არქიტექტურა 50 წლის მანძილზე, თბ., 1970.
- ჯანბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურა, ხელოვნება, თბ., 1971.
- სალიტერატურო გაზეთი, N5 (32), 1933.
- კომუნისტი, 08.11, N264, 1955.
- კომუნისტი, N168, 1930.
- Корнфельд Я., Архитектура Страны Советов, Театры, Издательство Академии Архитектуры СССР, Москва, 1948.
- Сталин И.В., О политических задачах университета народов Востока. Речь на собрании студентов КУТВ. 18 мая 1925 г. Сталин И.В. Сочинения, Москва, 1952. Т. 7.
- Чантурия А., Капитальное строительство Грузии и перспективы его развития, Тб., 1975.
- Paperny V., Architecture in the Age of Stalin: Culture Two, Cambridge, 2002. <https://www.scribd.com/doc/210969794/Architecture-in-the-Age-of-Stalin-Vladimir-Paperny> 04/08/2026.

ARCHITECTURE OF THE KUTAIISI THEATER AS AN EXPRESSION OF SOVIET IDEOLOGICAL DISCOURSE

Irma Dolidze

Keywords: Soviet architecture; theatre buildings; Shalva Tavadze; Mikheil Shavishvili; Kutaisi Theatre

Architecture in the Soviet period played a significant role in shaping and disseminating ideological discourses. Theatre architecture, as a spatial “medium,” functioned both as an opportunity and as an instrument for political and state self-representation.

In the first half of the 20th century, there were around forty active theatres in Georgia. The number of designed and constructed theatre buildings is also impressive.

During the 1930s–1950s, the construction of theatre buildings, people’s clubs, and palaces of culture proceeded intensively in the regions of Georgia. These were built not only in cities, but also in district centers and villages. Examples of such theatre buildings include those in the village of Velistsikhe (1931), the city of Zugdidi (1932; 1944–47), the town of Chokhatauri (1932–33), the city of Kutaisi (1933–40; 1955), the city of Ozurgeti (1934; 1962), the city of Khoni (1934–39), the city of Gori (1934/5–1939), the city of Lanchkhuti (1936), the city of Poti (1931–36), the town of Khulo (1931–1937), the city of Batumi (1930s; 1953), the city of Chiatura (1949), the city of Rustavi (1950s), the city of Sukhumi (1952), Senaki (1953/1959), and others.

What characterizes theatre architecture of this period? Is it part of Soviet propaganda? In what ways, and in what forms, is ideology reflected in the conceptual design or interpretation of architecture? Does architectural uniformity prevail, or, on the contrary, do we observe diverse transformations? What is the role of local artistic tradition, and how does it influence Soviet-period theatre architecture in Georgia? These are the questions this article seeks to address.

In 1921, the independent Republic of Georgia (1918–1921) ceased to exist following its occupation by Bolshevik Russia. Georgia became part of the Soviet Union. “The vast state formation known as the Union of Soviet Socialist Republics (USSR) was characterized by a strictly centralized system of governance, a socialist-communist ideology, new political and economic structures, the concept and

idea of creating the “Soviet person,” and, of course, a fully ideologized view of art and architecture. “Socialist Realism” came to occupy a leading position and was established as the only official direction of Soviet art. Naturally, all of this did not occur overnight; rather, it accompanied significant political and economic processes that, beginning in the 1920s, gradually expanded in scale and influence.”¹

1 Dolidze, I. Theatre Architecture in Georgia in the 1930s. The initial project of the Kutaisi Theatre Building Proceedings of the 7th International Scientific Conference, 2025, p. 297. (in Georgian).

In the Soviet Union, including Georgia, large-scale construction projects were underway: master plans for urban development were being prepared, industrial complexes were built, and the process of industrialization was rapidly expanding. In this context, particular attention was given to the construction of theatre buildings, people's clubs, cinemas, and palaces of culture in cities as well as in towns and villages. This focus was by no means accidental and clearly carried an ideological charge.

In contrast to the eclectic style prevalent in 19th-century and early 20th-century architecture, "at the first stage of the development of Georgian Soviet architecture two directions emerged. On the one hand, there was an attempt to reveal national architectural forms within modern architecture, or, as it was said at the time, to create a 'Georgian style'; on the other hand, there was an effort to integrate the principles of rationalism and constructivist architecture."²

Since the 1930s, the construction of theatre buildings and cultural houses has been actively underway in Georgia. Unlike the previous century, Georgian architects are now working on these projects. They have already received their professional education in their homeland.

The pronounced interest in theatre architecture, as noted above, was by no means accidental. First and foremost, it was intended to embody and express the new Soviet ideology, whose main message was that culture belonged to the masses, not to a privileged segment of society (as had been the case previously), thereby serving the noble goal of universal accessibility. At the same time, theatre buildings, through their monumentality and distinctive decorative ornamentation, were meant to visually demonstrate the grandeur of the state. In this respect, Soviet theatre architecture functioned as an instrument of ideological influence, through which the Soviet citizen could perceive themselves as part of this "grandeur."

The Soviet state made significant investments in large-scale buildings, including theatres, and this

process was evident throughout the entire Soviet Union.

It is important to note that during this period in Soviet Georgia, there were dozens of theatres. According to 1935 statistics, there were 35 active theatres.³ This corresponds to the number of theatre buildings designed and constructed during this period.

- Жизнь А. С. Грибоедова на Кавказе, Кавказ, № 4, 5 января 1895 г., с. 2–3.
- Іванюк О., Осетянова Д., Конструювання «російського» Криму: імперські монументи та пам'ятні знаки XIX – початку XX століть, Вісник Маріупольського державного університету. Серія: Історія. Політологія, вип. 41, 2025, с. 32–47. DOI: 10.34079/2518-1521-2025-16-41-32-47.
- Кавказский календарь на 1856 год, Тифлис, 1855.
- Кайшаури В., Победа молодого скульптора, Вечерний Тбилиси, № 29, 9 июня 1959 г.
- Кривдина О. А., Скульпторы братья Крейтаны, Немцы в Санкт-Петербурге: биографический аспект, вып. 4, Санкт-Петербург, 2008, с. 81–90.
- Лаине О., Грибоедов в Тбилиси, Заря Востока, № 79 (11704), 4 апреля 1963 г., с. 4.
- Мтацминдский монастырь, Кавказ, № 108, 26 апреля 1890 г., с. 1–2.
- Открытие памятника в Тифлисе Светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 г., Тифлис, 1867.
- Открытие памятника князю М. С. Воронцову в Одессе, Кавказ, № 93, 28 ноября 1863 г., с. 551–552.
- Ткаченко Д. С., Невоздвигнутый памятник П. Д. Цицианову: Имперская идея в мемориальной деятельности Кавказской администрации во второй половине XIX – начале XX вв., Научная мысль Кавказа, № 3, 2016, с. 68–73. DOI: 10.18522/2072-0181-2016-87-3-68-73.
- Урушадзе И., Ум и дела твои бессмертны. Памятник А. С. Грибоедову, Заря Востока, № 4 (11324), 5 января 1962 г., с. 4.
- Шах-Азизов К., Тифлисскому русскому театру — имя А. С. Грибоедова, Заря Востока, № 244 (3355), 20 октября 1934 г., с. 4.

1. ოტო სიმონსონი.
ვორონცოვის მონუმენტი
(უ-8091; I 2056/42), პაღალდი,
ფანქარი, 25 × 32 სმ.
საქართველოს ეროვნული
მუზეუმი, თბილისის
ისტორიის მუზეუმი. ©
საქართველოს ეროვნული
მუზეუმი.

1. OTTO SIMONSON. THE
VORONTSOV MONUMENT
(U-8091; I 2056/42), PAPER,
PENCIL, 25 × 32 CM.
GEORGIAN NATIONAL
MUSEUM, TBILISI HISTORY
MUSEUM. © GEORGIAN
NATIONAL MUSEUM.



2. ვორონცოვის ძეგლი, თფილისი. გრავიორი:
დიურსტერდიკი; ლითოგრაფი: კ. თომსონი.
გამოცემიდან: Открытие памятника в Тифлисе Светлейшему
князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 г.,
Тифлис, 1867.

© საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

2. THE VORONTSOV MONUMENT, TIFLIS. ENGRAVER:
DÜRSTERDICK; LITHOGRAPHER: K. THOMSON. FROM
THE PUBLICATION: OTKRYTIE PAMYATNIKA V TIFLISE
SVETLEYSHEMU KNYAZYU MIKHAILU SEMENOVICHU
VORONTSOVU 25-GO MARTA 1867 G. [THE UNVEILING OF THE
MONUMENT TO HIS SERENE HIGHNESS PRINCE MIKHAIL
SEMOVICH VORONTSOV IN TIFLIS ON MARCH 25, 1867],
TIFLIS, 1867. © NATIONAL LIBRARY OF GEORGIA.



3. ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში © საქართო
ველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

3. THE MONUMENT TO ALEXANDER GRIBOYEDOV IN TBILISI.
© NATIONAL LIBRARY OF GEORGIA.



4. ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში
© გიორგი ფარცხალაძე

4. THE MONUMENT TO ALEXANDER GRIBOYEDOV IN TBILISI.
© GIORGI PARTSKHALADZE

თბილისის მარცხენა სანაპიროს ურბანული ტრანსფორმაცია და საბჭოთა არქიტექტურული პოლიტიკა (1935-1955)

დავით ნიორაძე

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა არქიტექტურა, დადგენილება, კამოს/უზნადის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი, გიორგი ხიმშიაშვილი, შოთა ყავლაშვილი.

თბილისის მარცხენა სანაპიროს ურბანულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოსახლებულმა გერმანელმა კოლონისტებმა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სანაპიროს ქუჩა (დღევანდელი დიმიტრი უზნადის ქუჩა), სადაც ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში შენდებოდა ფუნქციურად და სტილისტურად განსხვავებული შენობები: საცხოვრებელი სახლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ინდუსტრიული ობიექტები. ურბანულ ქსოვილში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო 1930-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც გაფართოვდა ვორონცოვის (დღეს საარბრიუკენის) მოედანი, ხოლო განსაკუთრებით მასშტაბური ჩარევები განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. დიმიტრი უზნადის ქუჩაზე 1930-50-იან წლებში აგებული რამდენიმე შენობა, ერთი მხრივ, ასახავს საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის სტილისტურ ტრანსფორმაციებს, მეორე, მხრივ კი, იმ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა თბილისის მარცხენა სანაპიროს ურბანული განვითარება და არქიტექტურული სახე. სტატიაში განხილული პროექტებისა და ნაგებობების მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორ აისახა საბჭოთა სახელმწიფოს არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი პოლიტიკა თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული უბნის ფორმირებაზე.

თბილისის მარცხენა სანაპირო, კერძოდ დიმიტრი უზნადის ქუჩა, ქალაქის ერთ-ერთი ისტორიული და გამორჩეული ნაწილია. ქუჩის ურბანული ქსოვილის ძირითადი ჩამოყალიბება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ პერიოდში ჩამოსახლებულმა გერმანულმა მოსახლეობამ. უზნადის ქუჩაზე თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების, სტილისა და ეპოქის გამორჩეული შენობები, მათ შორის თბილისის არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშებიც. ეს არქიტექტურა კარგად ასახავს ეპოქებს, საზოგადოებებსა და მმართველობის დამოკიდებულებას არქიტექტურის მიმართ. უზნადის ქუჩის ისტორიის

ხანგრძლივი პერიოდი საბჭოთა კავშირს უკავშირდება. სტატია შეეხება უზნადის ქუჩის ურბანულ ტრანსფორმაციას საარბრიუკენის მოედნიდან, უზნადის N4 საცხოვრებელი სახლის ჩათვლით. ეს მონაკვეთი 1935-50-იან წლებში ერთ-ერთი აქტიური სამშენებლო არეალი იყო. სტატიის მიზანია გავანალიზო, როგორც განხორციელებული პროექტები, ასევე პროექტები, რომლებიც მხოლოდ ქალაქში დარჩა და კარგად გვიჩვენებს იმ სახეცვლილებას არქიტექტურასა და მშენებლობაში, რომელიც საბჭოთა იმპერიაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად დადგა. უზნადის ქუჩამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება, რუსეთის იმპერიის პერიოდში ერქვა სანაპიროსა და

დიდი მთავრის ქუჩა. 1922 წელს ქუჩას მიენიჭა რევოლუციონერ კამოს სახელი.¹ 1990 წლიდან ქუჩა ატარებს დიმიტრი უზნაძის სახელს.²

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ჩარევა თბილისის მარცხენა სანაპიროს ურბანულ ქსოვილში 1930-იანი წლების შუა ხანებში განხორციელდა. კარლ მარქსის მოედნის (დღეს საარბრიუკენის) გაფართოების მიზნით აიღეს არაერთი შენობა, მათ შორის სომხური ეკლესია,³ მის წინ, ვორონცოვის სანაპიროსა და ეკლესიის შესახვევის კუთხეში მდებარე სამრევლო სკოლა,⁴ რის შედეგადაც მოედნის ფართობი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა.⁵ (სურ. 1) ამ შენობების აღებით გამოთავისუფლებული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში აშენდა დიდი საცხოვრებელი სახლი, რომელიც არა მხოლოდ მოედნის, ქალაქის მარცხენა სანაპიროს ერთ-ერთი დომინანტი ნაგებობა გახდა. მოედანი XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა,⁶ რომლის მთავარი აქცენტი 1867 წელს დადგმული რუსეთის იმპერიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ქანდაკება იყო,⁷ რომელიც იდგა მოედნის ცენტრში იმ მკაფიო ჰორიზონტალურ ღერძზე, რომელსაც ქმნიდა ხიდი, მოედანი და ნიკოლოზის ქუჩა (დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის).⁸ 1935-1936 წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა ეს მდგომარეობა შეცვალა და ღერძი მოარღვია.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით, საარბრიუკენის მოედანთან (საბჭოთა პერიოდში კარლ მარქსის სახელობის) მდებარე სახლის პროექტი შეადგინა გიორგი ხიმშიაშვილმა⁹ 935 წლის აგვისტოში „თბილისის

საბჭოს“¹⁰ დაკვეთით. პროექტის მიხედვით ჯამში ხუთსართულიან შენობაში გათვალისწინებული იყო, როგორც საცხოვრებელი ნაწილი, ისე ფართები მაღაზიებისთვის.¹¹

ურბანულ სივრცეში შენობის დომინანტობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა. მნიშვნელოვანია მდებარეობის გათვალისწინება, კერძოდ დამრეცი რელიეფი შენობის დასავლეთ მხარეს, რომელიც ისედაც სხვა შენობებზე მაღალ სახლს, მეტად შემაღლებულს წარმოაჩენდა. (სურ. 2) ამასთანავე, მდებარეობამ დიდწილად განსაზღვრა შენობის სამ ფასადზე (მეოთხე ფასადი აგურის, შეუღესავი კედელია) მხატვრული აქცენტების გადანაწილება. მუქი ფერის პირველი სართულის რუსტირებული კედელი, რომელიც კიდევ უფრო მეტ სიმძიმეს ანიჭებს შენობას, მკაფიო ზღვარს ავლენს ზედა სართულებთან. მარჯანიშვილის ქუჩის მხარეს სახლს ორი შესასვლელი და ორი კიბის უჯრედი აქვს. მოედნის მხარეს მიმართულ ფასადზე სამთალოვან პორტიკში მთავარი შესასვლელია განთავსებული და კიბის უჯრედთან ერთად ლიფტია დამონტაჟებული. ფასადის კომპოზიცია შედგენილია ოთხი პილასტრისა და ქვის მცირე აივნების კომბინაციით, რომელშიც პარალელები იკვეთება ანდრეა პალადიოს Palazzo del Capitanio-ს (პალაცო დელ კაპიტანო, ვიჩენცა) საფასადო კომპოზიციიდან¹² (სურ. 3). ამასთანავე, მსგავსებას ამჟღავნებს 1909 წელს სანკტ-პეტერბურგში აშენებულ სახლთან ვლადიმერ შუკოს პროექტით, მოსკოვში 1932-1934 წლებში აგებული სახლთან ივანე ჟოლტოვსკის პროექტით¹³ და კიევში 1934-1936 წლებში მიხეილ გრეჩინის დაპროექტებული შვიდ-

1 კომუნისტი, N161, 1923, გვ. 1.

2 გაზეთ კომუნისტის 1990 წლის 13 ივნისის ნომერში ქუჩას უკვე უზნაძის სახელით მოიხსენიებდნენ. კომუნისტი, N138, 1990, გვ. 3.

3 ხოშტარია, ქართული, 2016, გვ. 37.

4 შონვაძე, XIX საუკუნის, გვ. 108.

5 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 155.

6 მოედნის ჩამოყალიბებასა და ზოგადად მარცხენა სანაპიროს სწრაფ განვითარებასა და გაფართოებას ხელი შეუწყო 1851-1853 წლებში აგებულმა ორმა ხიდმა, რომლითაც ქალაქის ცენტრალური ნაწილი დაუკავშირა „ნოიტფილისს“. ბერიძე, თბილისის, ტ. I, 1960, გვ. 26.

7 მოქანდაკე ნიკოლოზ პიმენოვი, არქიტექტორი ოტო სიმონსონი.

8 გერსამია, ჯოვანი, 2017, გვ. 28.

9 სეა, უიგა, ტქ. ფ. 40, ან. 4-1. საქ. 5708. ჯამში, ხელოვნების, 1957, გვ. 123.

10 Тифлисский Совет депутатов трудящихся – Тифсовет, პროექტის ნახაზი გამოხაზა Короли-მა. შეამოწმა – Якупович-მა.

11 ხიმშიაშვილი სტატიაში წერს, რომ შენობა 7 – სართულიანი უნდა ყოფილიყო, სადაც პირველი სამი სართული მაღაზიებს დაეთმოზოდა. კომუნისტი, შევქმნათ, 1936, N40, გვ. 3.

12 Печёнкин, Апофеоз, 2021, с. 248.

13 იქვე, გვ. 244.

სართულიან საცხოვრებელ სახლთან.¹⁴

მხატვრულად კი, ალბათ, ყველაზე საინტერესო ფასადი უზნადის მხარეს ექცევა და გახსნილია მტკვრის სანაპიროსკენ. მესამე სართულზეა შიდა ეზო, რომელშიც ხილია განთავსებული, სანაპიროს მხარეს შენობის კიდეების დასაკავშირებლად. გამოსარჩევია სახლის საფასადო გაფორმებაში გამოყენებული ეგვიპტური ტიპის, ლოტოსისებური კაპიტელები. საინტერესოა, რომ ფასადზე რელიეფური პანოებიც გამოიყენეს, რომელიც, ნოდარ ჯანბერიძის ცნობით, მშენებლობის პროცესში მოხსნეს.¹⁵ შენობას სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ავტორი შეხებია და ყველა აღნიშნავს გეგმის მოუხერხებლობასა და, ამავდროულად, ეკლექტიზმს.¹⁶

მტკვრის მარცხენა სანაპიროს განაშენიანებაში მორიგი დიდი ჩარევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა. საკვანძო პროექტად იქცა მტკვრის ორივე სანაპიროს (იმ დროისთვის – სტალინის სახელობის) კეთილმოწყობა. ეს გულისხმობდა მაგისტრალისა და მტკვრის კალაპოტის საყრდენი კედლების მშენებლობას. სამუშაოები 1947¹⁷ წლიდან იწყება და პრესაშიც ინტენსიურად შუქდება.¹⁸ 1948 წლიდან აქტიურად იწყება ტიპური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც.¹⁹ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა არქიტექტურული ანსამბლების დაგეგმარება და მშენებლობა 1949–1954 წლებში – სანაპიროების, მოედნების და პროსპექტების გასწვრივ.²⁰

დღევანდელი ქორწინების სახლის ტერიტორია 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იან წლებში ერთ-ერთი აქტიური მშენებლობის არეალი იყო საბინაო და სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობების ასაშენებლად. ფაქტობრივ, ერთ პერიოდში დაპროექტდა და აშენდა სატყეო მრეწველობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა უზნადის

N37 და ორი დიდი საცხოვრებელი სახლი უზნადის N2 და N4. (სურ. 4)

დღევანდელი ანზორ ერქომაიშვილისა და უზნადის ქუჩების კუთხეში 1950–1953 წლებში აშენდა საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა. XX საუკუნის დასაწყისის ფოტოებზე ამ ტერიტორიაზე რამდენიმე დაბალი, ორფერდაგადახურვიანი შენობა დგას. უკვე 1940-იანი წლების ფოტოზე აღნიშნული ადგილი თავისუფალია. საინტერესოა, რომ სატყეო სამინისტროს შენობის აგებამდე, განიხილებოდა ბულაჩაურის წყალმომარაგების ადმინისტრაციული შენობის აშენება იური კასრადის პროექტით.²¹ პროექტის მიხედვით შენობა და ტერიტორიის განაშენიანება იკავებდა მონაკვეთს უზნადის ქუჩიდან კოტე და სოსო წერეთლების ქუჩამდე, შესაბამისად განიხილებოდა იქ მდგარი რამდენიმე შენობის დემონტაჟი (დღევანდელი უზნადის N: 35, 33, 31). პროექტი არ განხორციელდა.

სატყეო მრეწველობის სამინისტროს შენობა 1953 წლის 15 იანვარს უკვე დასრულდა იყო.²² პროექტის ავტორი იყო სერგო დემინელი, რომელმაც 1930–50-იანი წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი და განსხვავებული დანიშნულების მქონე ნაგებობა დააპროექტა თბილისში.²³

ოთხსართულიანი შენობა ადმინისტრაციული შენობისთვის დამახასიათებელი სტრუქტურითაა დაგეგმარებული და დგას ოდნავ დამრეც რელიეფზე. არქიტექტორმა შენობის საფასადო გაფორმებაში განსაკუთრებული მხატვრული აქცენტი დასვა მეოთხე სართულზე: ფანჯრების დეკორატიული გაფორმება, მაღალი და ორნამენტირებული კარნიზი, სადაც გამოყენებულია ქართული შუა საუკუნეების არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ორნამენტული მოტივი: სოლისებრი ფოთლების ჩუქურთმა. (სურ. 5)

14 Широчин, Архитектура, 2023, с. 222–227.

15 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 157 (ჩემთვის ამ ეტაპზე უცნობია რელიეფების თემატიკა, ავტორი და განთავსების ადგილი შენობის ფასადზე. დ.ნ).

16 იქვე; კვირკველია, ქართული, საბჭოთა ხელოვნება, N1, 1978, გვ. 16.

17 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 264.

18 მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაზე, კომუნისტი, N179, 1950, გვ. 3.

19 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 264.

20 ამაშუკელი, არქიტექტურის, 2019, გვ. 162.

21 სეა, თცა, ფ.14, ა. 1, ს. 945.

22 Заря Востока, N12, 1953, с. 4.

23 დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი N8, 1936; მარჯანიშვილის ქუჩის საცხოვრებელი სახლი N83, 1941; მეტეხის ხიდი, 1951; კინოთეატრი „გამაფხული“, 1960-იანი წლები, გენგიური, საბჭოთა, 2021, გვ. 191–205.

უმნადის ქუჩის N2 და N4 სახლების ადგილზე იყო დაბალი, ერთსართულიანი შენობები, სამხერხაოები და საწყობები. ამ შენობების ალებით გამოთავისუფლდა დიდი ტერიტორია, სადაც 1949 წლიდან დაგეგმარდა ორი დიდი საცხოვრებელი სახლი. თუმცა, მათი დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა.

მდებარეობიდან გამომდინარე, ორივე საცხოვრებელი სახლისთვის შეირჩა მკაფიო ჰორიზონტალური, გრძივი სტრუქტურა, რომელიც ვერტიკალური აქცენტით სრულდებოდა. სახლებს შორის კი დაიგეგმა სანაპიროზე გამავალი მოედანი, რომლის ცენტრში გათვალისწინებული იყო ქანდაკების დადგმა.²⁴ შენობის მსგავსი სტრუქტურა - ჰორიზონტალური ფორმა დასრულებული ვერტიკალით - თბილისის არქიტექტურისთვის უცხო არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1911-1913 წლებში აშენდა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი (დღეს ეროვნული ბიბლიოთეკა), ანატოლი კალგინისა და ჰენრიკ ჰრინევსკის მიერ შემუშავებული,²⁵ თუმცა სრულიად სხვა ურბანულ სივრცეში. საბჭოთა პერიოდიდან კი, უნდა გამოვყოთ მიხეილ კალაშნიკოვის²⁶ მიერ დაპროექტებული 100-ბინიანი საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე (1938-1939), რომლის მშენებლობაც თბილისის 1930-იანი წლების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ურბანული პროექტი იყო. სახლი მოედანზე რკალს ხაზავს და ბოლოვდება თერთმეტსართულიანი კოშკით, რომელიც იმ დროის ყველაზე მაღალი შენობა იყო თბილისში.²⁷ მსგავსი სტრუქტურისაა ქალაქ გორში სტალინის მუზეუმი,²⁸ რომელიც 1950 წელს დააპროექტა არჩილ ქურდიანმა, მაგრამ ოფიციალურად გაიხსნა 1957 წელს.²⁹ 1953 წელს დასრულდა საქნახშირის ადმინისტრაციული შენობის ერთი ნაწილი (არქიტექტორები: მიხეილ ჩხიკვაძე და აკაკი ჩხენკელი).

1949-1950 წლებში მიხეილ მელიამ შეიმუშავა N4 სახლის რამდენიმე პროექტი, რომელიც

გულისხმობდა სანაპიროს გასწვრივ სამი მართკუთხა, გრძელი მოცულობის დადგმას, რომელთაგან ცენტრალური ოდნავ მაღალი და სიღრმეში შეწეული იქნებოდა.³⁰ შენობა აღმოსავლეთ მხარეს ბოლოვდებოდა ვერტიკალური, შვიდსართულიანი ბლოკით, რომლის მთავარი ფასადი მოედნის მხარეს ექცეოდა. ფასადის გასაფორმებლად განიხილებოდა რამდენიმე ვერსია, მათ შორის საფასადო სიბრტყის დანაწევრება თაღების რიგით, შპილისმაგვარი დეკორატიული ელემენტების გამოყენება აივნებისათვის, რომლებიც მიხეილ მელიამ მარჯანიშვილის მოედანზე 1946-1947 წლებში დაპროექტებულ სახლებშიც გამოიყენა.³¹ საბოლოოდ არჩეული უფრო მკაცრ ვარიანტზე შეჩერდა, სახლის მშენებლობა კი 1955 წელს დასრულდა. (სურ. 6)

N2 სახლის დაპროექტება თითქმის ათი წელი გაგრძელდა. პირველი პროექტი შეადგინა ივანე ჩხენკელმა 1950 წელს. ეს იყო გრძივი სტრუქტურის შენობა, რომელსაც, N4 პროექტისგან განსხვავებით, ორი ვერტიკალური აქცენტი ჰქონდა შენობის თავსა (დასავლეთ ნაწილში) და ბოლოში (აღმოსავლეთ ნაწილში). 1952 წლიდან პროექტი გადააბარეს არქიტექტორთა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ შოთა ყავლაშვილი, გივი მეღვინე და ლევან ხარაშვილი. მათ დაპროექტების ორი ეტაპი გაიარეს. პირველ ეტაპზე არქიტექტორებმა საცხოვრებელი სახლის გეგმარებითი სტრუქტურა უფრო გაამთლიანეს, რაც შენობის ცენტრალური ნაწილის დაგრძელებით მოახერხეს და მას სრულად მართკუთხა ფორმა მისცეს. თაღების რიგით, მოჩუქურთმებული სარკმლებითა და აივნებით დეკორატიული აქცენტები დასვეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი შეეხო შენობის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ავტორებმა თოთხმეტსართულიანი კოშკი დააპროექტეს, რითაც ივანე ჩხენკელის ჩანაფიქრი გააგრძელეს და, შეიძლება ითქვას, უფრო გრანდიოზულიც გახადეს,

24 მოედანზე 1961 წელს დაიდგა ალექსანდრე გრიბოედოვის ქანდაკება, ავტორი მერაბ მერაბიშვილი. კომუნისტი, N107, 1961, გვ. 6.

25 შენობის ისტორიის შესახებ იხ.: ბერიძე, თბილისის, ტ. II, 1963; კიკნაძე, ჰენრიკ, 2019; ბერძენიშვილი, ანატოლი, 2020.

26 ჯანბერიძე, ქართული, 1971, გვ. 160.

27 ამაშუკელი, არქიტექტურის, 2019, გვ. 125.

28 დაახლოებით მსგავსი სტრუქტურის შენობები აშენდა საქართველოს რეგიონის სხვა ცენტრებშიც, თელავსა და ქუთაისში.

29 გივიაშვილი, ქალაქ, 2024, გვ. 183.

30 სეა, უიგა, ტვ, ფ. 40, ან. 4-1, ს. N 6405, ფურც. 7, 8, 9.

31 ჯაში, სოციალისტური, 1983, გვ. 44-45.

რადგან კოშკი არა მხოლოდ მრავალბინიანი სახლისთვის, არამედ მთლიანად მტკვრის მარცხენა სანაპიროსთვის გახდებოდა დომინანტი. 1952-1953 წლებში შემუშავებული კოშკის ვარიანტები მსგავსია არაერთი შენობისა, რომელიც იმ პერიოდში აშენდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსი. მსგავსება განსაკუთრებით კოშკის სტრუქტურასა და გაფორმების დამაგვირგვინებელ ნაწილშია. თუმცა არა სიმაღლესა და გაბარიტებში, რადგან ის, რაც მოსკოვისთვის იყო დაშვებული, იმპერიის სხვა ქალებში უნდა განმეორებულიყო მცირე მასშტაბითა და დანახარჯით.³² ამავდროულად, მსგავსებები აშკარაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგებულ შენობებთან და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მთავარ წინამორბედთან – ამერიკულ არ-დეკოსთან.³³ (სურ. 7-8)

დიმიტრი უზნაძის ქუჩა N2 სახლის ეს გრანდიოზული პროექტები არ განხორციელდა, მიზეზი – იმპერიაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები იყო, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინა არქიტექტურაზე. 1955 წლიდან დაიწყო სახლის დაპროექტების მეორე ეტაპი. ეს გარდამტეხი წელი იყო საბჭოთა არქიტექტურისთვის, რადგან 1955 წლის 4 ნოემბერს მიიღეს დადგენილება (N1870) „არქიტექტურაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“. დადგენილების მიღებას წინ უსწრებდა 1953 წელს იოსებ სტალინის გარდაცვალება, სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლა, რომელმაც სულ სხვა მიზნები დაუსახა არქიტექტურასა და მშენებლობას. „მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას ინტერესები გვიკარნახებს“ – ამბობდა ის.³⁴ ხრუშოვი იცნობდა სამშენებლო სფეროს, რადგან 1930-იან წლებში რამდენიმე მსხვილ პროექტს ხელმძღვანელობდა მოსკოვსა და კიევში.³⁵ დადგენილება ითვალისწინებდა სამი თვის ვა-

დაში გადახედვილიყო მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რათა აღმოფხვრილიყო პროექტებში არქიტექტურული მოპირკეთების, დაგეგმვისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის ზედმეტობები,³⁶ რაც დიდ გავლენას ახდენდა, როგორც მშენებარე, ისე უკვე დაპროექტებულ შენობებზე და არქიტექტურას ახალ მოთხოვნებს უყენებდა: სიმარტივე, მკაცრი ფორმები და ეკონომიური გადაწყვეტა. დადგენილების მიღებას წინ უსწრებდა არქიტექტორთა და მშენებელთა საკავშირო თათბირი.³⁷ პარალელურად დაიწყო აქტიური კრიტიკა, როგორც ქართულ ისე რუსულ პრესაში იმ არქიტექტორებისა, რომელთა შენობებს ახასიათებდა პომპეზური ფორმები და ზედმეტი დეკორატიულობა. „შეიძლება ითქვას, რომ არქიტექტურული ზედმეტობები ბოლო წლებში მოსკოველი არქიტექტორების მიერ შესრულებული პროექტებისთვის ტიპურ მოვლენად იქცა“³⁸ – წერდნენ მოსკოვში 1954 წლის ბოლოს. „ამ ბოლო დროს არქიტექტურული კრიტიკა ხშირად აღნიშნავს ქართველი არქიტექტორების კოშკებით ზედმეტად გატაცებას“³⁹ – წერდნენ თბილისში 1954 წელს. უშუალოდ კრიტიკა შეეხო სწორედ სანაპირო სახლების შენობებსაც, თვლიდნენ, რომ ასე ჩამწკრივებულმა გრძივმა შენობებმა კამოს ქუჩა მოწყვიტა მტკვარს.⁴⁰ საინტერესოა, რომ კრიტიკა არა მხოლოდ ოფიციალურ დონეზე წარმოებდა, არამედ იუმორის საშუალებითაც. მაგ: ჟურნალ „ნიაგში“ გამოქვეყნდა არაერთი შარჟი, რომელიც არქიტექტურულ ზედმეტობებს ეხებოდა.⁴¹ ეს მეტყველებს იმაზე, რომ არქიტექტურული ზედმეტობების კრიტიკა საბჭოთა იდეოლოგიის ინსტრუმენტად იქცა და სატირულ პრესაშიც აისახა (სურ. 9).

1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილების შედეგად დაწყებული არქიტექტურული რეფორმე-

32 Хмельницкий, Архитектура, 2006, с. 315.

33 ასევე უნდა ვახსენოთ: სასტუმრო „ლენინგრადი“ 1952, საგარეო საქმეთა სამინისტრო 1953, სასტუმრო „უკრაინა“ 1957, ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სახლი 1955, Murawski, The Palace, 2019, pp. 49-50; ბერლინის Frankfurter Tor 1953-1956, Bellat, Les architectes soviétiques, 2017, გვ. 61.

34 დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, N6, 1955, გვ. 146.

35 ZUBOVICH, Moscow, 2021, p. 192.

36 დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, N6, 1955, გვ. 9.

37 ჯანბერიძე, ქართული, მნათობი, 1955, გვ. 146.

38 Колесников, Архитектура СССР, 1954, с. 3.

39 ჯანბერიძე, ქართული, მნათობი, 1955, გვ. 149.

40 ხიზანიშვილი, თბილისის, საბჭოთა ხელოვნება, 1957, გვ. 60-64.

41 ZUBOVICH, Moscow, 2021, p. 205; Крокодил, N30, 1955, с. 76.

ბი შეეხო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა რესპუბლიკას და მათ შორის საქართველოსაც. დადგენილებამ კონკრეტული მოთხოვნები წაუყენა არქიტექტორებს, რა უნდა გამოეყენებინათ მშენებლობაში და რა იყო პარტიის გენერალური ხაზი. დადგენილების გამო მთელი რიგი პროექტებისა აღარ განხორციელებულა. მათ შორის იყო უზნაძის N2 სახლიც. არქიტექტორებმა შეინარჩუნეს შენობის სიგრიდითი სტრუქტურა, ფასადზე ვერტიკალური აქცენტების კომპოზიცია, რომელიც სადად დატოვეს. პროექტიდან ამოიღეს კოშკი, რის შედეგადაც მთავარი აქცენტი დასავლეთ მხარეს არსებულმა ათსართულიანმა ნაწილმა იკისრა, სადაც 1965 წელს ქორწინების სახლი გაიხსნა.⁴² მოიხსნა ღია გაღერვა პირველ სართულზე, დეკორატიული თაღები ზედა სართულებზე, ორნამენტირებული აივნები და შენობამ საბოლოო სახე საბჭოთა არქიტექტურის ახალ ეტაპზე მიიღო 1962-1965 წლებში.

დასკვნა

1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას შეეხო, რის შედეგადაც მთელი რიგი პროექტებისა აღარ განხორციელებულა. თბილისის მარცხენა სანაპიროს პროექტების მაგალითზე ვნახეთ, თუ რა გავლენა იქონია დადგენილებამ არქიტექტურასა და მშენებლობაზე, როგორ გარდაიქმნა სტალინური არქიტექტურის პომპეზური, კლასიკური ფორმები სადა ფორმებად, შეიცვალა მხატვრული და იდეოლოგიური აქცენტები, რამაც თბილისის მარცხენა სანაპიროს იერსახე განაპირობა.

ამრიგად, თბილისის მარცხენა სანაპირო აჩვენებს, რომ 1955 წლის დადგენილება არა მხოლოდ არქიტექტურულ-ესთეტიკური, არამედ პოლიტიკური გარდატეხის გამოხატულება იყო, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა ქალაქმშენებლობის შემდგომი განვითარება

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამაშუკელი თ., არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი: 1921-1956 წლების თბილისის არქიტექტურის მაგალითზე, თბ., 2019.
- ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ., 1960.
- გენგიური ნ., საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრების არქიტექტურა საქართველოში (თანამედროვეობა და საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობა), ხელოვნება და თანამედროვეობა, N1 (11), 2021.
- გერსამია თ., ჯოვანი სკუდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა, სამეცნიერო კონფერენცია ჯოვანი სკუდიერი და საქართველო, თბ., 2017.
- გივიაშვილი ი., ქალაქ გორის საბჭოთა ტოპოგრაფია, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული, N4 (14), 2024.
- კიკნაძე ე., ჰენრიკ ჰრინგესკი 150, თბ., 2019.
- კვირკველია თ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზები, საბჭოთა ხელოვნება, N1, თბ., 1978.
- შონვაძე თ., XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში (საქართველოს ეროვნული არქივის მასალის მიხედვით), თბ., 2023.
- ხიზანიშვილი გ., თბილისის სანაპიროების განაშენიანების შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, N6, 1957.
- ხოშტარია დ., ქართული სტილი და იმპერიის არქიტექტორები, არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო

42 კომუნისტი, N204, 1 სექტემბერი, 1964, გვ. 4.

- მშენებლობა თბილისში (1801-1918), თბ., 2016.
- ჯანბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბ., 1971.
 - ჯანბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი შემოქმედებითი საკითხი, მნათობი, N6, თბ., 1955.
 - ჯაში ნ., ხელოვნების საკითხები, თბ., 1957.
 - კომუნისტი, შევემნათ მონუმენტალური ნაგებობანი, 1936, N40; მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაზე, N179, 1950.
 - Заря Востока, N12 (8586), 15 января, 1953.
 - საბჭოთა ხელოვნება, დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ, N6, 1955.
 - საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის ტექნიკური განყოფილება, ფ. 40, ან. 4-1. ს. 6405.
 - საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი, ფ.14, ა. 1, ს. 945.
 - MURAWSKI Michal, The Palace Complex, A Stalinist Skyscraper, Capitalist Warsaw, and a City Transfixed, 2019.
 - BELLAT Fabien, Les architectes soviétiques, „conseillers“ des républiques du Bloc de l’Est, Studia Politica: Romanian Political Science Review, 2017.
 - ZUBOVICH Katherine, Moscow Monumental, Soviet Skyscrapers and Urban Life in Stalin’s Capital, chapt. 8, De-Stalinization and the Battle against Excess, Princeton, 2021.
 - Печёнкин И., Апостроф фасада. Дом И. В. Жолтовского на Моховой улице в контексте архитектурной неоклассики первой половины XX века, 2021.
 - Хмельницкий Д., Архитектура Сталина. Психология и стиль, М., 2006.
 - Широкин С., Архитектура межвоенного Киева, Сталинка, часть II, Киев, 2023.
 - Колесников С. К итогам архитектурной практики в городах РСФСР за 1953 г. Архитектура СССР, N11 1954.
 - Крокодил, N30, 1955.

ნაშრომის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა ChatGPT (OpenAI) ტექსტის თარგმანის მიზნით. ნაშრომში წარმოდგენილი ყველა ანალიზი, ინტერპრეტაცია და დასკვნა ეკუთვნის ავტორს.

THE URBAN TRANSFORMATION OF TBILISI'S LEFT BANK AND SOVIET ARCHITECTURAL POLICY (1935-1955)

David Nioradze

Keywords: Soviet architecture, 1955 resolution, Kamo/Uznadze Street, residential building, Giorgi Khimshiashvili, Shota Kavlashvili.

German colonists who settled in the area during the first half of the 19th century played a significant role in the urban and socioeconomic development of the left bank of the Mtkvari in Tbilisi. It was during this period that Embankment Street, present-day Dimitri Uznadze Street, took shape. Over the past 150 years, the street has been built up with functionally and stylistically diverse structures, including residential buildings, educational institutions, and industrial facilities. Significant changes to the urban fabric began in the mid-1930s, when Vorontsov Square, present-day Saarbrücken Square, was enlarged. Even more extensive interventions, however, were carried out in the years following World War II. Several buildings erected on Dimitri Uznadze Street between the 1930s and 1950s illustrate both the stylistic transformations of Soviet architecture and the political transformations that profoundly influenced the urban development and architectural character of Tbilisi's left bank. Drawing on the examples of the projects and buildings examined in this article, the study demonstrates how the architectural and urban planning policies of the Soviet state shaped the development of one of Tbilisi's most significant historic districts.

Tbilisi's left bank, particularly Dimitri Uznadze Street, is one of the city's most historic and distinctive areas. The street's urban fabric began to take shape in the first half of the 19th century, a process to which the German settlers who arrived during this period made a significant contribution. Dimitri Uznadze Street contains a diverse range of notable buildings representing different functions, styles, and historical periods, including some of the finest examples of Tbilisi's architecture. This architectural heritage offers valuable insight into different historical eras, social contexts, and the attitudes of successive governing authorities toward architecture. A substantial part of Uznadze Street's modern history is linked to the Soviet period. This article

focuses on the urban transformation of the section stretching from Saarbrücken Square to the residential building at 4 Uznadze Street. Between 1935 and the 1950s, this area constituted one of the most intensive sites of construction activity in Tbilisi. The aim of this study is to analyze both realized projects and those that remained on paper, as together they reveal the transformations in architecture and construction that resulted from political changes within the Soviet empire. Over the course of its history, Uznadze Street has been renamed several times. During the Russian Imperial period, it was known as Embankment Street and Grand Duke Street. In 1922, it was renamed in honor of the revolutionary Kamo¹. Since 1990, the street has borne the name of Dimitri

¹ გაბ. კომუნისტო, 1923, N 161, გვ. 1.

Uznadze².

One of the first major interventions in the urban fabric of Tbilisi's left bank took place in the mid-1930s. In order to enlarge Karl Marx Square, present-day Saarbrücken Square, several buildings were demolished, including an Armenian church³ and a parish school situated in front of it, at the corner of Vorontsov Embankment and Church Lane⁴. These demolitions increased the area of the square nearly fivefold⁵ (Illustration. 1). A large residential building was erected on the western part of the site cleared by these demolitions. It became a dominant feature not only of the square itself, but also of Tbilisi's left bank as a whole. The square was established in the 1850s⁶; its principal focal point was the monument to Mikhail Vorontsov, Viceroy of the Russian Empire, erected in 1867⁷. Located at the center of the square, the monument formed part of a clearly articulated horizontal urban axis defined by the bridge, the square, and Nikolai Street, present-day Ivane Javakhishvili Street⁸. The redevelopment undertaken in 1935–1936 altered this spatial configuration and disrupted the previously coherent urban axis.

According to documents preserved in the Georgian National Archives, the project for the residential building located near Saarbrücken Square, Karl Marx Square during the Soviet period, was designed by Giorgi Khimshiashvili⁹ in August 1935, on commission from the Tbilisi Soviet¹⁰. The project envisaged a five-storey building incorporating both residential accommodation and spaces for shops¹¹.

The building's dominance within the urban land-

scape was determined by several factors. Of particular importance was its location, specifically the sloping topography to the west, which further enhanced the perceived height and visual prominence of a structure that already exceeded the surrounding buildings in scale. (Illustration 2) The building's location also largely determined the distribution of architectural emphasis across its three principal façades, the fourth being a non-plastered brick wall. The dark-colored, rusticated ground floor reinforces the building's sense of weight and establishes a pronounced visual separation from the upper floors. On the Marjanishvili Street side, the building has two entrances and two stairwells. The principal entrance is located within a triple-arched portico on the façade facing the square, where a lift was installed adjacent to the main stairwell. The façade composition is articulated through four pilasters and a series of small stone balconies, a combination that reveals compositional parallels with the façade of Andrea Palladio's Palazzo del Capitano in Vicenza¹² (Illustration 3). The façade also reveals affinities with the apartment building designed by Vladimir Shchuko and constructed in Saint Petersburg in 1909, with the residential building designed by Ivan Zholtovsky and built in Moscow between 1932 and 1934¹³, and with the seven-floor residential building designed by Mykhailo Grechina and constructed in Kyiv between 1934 and 1936¹⁴.

Arguably, the most architecturally accomplished façade is the one facing Uznadze Street and overlooking the Mtkvari embankment. At the level of the third floor, the building incorporates an internal

2 By the June 13, 1990 issue of newspaper *Komunisti*, the street was already being referred to as Uznadze Street (*Komunisti*, 1990, no. 138, p. 3).

3 ხოშტარია, ქართული სტილი, 2016, გვ. 37.

4 შონვაძე, XIX საუკუნის მეორე, გვ. 108.

5 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, 1971, გვ. 155.

6 The square's shaping and the development and expansion of the left bank of the Mtkvari in general were promoted by two bridges built in 1851–1853 to connect the city's central section to so-called Neo-Tiflis. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ. I, 1960, გვ. 26.

7 Sculptor Nikolay Pimenov, architect Otto Simonson.

8 გერსამია, ჯოვანი სკუდვიერის ცხოვრება, 2017, გვ. 28.

9 სეა, უცა, ტქ, ფ. 40, ან. 4–1, საქ. 5708; ჯაში, ხელოვნების საკითხები, 1957, გვ. 123.

10 Тифлисский Совет депутатов трудящихся – Тифсовет; პროექტის ნახაზი გამოსაზღვრა Корოლი-მა; შეამოწმა Янұбович-მა.

11 Khimshiashvili writes in an article that the building was supposed to comprise seven floors, with the first three floors occupied by shops. გაბ. კომუნისტი, შევქმნათ მონუმენტალური ნაგებობანი, 1936, N40, გვ. 3.

12 Печёнкин, Апофеоз фасада, 2021, გვ. 248.

13 Печёнкин, Апофеоз фасада, 2021, გვ. 244.

14 Широчин, Архитектура межвоенного Киева, 2023, გვ. 222–227.

courtyard traversed by a bridge that connects the two wings of the structure on the embankment side. Particularly noteworthy are the Egyptian-style lotus capitals employed in the architectural decoration of the façades. Of particular interest is the fact that the original façade design included relief panels which, according to Nodar Janberidze, were removed during construction¹⁵. The building has attracted considerable attention in scholarly literature, with virtually all authors noting both the shortcomings of its plan and its stylistic eclecticism¹⁶.

The next major intervention in the development of the Mtkvari's left bank took place in the aftermath of World War II. The principal undertaking was the redevelopment of both embankments of the Mtkvari River, then named after Stalin. This project involved the construction of a riverside thoroughfare together with retaining walls along the river channel. The works commenced in 1947¹⁷ and were extensively covered in the contemporary press¹⁸. From 1948 onwards, the construction of standardized residential buildings also began to accelerate¹⁹. Between 1949 and 1954, the planning and execution of large-scale architectural ensembles became particularly intensive, especially along the river embankments, public squares, and major avenues²⁰. The site now occupied by the Wedding Palace became one of the principal construction zones in the late 1940s and 1950s, earmarked for the development of residential and public buildings. Within a relatively short period, the administrative building of the Ministry of Forestry at 37 Uznadze Street, together with two large residential buildings at 2 and 4 Uznadze Street, was designed and constructed within the same broader phase of urban development. (Illustration 4)

At the present-day corner of Anzor Erkomaishvili and Uznadze Streets, the administrative build-

ing of the Ministry of Forestry Industry of Georgia was erected in 1950–1953. Early 20th-century photographic evidence reveals several low-rise structures with gabled roofs located on this site. By the 1940s, however, the area appears to have been cleared. Interestingly, before the construction of the Ministry of Forestry building, the site was considered for the administrative building of the Bulachauri Water Supply System, designed by Yuri Kasradze²¹. According to the design proposal, the building and its surrounding development were planned to occupy the section of the urban block stretching from Uznadze Street to Kote and Soso Tsereteli Streets. The realization of the project therefore envisaged the demolition of several existing structures on the site, present-day 35, 33, and 31 Uznadze Street. However, the proposal was never executed.

By January 15, 1953, the building of the Ministry of Forestry Industry had already been completed²². Its design was authored by Sergo Demchineli, an architect who, during the 1930s–1950s, produced a number of significant projects in Tbilisi representing diverse functional typologies²³.

The four-floor building follows the spatial organization typical of an administrative structure and is positioned on a gently sloping site. The architect introduced a particular artistic emphasis in the treatment of the façade at the level of the fourth floor, expressed through the decorative framing of the windows and the prominent, richly ornamented cornice. The latter incorporates one of the characteristic ornamental motifs of Georgian medieval architecture — the carved motif of wedge-shaped leaves. (Illustration 5)

The sites currently occupied by 2 and 4 Uznadze Street were previously occupied by low-rise, single-floor structures, including sawmills and ware-

15 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, 1971, გვ. 157. The subject matter, authorship, and exact placement of the reliefs on the façade remain unclear at this stage. D.N.

16 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა; კვირკველია, ქართული საბჭოთა არქიტექტურის, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, 1978, N1, გვ. 16.

17 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, 1971, გვ. 264.

18 მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაზე, გაზ. კომუნისტი, 1950, N179, გვ. 3.

19 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, 1971, გვ. 264.

20 ამაშუკელი, არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი, 2019, გვ. 162.

21 სეა, თგა, ფ.14, ა. 1, ს. 945.

22 გაზ. Заря Востока, N12, 1953, გვ. 4.

23 დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი N8, 1936; მარჯანიშვილის ქუჩის საცხოვრებელი სახლი N83, 1941; მეტეხის ხიდი, 1951; კინოთეატრი „გამაფხული“, 1960–იანი წლები; გენგური, საბჭოთა მოდერნიზმის, 2021, გვ. 191–205.

houses. Their demolition created a large vacant plot, on which the construction of two substantial residential buildings was planned beginning in 1949. Nevertheless, the design and construction history of these projects developed through a complicated and uneven process.

Given their location, both residential buildings were conceived as clearly defined horizontal, longitudinal structures, each articulated by a vertical accent. The space between the buildings was planned as a public square facing the embankment, with a sculpture intended to serve as its central focal point²⁴. This type of architectural composition, based on a horizontal mass terminating in a vertical element, was not unprecedented in Tbilisi's architectural history. An earlier example is the Noble Landowners' Bank, constructed in 1911–1913, today housing the National Library, designed by Anatoly Kalgin and Henryk Hryniewski, yet conceived for a completely different urban setting²⁵. Among the examples from the Soviet period, particular attention should be given to the 100-apartment residential building at Heroes' Square, designed by Mikhail Kallashnikov in 1938–1939. Its construction constituted one of the major urban development projects implemented in Tbilisi during the 1930s²⁶. The building forms an arc along the square and terminates with an eleven-floor tower, which was the tallest building in Tbilisi at the time²⁷. A similar compositional structure can be observed in the Stalin Museum in the city of Gori²⁸, designed by Archil Kurdiani in 1950, although it was officially opened only in 1957²⁹. In 1953, one section of the administrative building of Sakhnakhshiri, Georgian Coal, was completed, designed by Mikhail Chkhikvadze and Akaki Chkhenkeli.

Between 1949 and 1950, Mikheil Melia prepared several design proposals for Building No. 4, envisioning three elongated rectangular blocks arranged along the embankment. The central block was

conceived as a slightly higher element, recessed in relation to the two flanking volumes³⁰. On the eastern side, the building culminated in a vertical seven-floor block, with its principal façade oriented toward the square. A number of façade treatment proposals were considered, among them the subdivision of the façade surface by a sequence of arches and the incorporation of spire-like decorative motifs into the balcony design — an approach previously used by Mikheil Melia in the residential buildings he designed at Marjanishvili Square in 1946–1947³¹. In the final version, however, a more austere architectural solution was adopted, and construction of the building was completed in 1955. (Illustration 6)

The design development of Building No. 2 extended over nearly ten years. The initial proposal was prepared by Ivane Chkhenkeli in 1950. It envisaged an elongated longitudinal composition which, in contrast to the project for Building No. 4, was articulated by two vertical accents positioned at the western and eastern ends of the building. Beginning in 1952, the project was reassigned to an architectural team consisting of Shota Kavlashvili, Givi Melkadze, and Levan Kharashvili. Their work proceeded through two distinct stages of design development. During the first stage, the architects consolidated the spatial and planning structure of the residential building by extending its central section and giving it a fully rectangular form. Decorative accents were introduced through an arcade-like sequence of arches, carved window surrounds, and balconies. The most substantial transformation affected the eastern part of the building, where the architects introduced a fourteen-floor tower. This solution developed and amplified Ivane Chkhenkeli's initial concept, making it even more monumental, as the tower was conceived not merely as the dominant element of the residential building, but as a visual landmark for the entire left bank of the Mtkvari River. The tower proposals developed

24 მოედანზე 1961 წელს დაიდგა ალექსანდრე გრიბოედოვის ქანდაკება, ავტორი მერაბ მერაბიშვილი. გაზ. კომუნისტი, 1961, N107, გვ. 6.

25 About the history of the building, see: ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ. II, 1963; კიკნაძე, ჰენრიკ ჰრინევსკი 150, 2019; ბერძენიშვილი, ანატოლი კალგინი 145, 2020.

26 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, 1971, გვ. 160.

27 ამაშუკელი, არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი, 2019, გვ. 125.

28 Similar structural buildings were erected in other regional centers of Georgia, Telavi and Kutaisi.

29 გივიაშვილი, ქალაქ გორის საბჭოთა ტოპოგრაფია, 2024, გვ. 183.

30 სეა, უიგა, ტგ, ფ. N40, ან. 4-1, ს. N6405, ფ. 7, 8, 9.

31 ჯაში, სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, 1983, გვ. 44–45.

in 1952–1953 correspond closely to the architectural language of numerous buildings erected across the Soviet Union during this period. Among these, the main building of Moscow State University is of particular relevance. The similarity is most apparent in the structural composition of the tower and in the design of its upper terminating section. However, the resemblance was not expressed in terms of height or overall scale, since what was permitted in Moscow was to be reproduced in other cities of the empire on a smaller scale and at lower cost³². At the same time, evident parallels can be drawn with buildings erected in Eastern European countries and, of course, with the principal predecessor of this architectural language—American Art Deco³³. (Illustrations 7–8)

These ambitious design proposals for 2 Dimitri Uznadze Street were ultimately not realized as a result of political transformations within the Soviet empire, which significantly influenced the development of architecture. The second phase of the building's design commenced in 1955. This year represented a decisive turning point in the history of Soviet architecture, marked by the adoption, on November 4, 1955, of Resolution No. 1870, On the Elimination of Excesses in Design and Construction. The decree followed the death of Joseph Stalin in 1953 and the subsequent rise of Nikita Khrushchev to power, whose policies established a fundamentally different direction for architectural practice and construction. “The interests of the industrialization of construction dictate this to us,” he argued³⁴. Khrushchev had extensive experience in the construction field, having overseen several large-scale projects in Moscow and Kyiv during the 1930s³⁵. The resolution stipulated that, within three months, the design and budget documentation of buildings un-

der construction was to be revised in order to eliminate excessive elements of architectural decoration, planning, and structural solutions incorporated into the projects³⁶. These requirements had a profound influence on both ongoing construction projects and buildings that were still at the design stage, establishing a new set of criteria for architectural practice: simplicity, formal restraint, and economic efficiency. The adoption of the resolution was preceded by the All-Union Conference of Architects and Builders³⁷. Simultaneously, an intensive critical discourse emerged in both the Georgian and Russian press, targeting architects whose works were associated with pompous forms and excessive decorative treatment. “It may be said that architectural excesses had become a typical characteristic of projects produced by Moscow architects in recent years,” stated a publication in Moscow at the end of 1954³⁸. “Recently, architectural criticism has often drawn attention to Georgian architects’ excessive enthusiasm for towers,” wrote the Tbilisi press in 1954³⁹. The riverside residential buildings themselves became the subject of direct criticism, with commentators arguing that the linear arrangement of these elongated structures had cut Kamo Street off from the Mtkvari River⁴⁰. Interestingly, criticism was articulated not only through official channels but also through humor. For instance, magazine *Niangi* published a number of satirical cartoons addressing the issue of architectural excesses⁴¹. This indicates that the critique of architectural excesses became an instrument of Soviet ideology and was reflected even in the satirical press. (Illustration 9)

The architectural reforms launched following the Resolution of November 4, 1955 extended throughout all republics of the Soviet Union, including Georgia. The decree imposed specific directives upon

32 Хмельницкий, Архитектура Сталина, 2006, გვ. 315.

33 Also Hotel Leningrad (1952), Foreign Ministry (1953), Hotel Ukraine (1957), Warsaw House of Culture and Science (1955), Murawski M., The Palace Complex, 2019, გვ. 49–50; Berlin Frankfurter Tor, 1953–1956; Bellat F., Les architectes soviétiques, 2017, გვ. 61.

34 Ibid.

35 Zubovich, Moscow Monumental, 2021, გვ. 192.

36 დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, 1955, N6, გვ. 9.

37 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის, ჟურ. მნათობი, 1955, გვ. 146.

38 Колесников С., К итогам архитектурной, Архитектура СССР, 1954, გვ. 3.

39 ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის, ჟურ. მნათობი, 1955, გვ. 149.

40 ხიზანიშვილი, თბილისის სანაპიროების, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, 1957, გვ. 60–64.

41 Zubovich, Moscow Monumental, 2021, გვ. 205. ჟურ. Крокодил, N30, 1955, გვ. 76.

architects, determining what was to be used in construction and what constituted the Party's general line. The implementation of the resolution resulted in the abandonment of numerous architectural projects, including the earlier towered design proposals for the residential building at 2 Uznadze Street. The architects retained the building's elongated longitudinal composition and the arrangement of vertical accents on the façade; however, these elements were simplified and treated with greater restraint. The tower element was excluded from the final design, transferring the principal architectural emphasis to the ten-floor western section, where the Wedding Palace opened in 1965⁴². The open ground-floor gallery, decorative arches on the upper levels, and ornamented balconies were also removed. The building received its definitive form between 1962 and 1965, corresponding to the new phase of Soviet architectural development that emerged after the mid-1950s reforms.

Conclusion

The November 4, 1955 Resolution affected all republics of the Soviet Union and led to the cancellation of numerous architectural projects. The case studies of the developments on the left bank of the Mtkvari River in Tbilisi demonstrate the extent to which the resolution transformed architectural practice and construction processes. The pompous, classical forms of Stalinist architecture gave way to simpler and more restrained forms, accompanied by a shift in artistic and ideological priorities. These transformations played a decisive role in shaping the architectural appearance of Tbilisi's left bank.

Thus, the case of Tbilisi's left bank demonstrates that the 1955 resolution was not merely an architectural and aesthetic shift, but also a manifestation of a broader political transformation that shaped the subsequent trajectory of Soviet urban development.

REFERENCES:

- ამაშუკელი თ., არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი: 1921-1956 წლების თბილისის არქიტექტურის მაგალითზე, თბ. 2019.
- ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ. 1960.
- გენგიური ნ., საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრების არქიტექტურა საქართველოში (თანამედროვეობა და საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობა), ხელოვნება და თანამედროვეობა, N1 (11) 2021, გვ. 191-205.
- გერსამია თ., ჯოვანი სკუდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა, სამეცნიერო კონფერენცია „ჯოვანი სკუდიერი და საქართველო“, თბ. 2017.
- გივიაშვილი ი., ქალაქ გორის საბჭოთა ტოპოგრაფია, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული, N4 (14), 2024, გვ. 177-202.
- კიკნაძე ე., ჰენრიკ ჰრინესკი 150, თბ. 2019.
- კვირკველია თ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზები, საბჭოთა ხელოვნება, N1, თბ. 1978, გვ. 14-22.
- შონვაძე თ., XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში (საქართველოს ეროვნული არქივის მასალის მიხედვით), თბ. 2023.
- ხიზანიშვილი გ., თბილისის სანაპიროების განაშენიანების შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, N6, 1957, გვ. 60-64.
- ხოშტარია დ., ქართული სტილი და იმპერიის არქიტექტორები, არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918), თბ. 2016.
- ჯანბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურა - განვითარების გზა, თბ. 1971.
- ჯაბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი შემოქმედებითი საკითხი, ჟურ. მნათობი, თბ. 1955, N6: გვ. 146-151.

42 გაზ. კომუნისტი, N204, 1 სექტემბერი, 1964, გვ. 4.

- ჯაში ნ., ხელოვნების საკითხები, თბ. 1957.
- გაზ. კომუნისტი, შევექმნათ მონუმენტალური ნაგებობანი, 1936, N40; მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაზე, 1950, N179.
- გაზ. Заря Востока, N12 (8586) 15 января 1953.
- ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ, 1955, N 6, გვ.
- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის ტექნიკური განყოფილება, ფ. 40, ან. 4-1. ს. 6405.
- საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი, ფ.14, ა. 1, ს. 945.
- Murawski M., The PALACE COMPLEX, A Stalinist Skyscraper, Capitalist Warsaw, and a City Transfixed, Indiana University Press, 2019.
- Bellat, F., Les architectes soviétiques, “conseillers” des républiques du Bloc de l’Est. Studia Politica: Romanian Political Science Review, 2017.
25 The Sinai Miscellany (Polycephalon), p. 31.

follows: “This glorious Lavra, adorned with every beauty and embellished with every ornament, which they built with much labor and sweat for the repose of those blessed ones and for the salvation of many souls—within it they raised churches resembling the heavens, filled them with divinely inspired books, and made them radiant with precious icons.”²⁶ The expression “imitation of the heavens” is understood in a symbolic-theological sense and offers a cosmological image of the universe. According to Revaz Siradze: “The Iviron monks, through their spiritual labor, strove toward the heavens of holiness (that is, toward the seven heavens).”²⁷

If the available sources are interpreted correctly, it may be inferred that Catholicos Nikoloz Amilakhvari undertook two renovations of the southern wall of Svetitskhoveli Cathedral. The phrase “მცარსა: სამცრეთისას:” most likely refers to the southern arm of the cathedral.²⁸ The artistically formulated expression “imitating the heavens” may be understood as denoting a broader conceptual framework that also encompasses the monumental composition of Psalms 148–150 on the southern wall. At the center of this composition, within a large circular medallion, the Savior is enthroned upon clouds and encircled by the four apocalyptic creatures, evoking the imagery of the Second Coming, where Christ appears as sovereign and judge of the universe. This central image is further surrounded by two concentric circles containing representations of angelic hosts and the twelve signs of the zodiac. It is possible that the aforementioned composition was on this wall before the 17th century and Catholicos Nicholas renewed it, but what corrections he made, what he meant by “renewal” and “reconstruction” is impossible to determine today. However, in my view, the iconographic program of the entire wall requires comprehensive study as an integrated whole before hypotheses may be advanced with greater confi-

dence. A more detailed discussion of this question will be undertaken in a subsequent study.

It should be noted that the composition, which is located near the altar in the Svetitskhoveli Cathedral occupies an unusual position. According to Dionysius of Fournas, such imagery is ordinarily associated with the narthex or entrance zone of a church.²⁹ In this respect, the Svetitskhoveli example may be regarded as a rare exception. The following comparative examples may help clarify the development and meaning of its iconographic motifs.

As noted above, the so-called “cosmic wheel”, a term employed by Doru Costache, appears later in the church of Lesnovo Monastery (14th century),³⁰ where it is likewise situated in the narthex. In all these compositions, Christ is represented in the center as the creator of the world. The sun, moon and signs of the zodiac are clearly directed towards Christ, as are the angels. This is a progression of the representation of the zodiac, from a Christian point of view, in the divine environment.³¹ At Lesnovo, a circle of angels surrounds Christ, while the zodiacal signs are placed beyond this inner ring. The two spheres thus appear visually distinct: Christ, surrounded by angels, is perceived separately, and the signs of the zodiac are perceived separately.³² As Ivana Lemcool notes, Christ Pantokrator surrounded by a group of angels, signs of the zodiac and verses of Psalm 148 is not attested at Lesnovo, nor is it known from earlier or contemporary examples, although it becomes more widespread in later centuries. For example, on the Kuchevist icon of the early 17th century, or in the fresco in the narthex of the Church of St. George in Poloshko, as well as in many churches of the post-Byzantine period in Greece. In the Kokouzelissa Church of the Great Lavra Monastery on Mount Athos, etc.³³

The composition at Probota (Romania, Church of St. Nicholas, 16th century) is as follows: within a

26 R. Siradze, *Georgian Hagiography*, Tbilisi, 1987, p. 170.

27 Ibid., p. 169.

28 M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie*, vol. III, St. Petersburg, 1851, p. 72.

29 Dionysios of Fournas, *Hermeneia*, 1868, vol. I, ch. III.

30 D. Costache, *Astral*, p. 342.

31 Ibid.,

32 Ibid.,

33 I. Lemcool, p. 481.

circular frame appears the image of Christ as the “Ancient of Days,” thereby foregrounding an eschatological and apocalyptic semantic register rather than the more commonly attested type of Christ Pantokrator, as observed in the program at Lesnovo Monastery. Within this scheme, angels have spread what Teresa Sinigalia has termed the “Carpet of the Firmament.” Instantly, upon viewing, a cross-shaped field emerges, a kind of carpet spread out by angels, of a greyish hue, against which six signs of the zodiac are depicted. Four angels, illustrated in an explicitly corporeal manner, operate as active agents who, as it were, unfold this celestial veil, thereby creating a visual “opening” through which Christ as the Ancient of Days is revealed in the fullness of His fiery glory. In this configuration, the angelic figures assume the role of an intermediary or liminal zone, mediating between the divine manifestation of Christ and the ordered structure of the material cosmos, symbolically represented by the zodiac.³⁴ The replacement of the Christ Pantokrator type with the image of the Ancient of Days at Probota appears to be thematically consistent with an emphasis on the Second Coming and eschatological judgment. At the same time, this substitution does not diminish the integrity of the cosmological framework; rather, it reconfigures it within a more explicitly apocalyptic theological paradigm.³⁵

The scene established in Lesnovo – Christ Pantokrator, enthroned at the center of a circular composition, surrounded by a celestial choir of thirty-three angels and integrated with the imagery of the zodiac and Psalms 148–150—is also attested in a developed form at Svetitskhoveli Cathedral. In the Georgian context, this represents an important example with no direct local parallels, and should be regarded as an important example of the development of the iconographic scene in post-Byzantine samples. In the Svetitskhoveli composition, around the divine throne of Christ are arranged ten angels together with three higher angelic orders: seraphim, cherubim and the “eyes of fire”. In the scholarly

literature the angel depicted in the center is interpreted as a reference to the iconographic image of the Savior, the “Angel of the Great Counsel”.³⁶ The composition articulates a tripartite cosmological structure comprising the celestial, terrestrial, and maritime (or oceanic) realms, each populated by corresponding beings, both real and imaginary, including fantastical creatures. The outer circle of the zodiac images is framed by a gray, interlaced ornamental motif and thus separates the elements of land and water. According to Doru Costache, this grey circular band may be interpreted as an allusion to the “firmament” (Genesis 1:6–8), thereby evoking the biblical cosmology of creation (“And God called the firmament Heaven,” Genesis 1:8).³⁷

The reflection of the starry sky, which is found in Svetitskhoveli, is also revealed in two churches of Mani in Greece, in the Dekoulou Monastery (16th century) and in the Church of St. Nicholas in the village of Kastania (16th century), depicting the image of Christ Pantokrator, as the center of the visible and invisible world, which includes images of the zodiac and angels. In both monuments, as in Svetitskhoveli, a strict hierarchical and geometrically ordered structure is maintained. The twelve zodiac signs are clearly delineated against a luminous, pearlescent background, each accompanied by its corresponding inscription. Here, nine angels are depicted, as if they were the “nine celestial hierarchies.” These angelic figures are rendered in anthropomorphic form and are smaller in scale than the zodiacal signs; each holds a scepter surmounted by a cross and orb, within which the Christogram is inscribed, thus generating a six-pointed cosmological configuration. The background behind the angels is divided in two registers, dark green below and blue above. In Svetitskhoveli, the background with the angels is uniformly dark blue, and this seems to enhance the mysticism. As noted by Doru Costache, the inclusion of verses from Psalms 148 and 150 in the Dekoulou Monastery composition establishes a further parallel with the program at Lesnovo Monastery, con-

34 Ibid.,

35 Ibid.,

36 N. Chikhladze, *Svetitskhoveli*, Tbilisi, 2010, p. 246. The composition is so extensive and complex that it requires a more detailed and systematic analysis; therefore, it cannot be examined in full within the present study. This issue will be addressed in a separate, dedicated publication.

37 D. Costache, *Astral*, p. 343.

firming the broader liturgical and cosmological coherence of this iconographic tradition.³⁸

On the outer circular zone, representations of the sun and moon are combined with the twelve signs of the zodiac, arranged against a broad, pearlescent ground. This outer band is further delimited by a grey circular border, a formal device that finds close parallels in the programs of the Svetitskhoveli Cathedral and the Dekoulou Monastery.

Thus, in the two churches of Svetitskhoveli and Mani, the compositions depict the zodiac as a circular schema, functioning as a cosmological wheel. A comparable conception is already attested in the mosaic decoration of the Church of the Zeyrek Camii (Church of the Pantokrator) (12th century). The glory of Pantokrator is revealed in the reasonable order of the world, visible and invisible. As Doru Costache observes, there is a direct similarity between the Dekoulou Monastery and Svetitskhoveli, and it would be reasonable to assume that they are based on an earlier iconographic pattern, the zodiacal circle of Zeyrek is integrated with the traditional Pantokrator composition surrounded by angelic hosts, as attested in Lesnovo Monastery and numerous other Byzantine contexts.³⁹ A related configuration is also found in the wall paintings of the Church of St. John (ca. 12th century), where the four Evangelists encircle the Savior, while the zodiacal signs are arranged in a surrounding circular register.⁴⁰

As the comparative material indicates, a strong structural and thematic affinity exists among the cited examples. The composition of Svetitskhoveli occupies an important place in the study of the genesis of the issue. It is possible that there are other samples with similar themes, which will bring greater clarity to the scientific literature. It should also be noted that the depiction of the zodiac was not a foreign theme to Georgian art. It appears both in manuscript illumination (e.g. A-65, 1188; Georgian–Greek collection, 15th–16th centuries, National Library of Russia, разнояз. О. I. 58; and A-1454, 1746, formerly belonging to the Abashidze family of Zemo Chala) and in monumental painting, as exemplified by the lost decoration of Kashveti Church, to which reference will be made below. One of the remarkable examples of observing celestial bodies and their reflection on the temple is the Asomtavruli lapidary inscription of the Likhni Church (1066), which was read by Marie Brossét and published in her famous work. The inscription records the appearance of Halley's Comet during the reign of Bagrat II, correlating it with the liturgical calendar between Palm Sunday and Easter. Astronomical calculations suggest that in 1066 Easter fell on 16 April and the full moon on 9 April; accordingly, the comet would have been visible between 9 and 16 April.⁴¹ When discussing the mosaics of the early Christian baptistery of the Bichvinta Cathedral, Leonid Shervashidze notes the widespread use of fish imagery within the decorative frieze. He interprets this iconography in relation to both antique ornamental traditions and close observation of the natural world, including aquatic fauna and sea deities. Citing H. Stern, he further notes that fish may also be understood as one of the zodiacal signs,⁴² thereby underscoring the conceptual unity between terrestrial and cosmic orders.

The image of the understanding and reflection of astrology in monumental painting is preserved in the frescoes of old St. George's church at the Kashveti Church, Tbilisi (a church associated with St. David of Gareja stood here, which was replaced by a brick church built by Amilakhvari in the 18th century), as documented by Kalistrate Tsintsadze.⁴³ According to his assumption, the painting must have been executed in 1817–1818, or no later than 1829. He notes that the identity of the artist is unknown, although he was well versed in Asomtavruli, Khutsuri and Russian scripts, and the inscriptions were bilin-

38 Ibid., p. 344

39 D. Costache, *Astral*, p. 344.

40 V. Jugeli, *Astronomy and Astrology*, p. 212.

41 V. Silogava, "Georgian Inscription about the Appearance of a Comet," *Literary Georgia*, 7 1986, pp. 5–6.; V. Jugeli, *Astronomy and Astrology: Main Directions of Georgian–Byzantine Relations (4th–15th Centuries)*, Tbilisi, 2024, pp. 203–204.

42 H. Stern, *Recueil général des mosaïques de la Gaule*, vol. I, Paris, 1957, pl. XIII.

L. Shervashidze, *Medieval Monumental Painting in Abkhazia*, Tbilisi, 1980, p. 26, pls. VIII.2–3; IX.3.

43 K. Tsintsadze, *Kvashveti Church*, Tbilisi, 1994, pp. 23–24.

gual. The painter—also associated with the decoration of Anchiskhati Basilica—depicts God the Father (Sabaoth) within a triangular mandorla in the dome, accompanied by angelic hosts, with the Holy Spirit represented in His bosom. The sun is placed to the left of Sabaoth, while the moon and stars appear to the right. Between the twelve window openings of the drum are arranged the signs of the zodiac, months, and apostolic figures, each identified by name.⁴⁴ Victoria Jugeli sees a parallel between the connection of Kashveti with the celestial chariots of the apostles in Sulkhan-Saba Orbeliani's theological work "Teachings", in particular in the sermon "On the Feast of the Holy Apostles." The connection of astrological signs with the apostles is presented as coming from the Gospel of John, as John the Evangelist twice says: "Thomas, who was called Didymus (the Twin)" (John 20:24; 21:2). In the Kashveti fresco program, the apostles are correlated with the zodiacal cycle from Aries to Pisces in the following sequence: Philip, Thomas, Matthew, Bartholomew, James (son of Zebedee), John, Peter, Paul, Andrew, James (brother of the Lord), Thaddeus, and Simon. By contrast, Sulkhan-Saba's Teachings preserve a different ordering.⁴⁵ According to the same scholar, these Georgian examples differ in significant respects from comparable decorative programs in Greek Orthodox churches, including those of Dekoulou Monastery (16th century) and St. John's Church of Platz (ca. 12th century).⁴⁶

The composition depicting a hunting scene on

the window lintel of the southern facade of Oshki Monastery fell into the scope of Vakhtang Jobadze's research, although it did not become a separate subject of his study. In recent years, a study by Nato Gengiuri and Nino Goderdzishvili was been published.⁴⁷ In this study, the infantry hunter armed with a bow has been identified with the zodiacal sign of Sagittarius, and a wide range of comparative material from Georgian, Egyptian, Israelite, Christian, and Islamic artistic traditions has been assembled and analyzed.

Thus, in the present study, I have examined the zodiacal imagery preserved in the Svetitskhoveli Cathedral. They appear to be unique within the corpus of entire Georgian monumental painting, however, the existence of close and numerous parallels in the synchronous artistic production of other Orthodox regions renders their analysis particularly fruitful. The zodiacal arc at Svetitskhoveli thus reflects, on the one hand, the survival—albeit fragmentary—of astronomical and astrological conceptions within the Georgian cultural milieu. On the other hand, it occupies an important position within the broader tradition of zodiacal imagery preserved in medieval Christian art, including monuments in North Macedonia, Romania, Greece, and other regions. A holistic interpretation of these materials within a unified comparative framework is therefore essential for understanding the intellectual and visual culture of the post-Byzantine world. This issue will be further developed in my forthcoming study.

44 Ibid., pp. 21, 23–24.

45 V. Jugeli, *Astronomy and Astrology: Main Directions of Georgian–Byzantine Relations (4th–15th Centuries)*, Tbilisi, 2024, pp. 211–212.


46 Ibid.,

47 N. Gengiuri, N. Goderdzishvili, "The Hunting Scene on the Relief of the Oshki Temple: Its Meaning and Symbolism," *Ancient Art Today*, 10 (2020), pp. 30–36.



1. სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთი კედლის მოხატულობა, ფოტო ავტორისა.

1. SVETITSKHOVELI CATEDRAL, MURAL PAINTING OF SOUTH WALL, PHOTO BY THE AUTHOR.



2. სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთი კედლის მოხატულობა, დეტალი, ზოდიაქოს ნიშნებით, ფოტო ავტორისა.

2. SVETITSKHOVELI CATEDRAL, MURAL PAINTING OF SOUTH WALL, DETAIL, WITH SIGNS OF ZODIAC, PHOTO BY THE AUTHOR.

დეკოლონიური ნარატივები თბილისის გრაფიკის კულტურაში

გიორგი რაზმაძე

საკვანძო სიტყვები: თბილისის გრაფიტი, დეკოლონიალიზმი, ვირტუალური გეოგრაფია, ლიბერალიზმი.

უკანასკნელ წლებში გრაფიტისა და სტენსილის კულტურა თბილისში საკმაოდ პოპულარულ მოვლენად იქცა. ურბანული და ანონიმური ხელოვნების ამ მოდუსში ქალაქის კედლები წარმოადგენენ საგამოფენო სივრცეს, მოსახლეობა კი – დამთვალიერებლებს. გივი მარგველაშვილმა გრაფიტის ქალაქის „კედლის გაზეთი“ უწოდა. მისი აზრით, ავტორი ქუჩას/კედელს ისევე იყენებს, როგორც მწერალი გაზეთის ფურცელს. ხანდახან გრაფიტის ნარატივები ყოფითია, მაგრამ ძირითადად გამოძახილია მნიშვნელოვან მოვლენებზე ქალაქისა თუ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

ვიზუალური ხელოვნების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, გრაფიტის სპეციფიკა არსებობის ხანმოკლე ციკლშია, რის გამოც უფრო მეტად პოლიტიკური, მწვავე, უცნებურო და თავისუფალია, ვიდრე სხვა რომელიმე მედიუმი.

გრაფიტის ანონიმურობა რელიგიური ხელოვნების ტრადიციასთან გვაბრუნებს. მაგრამ თუ წარსულში კედლის მხატვრობა საკრალურ შინაარსებსა და განწყობას ქმნიდა, ძირითადად, ნაგებობის ინტერიერში, თანამედროვე კედლის მხატვრობა ქალაქის საკრალიზმებას ცდილობს არაკონვენციური გზებით. დროებითი შინაარსები ქალაქის იერსახეს ქმნიან. ეს წარმავალობა ქუჩის ხელოვნებას აიძულებს ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ მიმდინარე და აქტუალურ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებას მოცემულ მომენტში აწუხებს.

სწორედ ასეთი საკითხი იყო რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე. მასობრივმა საემიგრაციო ტალღამ ადგილობრივთა ცხოვრება საგრძნობლად გააძვირა და გამოიწვია სოციალური და კულტურული, ასევე პოლიტიკური ცვლილებები. სწორედ ამ პერიოდის შემდეგ თბილისის ქუჩებში შესამჩნევი გახდა ანტირუსული შინაარსის მქონე გრაფიტი და სტენსილი, რაც, ერთი შეხედვით, დეკოლონიურ ხასიათს ატარებდა. ეს კვლევა სწორედ ამ ანტიკოლონიური ნარატივებისა და დისკურსების შესწავლას ეძღვნება და იმის გაანალიზებას, რამდენად არის შესაძლებელი და შედეგის მომტანი იდეოლოგიური ჩარჩოს გარეშე დეკოლონიური პოლიტიკის წარმართვა.

21-ე საუკუნის ნეოკოლონიალიზმი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ამ აქტით საბოლოოდ დაასრულა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებული ისედაც მყიფე წესრიგი. რუსეთის ფედერაციამ დასავლეთს ომი გამოუცხადა, რომელიც 2014 წლიდან, ყირიმის ანექსიის გამო აგრესორი ქვეყნის დასუსტებას ცდილობდა. ფართომასშტაბიანი საომარი მოქმე-

დებებით რუსეთმა საერთაშორისო პოლიტიკაში მე-19 საუკუნის კოლონიალიზმი პოსტმოდერნისტულად დააბრუნა და ჰეგემონიის შენარჩუნებას არა ეკონომიკური და ეგრეთ წოდებული რბილი ძალის მეთოდით, არამედ ძალმომრეობით შეეცადა.

მე-20 საუკუნეში კოლონიალიზმი, ძირითადად, ფარული სახით არსებობდა. მაგალითად, 1960-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, ყოფილი აფრიკული კოლონიების დიდი

ნაწილი დღემდე ეკონომიკური ექსპლუატაციის სუბიექტები არიან. საფრანგეთი 14 აფრიკული ქვეყნის ეროვნულ ვალუტას ფლობს და მათ მონეტარულ პოლიტიკას განკარგავს.¹ ანალოგიური მოცემულობაა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია საკუთარი სავაჭრო სივრცის ნაწილად და გავლენის სფეროდ განიხილავს. უკრაინის ომიც სწორედ ამ წესრიგის რღვევის საფრთხის ტრილში უნდა განვიხილოთ.

ვლადიმერ პუტინი მეზობელ სახელმწიფოში იბრძვის არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის შენარჩუნებისთვის, არამედ ეწინააღმდეგება ზოგადად ანტიიმიპერიალურ მოძრაობას, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ნელი ტემპით მაგრამ მაინც დაწყებული იყო. საგულისხმოა პუტინის სატელევიზიო მიმართვა, რომელიც 2022 წელს, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა და უკრაინა ლენინის მიერ მოგონილ „საბჭოთა ფანტაზიად“ მონათლა.² მისთვის ამ ომში ერთადერთი მეტოქე ლენინია. ბევრისთვის გაუგებარი იყო რუსეთის პრეზიდენტის სიტყვის ეს პასაჟი, მაგრამ ამას ახსნა მოქმედება ლენინისვე შრომებში, რომელშიც კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიად იმპერიალიზმია დასახელებული.³ პუტინი ცდილობს ბორის ელცინის მიერ დაწყებული პროცესის დასრულებას, რომ რუსეთში კაპიტალისტურმა სისტემამ საბოლოოდ გაიმარჯვოს, რომელსაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები საარსებო სივრცედ (ბაზრად) ესაჩიროება.

რუსეთში, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ „ველური“, სხვა სიტყვებით – „ბანდიტური კაპიტალიზმი“ დამკვიდრდა. პლუტოკრატის რუსულმა მოდელმა განვითარების ბოლო სტადიას 2010-იან წლებში მიაღწია, რასაც ჯერ საქართველოსთან ომი, შემდეგ კი უკრაინაში შეჭრა მოჰყვა.

უკრაინასთან ომის დაწყებამ რუსეთიდან ემიგრაციული ტალღების რეკორდული ზრდა გამოიწვია. მათ შორის საქართველოში კვირებისა და თვეების განმავლობაში გეომეტრიული პროგ-

ნოზით იზრდებოდა რუსი „რელოკანტების“ (ასე უწოდებენ თავს პირები, რომლებმაც ომის შემდეგ სამშობლო დატოვეს) რიცხვი.⁴ ისინი ძირითადად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიემგზავრებოდნენ, როგორებიცაა: სომხეთი, ყაზახეთი, საქართველო და ასე შემდეგ.

იმიგრაციულმა ტალღებმა ამ ქვეყნებში რუსული სამყაროს განვრცობა გამოიწვია, თუმცა საბრძოლო მოქმედებების გარეშე. ამ პროცესს რბილი კოლონიალიზმი შეგვიძლია ვუწოდოთ. რელოკანტებმა მასპინძელ ქვეყნებში ჯენტრიფიკაციის პროცესი დააჩქარეს. საგრძნობლად გაიზარდა უძრავ ქონებაზე ფასები. განსაკუთრებით შესამჩნევი და მტკვინელი იყო საქართველოში ქირაზე მომატებული საფასური, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუარესდა, ბევრს საცხოვრებლად გარეუბნებში გადასვლა მოუწია. ასევე ამ პერიოდიდან დაიწყო სერვისებსა და პროდუქტებზე ფასების შესამჩნევი ზრდა,⁵ რომელიც რამდენჯერმე აჭარბებდა წლიური ინფლაციის დონეს.⁶

ჯენტრიფიკაციაზე საპასუხოდ, ქართულ ვირტუალურ გეოგრაფიაში გაძლიერდა დეკოლონური ნარატივები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა სივრცეში რუს კოლონიზატორებს ახსენებდნენ, რომ ისინი სისხლიანი იმპერიის შვილები იყვნენ და მოუწოდებდნენ საქართველოს დატოვებისკენ. საზოგადოებრივი განწყობების ზუსტი კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა ემპირიული დაკვირვებით, მოულოდნელად გაზრდილ ფასებს ადგილობრივები სწორედ რუსი მიგრანტების მოზღვავენას უკავშირებდნენ.

რუსულ მიგრაციულ ტალღებსა და ფასების ზრდის კავშირზე მასმედიაში მრავალი მასალა მომზადდა,⁷ თუმცა მათში არ განიხილებოდა მთავარი – გამოსავალი.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და განსაკუთრებით სამხედრო პუტინის შემდეგ, საქართველოში ნეოლიბერალიზმი აგრესიულად იკიდებდა ფეხს.

1 KING, True, 2022.

2 Address by the President of the Russian Federation, February 21, 2022.

3 Ленин, Полное, 1960, с. 302.

4 მონაცემები წლების მიხედვით მოცემულია საქსტატის „უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკის“ მონაცემებში.

5 „თიბისი კაპიტალის“ მონაცემებით, 2022 წელს საცხოვრებელი ბინის ქირის ფასმა 77%-ით მოიმატა, რაც ისტორიული რეკორდია. წყარო: Tbilisi Residential Market: Monthly Watch, TBC Capital, 2023.

6 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, წლიური ინფლაცია 11.5% იყო. წყარო: მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, აგვისტო, 2022, გვ. 2.

7 ჩილაჩავა, რა გავლენა, ტაბულა, 2023; ჭანია, შურღაია, ჩიტაია, რუსული, On.ge, 2023.

2003 წლის 25 სექტემბერს რუსეთში საპარლამენტო არჩევნების წინ ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა და ელცინის ნეოლიბერალური რეფორმების თანაავტორმა ანატოლი ჩუბაისმა (ეგორ გაიდაის თანაშემწე და თანამოაზრე) პირველად იხმარა ტერმინი „ლიბერალური იმპერიალიზმი“.⁸ ამ კონცეფციაში იგულისხმება რუსული იმპერიის ახალი ფორმით შენება, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების პრინციპზეა დაფუძნებული. რუსეთმა საკუთარი გავლენა თავისუფლების გზით უნდა მოიპოვოს ყოფილ კოლონიებზე, თუმცა ეს თავისუფლება, რა თქმა უნდა, ცალმხრივია. მაგალითად ეკონომიკაში, რუსეთი საკუთარ ბაზარს შეზღუდულად უხსნიდა მეზობელ ქვეყნებს, თუმცა მისი პროდუქცია დსთ-ის ქვეყნებში შეუფერხებლად უნდა გავრცელებულიყო. იგივე მდგომარეობაა ენასთან, კულტურასთან და ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტთან დაკავშირებითაც.

რუსეთის ნეოლიბერალიზმი კლასიკურ ხასიათს ატარებს, არაფრით განსხვავდება დასავლური ნეოლიბერალიზმისა თუ იმპერიალიზმისგან. მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები განვითარებად ქვეყნებს სთხოვენ ნეოლიბერალიზმის ქვაკუთხედის – ღია ბაზრის პრინციპის ერთგულებას, როდესაც საკუთარ ბაზრებს პროტექციონიზმით იცავენ. ეს ფენომენი კარგად აქვთ შესწავლილი ნობელიანტ ეკონომისტებს, დარონ აჯემოლლუსა და ჯეიმზ რობინსონს.⁹ ამაზე წერს ერიკ რეინერტიც წიგნში „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“.¹⁰ მთავარი ამრი მდგომარეობს იმაში, რომ მდიდარი ქვეყნები აგრძელებენ გამდიდრებას ღარიბი ქვეყნების ხარჯზე, რომლებსაც უკრძალავენ ისეთი ეკონომიკური მოდელის ქონას, რის წყალობითაც თავად გამდიდრდნენ. პროტექციონიზმი თუ დასაშვებია აშშ-სა და რუსეთისთვის, ის ეკრძალება უმბეკეთსა (რობინსონი და აჯემოლლუ უმბეკეთს ცალკე თავს უძღვნიან) და საქართველოს.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ აუცილებლობას. დემოკრატიის დაბალი ხარისხი, ავტორიტარიზმი, ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ოლიგარქიული სისტემები – რაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობაში თითქმის იდენტური სახით არსებობს – უზრუნველყოფილია ნეოლიბერალიზმით. რევოლუციებისა თუ ხელისუფლებათა ცვლილებების მიუხედავად, პოლიტ-ეკონომიკური მოდელი ამ ქვეყნებში ყოველთვის ხელუხლებელი რჩებოდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ანტირუსული განწყობები სტაბილურად ძლიერი იყო. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, სამხედრო პუტჩისა და აგვისტოს ომის ფაქტორების გათვალისწინებით საზოგადოებრივი განწყობების კვლევებში რუსეთი ცალსახა ბოროტებად არის მიჩნეული.¹¹

ამიტომ ბუნებრივია, რომ დეკოლონიზაციის ნარატივები აქტუალურია ისეთ ხელოვნებაში, როგორიც გრაფიტი. თუმცა, წინამდებარე კვლევა შეეცდება იმის დადგენას, რამდენად არის ნეოლიბერალიზმის პირობებში შესაძლებელი დეკოლონიური პოლიტიკის წარმოება, მით უფრო რაიმე ხელშესახები შედეგის მიღწევა. ქართული ქუჩის ხელოვნება, უმეტესად, ლიბერალურ დღის წესრიგზეა დაფუძნებული. ლიბერალიზმი კი ეკონომიკაში გულისხმობს თავისუფლების პრინციპის დაცვას, მათ შორის ოკუპანტი ქვეყნის მიმართ.

ლიბერალური დეკოლონიალიზმი

ლიბერალიზმი თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის იდეის აპოლოგეტიკას მოიცავს, რის გამოც ქართულ დეკოლონიურ მოძრაობებში ვერ შეხვდებით რუსული კაპიტალის ნაციონალიზაციის ან შეზღუდვის მოთხოვნებს.¹² როგორც ქვემოთ მოყვანილ ფოტოებშიც გამოჩნდება, გრაფიტების უმრავლესობაში რუსეთი არათავისუფალ და აგრესორ ქვეყნად არის თეგირებული (ამ ტერმინს

8 Чубайс, Миссия, tringer-news.com, 2003.

9 ACEMOGLU, ROBINSON, Why Nations, 2012.

10 REINERT, How Rich, 2007.

11 მაგალითად, ერთ-ერთ უკანასკნელ კვლევაში, რუსეთის მიმართ საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტი პოზიტიურად განწყობილი, თუმცა 74% აღიარებს, რომ რუსეთსა და საქართველოს მტრული ურთიერთობები აქვთ. იხ.: რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულება და აღქმა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021, გვ. 8-7.

12 თვალსაჩინოებისთვის გათვალისწინებულია კვლევას, რომელიც ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის კვალს იკვლევს. იხ.: რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2022.

იყენებენ გრაფიკისთან მიმართებაში, რაც გულისხმობს ქუჩის მხატვრობით რაიმე შინაარსის – მათ შორის კომერციულის – დაფიქსირებას), მაგრამ არა კოლონიზატორ ძალად, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საქართველოდან ბუნებრივი წიაღისეულისა და ფულადი რესურსების ექსტრაქციას ეწეოდა.

რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ დაწყებულ ანტირუსულ კამპანიას (რომელიც საკმაოდ მასშტაბური იყო, ძირითადად, ურბანულ სივრცეებში და სწორედ ქუჩის მხატვრობის მედიუმის გამოყენებით) პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ გამოუღია. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ გრაფიკის უმრავლესობაში პრობლემის არსზე არ ისმებოდა კითხვა (მაგალითად ის, რომ საქართველოში სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსეთის ექსტრაქტული პოლიტიკაა).¹³

ლიბერალურმა და ნეოლიბერალურმა წესრიგმა შექმნა ანტიკოლონიალიზმის ერზაცი. სუროგატული დეკოლონიალიზმი არ ითხოვს ძირეულ ცვლილებებს და მხოლოდ აბსტრაქტულ დისკურსებს აწარმოებს, რაც კარგად ჩანს ვანო ბურდულის 2006 წელს გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმში „გრაფიტი“.

ფილმი სამხედრო დიქტატურის დროს ფოტოგრაფიისა და მწერლის სიყვარულის ისტორიაზე გვიყვება. პერსონაჟები ერთმანეთს კედელზე გაკეთებული წარწერებით ეკონტაქტებიან. პოლიტიკურმა რეჟიმმა გრაფიტი აკრძალა და სწორედ ეს აკრძალული მედიუმი გახდება ორი ადამიანის დამაკავშირებელი. ხულიო კორტასარის ამავე სახელწოდების მოთხრობის ეკრანიზაციის სიუჟეტი პოსტსაბჭოთა საქართველოშია გადმოტანილი, რომელსაც სამხედრო ხუნტა მართავს.

ვანო ბურდულმა შექმნა პოსტაპოკალიფსური გარემო, თუმცა, ალეგორიულად ნეოლიბერალიზმის განსაკუთრებულ რეჟიმზე მიუთითა. ველური ნეოლიბერალიზმი ძალის ფეტიშიზმზეა დაფუძნებული. ლიბერალურ წრეებში უკრაინის მხარდაჭერაც შესაძლოა განხილულ იყოს როგორც უფრო ადმატებული და ძლიერი კულტურის გულშემატკივრობა, ვიდრე ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტების მხარეს დგომა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი თბილისური გრაფიტი, რომელშიც

პროპალესტინური წარწერა გადაშლილია, თუმცა დღემდე უკრაინის მხარდამჭერი გრაფიტი მეტნაკლებად ხელუხლებელი რჩება.

ლიბერალური ინტენციებით ნასაზრდოები თბილისური გრაფიკის არათანმიმდევრობა (როდესაც ერთ შემთხვევაში მსხვერპლისა და მეორე შემთხვევაში აგრესორი ქვეყნის მხარდაჭერა იკითხება) მიუთითებს სულ მცირე იმაზე, რომ ქართულ საზოგადოებაში დეკოლონიალიზმის საკითხი ზედაპირულია და საფუძვლიანად გააზრებული არაა.

ვირტუალური გეოგრაფია და გრაფიტი

საქართველოში გრაფიკის ისტორია საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ დაიწყო (უფრო ზუსტად ნგრევის მიჯნაზე). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ცენზურის მოხსნამ თბილისის ქუჩები ტრანსგრესიულებით წააღწია. ყველაზე თვალშისაცემი და გავრცელებული გრაფიტი გენიტალიზმის სიმბოლოები თუ უცენზურო წარწერები იყო.

პოსტსაბჭოთა „თავისუფლების“ პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ (რომელიც აცხადებდა, რომ ევრო-ატლანტიკური კურსი ჰქონდა) პროგრესის დემონსტრირება თბილისის შენობების შეღებვით დაიწყო (ნიშანდობლივია საღებავის ფერები. თბილისი შეიღება სტაფილოსფერ, ვარდისფერ და ღია მწვანე ფერებში. განსაკუთრებით თამამი ფერები გამოიყენეს გარეუბნებში).¹⁴ ნეოლიბერალური რეჟიმი ურბანულ სივრცეზე კონტროლის დაწესებას პირველ ეტაპზე ფერის მეშვეობით ცდილობდა, რაც ასევე ნორმისა და ნორმიდან გადახრის სტანდარტის დაწესებასაც გულისხმობდა. შემდეგი ნაბიჯი იყო მედიის კონტროლი, ხელოვნების მოთვინიერება ბაზრის პრინციპებითა და პროტექციონიზმით და ასე შემდეგ.

დღეს საქართველოში გრაფიტი ისევ დაბრუნდა ქალაქის ქუჩებში, თუმცა, 1990-იანი წლებისგან განსხვავებით, ტრანსგრესიული მუხტისგან სრულიად დაცლილი. მაგალითად, 2017 წელს თბილისის მერიამ თავად დაიწყო მიწისქვეშა გადასასვლელების სტენსილით მოხატვა და ხელოვნების ეს დარგი სრულიად ბუტაფორიულ მოვლენად აქცია

13 ექსტრაქტივიზმის განმარტებას კოლონიალიზმის პერსპექტივაში გვთავაზობს ედუარდო გიდინესი სტატიაში „ექსტრაქტივიზმი: ტენდენციები და შედეგები. იხ. Gudynas, Extractivisms, 2018, pp. 61-76.

14 ჟაკ რანსიერი ფერისა და პოლიტიკის მიმართებას ურბანულ სივრცეებში დაკვირვების საფუძველზე იკვლევს. მისი აზრით, ფერს იყენებს ძალაუფლება პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია. იხ. Rancière, The Politics, 2004, p. 12.

(ილუსტრაცია #2). თუმცა, იმის შემდეგ, რაც საქართველოში საპროტესტო მოძრაობა კვლავ გაძლიერდა და მათ შორის ქუჩებიც დაიკავა, მერიამ მისივე ნებართვით მოხატული სივრცეები თეთრად გადაღება.¹⁵

ავსტრალიელმა ფილოსოფოსმა მაკენზი ვარკმა შექმნა ვირტუალური გეოგრაფიის კონცეფცია, რომელიც თანამედროვე სამყაროში მედიის მიერ ვირტუალური სივრცის შექმნის პროცესს აღწერს.¹⁶ ომებისა და გლობალური მოვლენების საფუძველზე გაჩენილი მოსაზრება კარგად მიესადაგება გრაფიტიზმს, რომელიც რეალური ქალაქის კედლებზე ქმნის ვირტუალურ სივრცეს. ქალაქის პოლიტიკური ველი სწორედ და, პირველ რიგში, გრაფიტის ვირტუალურ გეოგრაფიაში არსებობს.

ისევე როგორც ინტერნეტში, გრაფიტის შემთხვევაშიც ანონიმურობა საკმაოდ მაღალია. კედლებზე დატოვებული ხელმოწერელი გზავნილები ჰგავს საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციას ან, მეორე შემთხვევაში, სოციალურ ქსელში ინკოგნიტო ანგარიშით გაკეთებულ კომენტარს, რომელიც არა კონკრეტული ადამიანის შეხედულებას, არამედ „ხალხის ხმას“ წარმოადგენს.

თბილისში გრაფიტის ყველაზე დიდი „აფეთქება“ 2022 წელს მოხდა. როგორც ვთქვით, რუსეთ-უკრაინის ომს დაწყების შემდეგ საქართველოში რუსების ძალიან დიდი რაოდენობა შემოვიდა. რამდენიმე თვეში ბინებზე ფასებმა იმდენად მოიმატა, რომ ჯენტრიფიკაციამ შეუძლებადი სახე მიიღო. ხელისუფლებამ ამ პროცესის საწინააღმდეგო ზომებს არ მიმართა.

კედლებზე დატოვებულმა „ხალხის ხმამ“ რეალური შედეგი არ გამოიღო. პროცესის ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პრობლემა თავად საკითხის დასმაში იყო. ჯენტრიფიკაცია რუსმა რელოკანტებმა მხოლოდ გაამძაფრეს, რომელიც საქართველოში დიდი ხნის დაწყებული იყო და რაც სოციალიზმის ალტერნატივად არჩეულმა ეკონომიკურმა მოდელმა განაპირობა.

ქუჩის ხელოვნებაში დომინირებს ლიბერალური დისკურსი, რის გამოც თბილისის „კედლის გაზეთში“ სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების ზუსტი არტიკულაცია არ მომხდარა.

„რუსებო, წადით სახლში“ – ყველაზე გავრცელებული გრაფიტია. ეს იმპერატივი ადამიანების

გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს „სახლში“ დაბრუნებისკენ მოუწოდებს და არაფერ მეტს. ქართულ კედლის მხატვრობაში დეოკუპაციის სურვილსა და ქსენოფობიას შორის განსხვავება მყიფეა და ბუნდოვანი. არ არსებობს დამატებითი შინაარსები, რომლებიც „კედლის გაზეთის“ მკითხველს აუხსნიან, რატომ და რისთვის ითხოვენ რუსების საქართველოდან გაძევებას.

ამასთან, წლების განმავლობაში ბათუმსა და ახლა უკვე თბილისშიც მრავალმა რუსმა, არარეგულირებული „თავისუფალი ბაზრის“ დამსახურებით, კერძო საკუთრება შეიძინა. ამიტომ სახლში დაბრუნებისკენ მოუწოდება, რიგ შემთხვევებში, სრულიად აბსურდულად ჟღერს. სწორედ ლიბერალური და ლიბერტარიანული რეფორმების შედეგად, ერთ-ერთი მონაცემით, ბათუმში კერძო საკუთრების „60–70% ყოველწლიურად იყიდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე“.¹⁷ ლიბერალიზმით ნასაზრდოები ხელოვნება არ სვამს კითხვას, რატომ გახდა უამრავი უცხოელისთვის და მათ შორის, რუსისთვის საქართველო „სახლი“, მაშინ როდესაც უკანასკნელ წლებში ათასობით ქართველი წავიდა ეკონომიკურ ემიგრაციაში უმეტესად საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

თბილისურ გრაფიტიში არ არის დასმული საკითხი, თუ რატომ არ შენდება სახლები ქართველებისთვის, რა განაპირობებს სიდუხჭირეს, როდესაც ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით მდიდარია და წარსულში მძლავრი ინდუსტრიული ეკონომიკა ჰქონდა. რესურსების უმეტესობა დღეს რუსულ კომპანიებს ეკუთვნით, რომლებიც ხელს უწყობენ პლუტოკრატისა და მოსახლეობის გაღარიბებას. სწორედ ლიბერალიზმმა დეკოლონიალიზმის მთავარი მტერი, რომელიც აფერხებს მოსახლეობის გამდიდრებასა და ჯენტრიფიკაციის შეჩერებას. გრაფიტიში, ისევე როგორც თანამედროვე ხელოვნებასა თუ აქტივიზმში ყურადღება გადატანილია კულტურულ ომებზე, ზედაპირულ ანტიკოლონიალიზმზე და ასე შემდეგ.

სიმულაციურებისა და წინააღმდეგობის მუხტის განვლებების ერთ-ერთი მაგალითია წარწერა, რომელიც ძველი თბილისის კედლებზეა გაკეთებული და მოგვიწოდებს პუტინის საფლავზე რეივისკენ (ილუსტრაცია #1). ეს გრაფიტი სრული სისავსით

15 მიწისქვეშა გადასასვლელის მოხატვა გმირთა მოედანზე – ფოტომბავი, 2017.

16 WARK, Virtual, 1994.

17 ბათუმში უძრავი ქონების 60–70% ყოველწლიურად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე იყიდება, წყარო: bm.ge, 2025.

ასახავს ლიბერალურ ცრუ დეკოლონალიზმს. ქართული ლიბერალური ანტიიმპერიალიზმი სიმბოლურ და მითურ მოდუსშია მოქცეული, რისი მიზანიც კულტურული ომის წარმოებაა.

პუტინის საფლავზე ცეკვა მხოლოდ პოეტური სახე არაა, ეს არის დეკოლონური პერსპექტივის დერაციონალიზაცია. რეივი ხშირად იგივეა ვუდუსა თუ პირველყოფილი ადამიანების მაგიურ რიტუალებთან. მტრის ცხედრის შეურაცხყოფა პრიმიტიულ კულტურებში ხშირი იყო. ზოგიერთ ტომში მტრის მოჭრილი კიდურით ან თავით სრულდებოდა რიტუალური ცეკვა.¹⁸ თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მტრის საფლავზე როკვა წარმოადგენს სიმბოლური ძალაუფლების მოპოვების მცდელობას. ძალაუფლება, პიროვნების ავტორიტეტი სიმბოლურ ველში არსებობს. ამაზე წერდა ჟაკ ლაკანი, რომელიც აღნიშნავდა, რომ კანონი, საუბრის აქტი თუ კონტრაქტი – ყველაფერი ეს სიმბოლურ ძალაუფლებაზეა დამყარებული, რისი საწყისიც მამის ფიგურაა.¹⁹ საფლავზე რიტუალური ცეკვა მამის კანონის დარღვევად, ფროიდისეული „დიდი მამის“ მკვლელობად და მასზე სიმბოლურ გამარჯვებად უნდა წავიკითხოთ.

გემოსხენებული გრაფიტის მიხედვით პუტინი „დიდი მამა“, რომლის პოლიტიკური სხეულიც უნდა მოკვდეს. ასევე საყურადღებოა რიტუალის სპეციფიკაც. პუტინიზმის კონსერვატორული ბუნების მოწინააღმდეგე აჯანყებული შვილები რიტუალს „ლიბერალური ცეკვით“ – რეივით ასრულებენ. მეორე მხრივ, ლიბერალურ დისკურსში რეივი სრულიად გამოშიგნული და შინაარსშეცვლილი ფენომენია, რომელშიც პირველსაწყისი მნიშვნელობა დაკარგულია.

1980-იან წლებში დასავლეთში ნეოლიბერალიზმის დეინდუსტრიალიზაციაზე საპასუხოდ გაჩენილი ელექტრონული მუსიკის სუბკულტურა ნაწილობრივ იქცა იდენტობის პოლიტიკის, ანუ კულტურული ომების მოედნად. რეივს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, თუმცა საქართველოში ის ძირითადად აღიქმება „ინდივიდუალური გათავისუფლების აქტად“, ვიდრე ანტიკაპიტალისტურ საპროტესტო ცეკვად.

ბლოგერი გიორგი კიკონიშვილი სტატიაში „ჩვენი დროის BASSIANI“ წერს ქართული რეივის სპეციფიკაზე და ხაზს უსვამს ამ კულტურაში ქვიარ საზოგადოების ხილვადობისა და მიმღებლობის ზრდას.²⁰ გუკი გიუნაშვილის სტატიაში „ღამის კლუბები, როგორც პროტესტისა და სოციალური აქტივიზმის კერა თბილისში“ კლუბ „ბასიანის“ დამფუძნებელი ნაჯა ორაშვილი ქართული რეივ კულტურის სოციალურ პროტესტს მხოლოდ ქვიარ პოლიტიკისა და ქალთა უფლებებს ჭრილში განიხილავს.²¹

დასკვნა

ლიბერალურმა დისკურსმა რეივი პოლიტიკურ-ეკონომიკური დისკურსიდან გათიშა და კონსერვატიზმთან საბრძოლველ იარაღად აქცია. მსგავსი დიფუზია განიცადა ანტიკოლონიურმა მოძრაობამ, რის გამოც საქართველოში დეკოლონიზაციის მომხრეები არ ითხოვენ პოლიტიკურ და რაც მთავარია – ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, განსხვავებით აფრიკული, ლათინური ამერიკისა თუ აზიის ყოფილი კოლონიების მსგავსად, სადაც დეკოლონალიზმი, პირველ რიგში, ქვეყნების რესურსებზე წვდომის მოპოვება-აღდგენას გულისხმობს.

ლიბერალური ანტიკოლონიური პროტესტი საქართველოში ცარიელია. ასეთ პროტესტს „ცარიელი პროტესტი“ შეგვიძლია ვუწოდოთ. კლოდ ლევი-სტროსის ტერმინი „მანა“ საუკეთესოდ ასახავს უშინაარსო ფენომენებს, როგორიც ქართული ლიბერალური დეკოლონალიზმია. „მანა“ მხოლოდ პირობითად გამოხატავს ღვთაებრივ სუბსტანციას, მაგრამ რეალურად არ აქვს კონკრეტული მნიშვნელობა.²² საქართველოში პოლიტიკური დიალექტიკა თითქოს არსებობს, მაგრამ დაცლილია რეალური შინაარსისგან, რადგან არ აქვს დღის წესრიგი, მოთხოვნები და მიზნები.

2023 წელს თბილისის ეროვნულ გალერეაში თანამედროვე მხატვრების გამოფენაზე არტისტმა სანდრო სულაბერიძემ საკუთარ ნამუშევარზე პროტესტის ნიშნად დაწერა ფრაზა „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია“ (ილუსტრაცია

18 MCCALL, DANCING, Africa Today, N3, 2004, pp. 77–93.

19 LACAN, Écrits, 2001, p. 67.

20 კიკონიშვილი, ჩვენი, ინდიგო, 2016.

21 გიუნაშვილი, ღამის, ნეტგაზეთი, 2017.

22 Lévi-Strauss, Introduction, 1987, pp. 63–64.

#3), რომელსაც მალევე სხვა სახელოვნებო მოძრაობებში დაემატა ცნება – „პოლიტიკური“.²³ ჯერჯერობით ქართული ხელოვნება კვლავ ვერ აწარმოებს შინაარსებს, რადგან გარემოს პოლიტიკონომიკური ლინზებით ვერ აფასებს, რის

გამოც საკუთარ არსებობას აყალიბებს. ქართული ხელოვნება დაიბადება მაშინ, როდესაც ცნობიერს შეიძენს და ამით სიცარიელეც ამოივსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგბერაშვილი ე., ბათუმში უძრავი ქონების 60-70% ყოველწლიურად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე იყიდება – G&T-ის მკვლევარი, bm.ge, 2025. <https://rb.gy/a0f5w2> 04/08/2026
- გიუნაშვილი გ., ღამის კლუბები, როგორც პროტესტისა და სოციალური აქტივიზმის კერა თბილისში, ნეტგაზეთი, 12 ივლისი, 2017. <https://rb.gy/12y7lk> 04/08/2026
- კიკონიშვილი გ., ჩვენი დროის BASSIANI, ინდიგო, 17 ივნისი, 2016. <https://rb.gy/u0pykv> 04/08/2026
- მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, აგვისტო, 2022. <https://rb.gy/8up59g> 04/08/2026
- რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულება და აღქმა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბ., 2021. <https://rb.gy/y3o8cj> 04/08/2026
- რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2022. <https://rb.gy/eu5rab> 04/08/2026
- „ხელოვნება ცოცხალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია“ – საქართველოს კინოინსტიტუტი დაფუძნდა, ტაბულა, 30 ნოემბერი, 2023. <https://rb.gy/kji7k6> 04/08/2026
- ჩილაჩავა ნ., რა გავლენა იქონია რუსი მიგრანტების შემოსვლამ საქართველოს ეკონომიკაზე?, ტაბულა, 9 ნოემბერი, 2023. <https://rb.gy/uxg1nz> 04/08/2026
- ჭანია ე., შურღაია თ., ჩიტაია მ., რუსული მიგრაცია და უძრავი ქონების კრიზისი, ანუ რატომ ვეღარ ვქირაობთ ბინას, On.ge, 21 მარტი, 2023. <https://rb.gy/mlq466> 04/08/2026
- ACEMOGLU Daron, ROBINSON James A., Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty, New York, 2012.
- Address by the President of the Russian Federation, February 21, 2022. <https://rb.gy/kvyuur> 04/08/2026
- GUDYNAS Eduardo, Extractivisms: Tendencies and Consequences, In: Reframing Latin American Development, London & New York, 2018.
- KING Isabelle, True Sovereignty? The CFA Franc and French Influence in West and Central Africa, Harvard Review, 18 March, 2022. <https://rb.gy/gnqfo8> 04/08/2026
- LACAN Jacques, Écrits: A Selection, Oxford, 2001.
- LÉVI-STRAUSS Claude, Introduction to the Work of Marcel Mauss, London, 1987.
- MCCALL JOHN CHRISTENSEN, Dancing the Past: Experiencing Historical Knowledge in Ohafia, Nigeria, Africa Today, Vol. 50, N3, 2004.
- RANCIÈRE Jacques, The Politics of Aesthetics: The Distribution of the Sensible, London, 2004.
- REINERT Erik S., How Rich Countries Got Rich... and Why Poor Countries Stay Poor, London, 2007.
- Tbilisi Residential Market: Monthly Watch, TBC Capital, 30 January, 2023. <https://rb.gy/frrwvc> 04/08/2026
- WARK McKenzie, Virtual Geography: Living with Global Media Events, Bloomington, 1994.
- Ленин В. И., Полное собрание сочинений, Издание пятое, том 27, Москва, 1960.
- Чубайс А. Б., Миссия России, Выступление А. Б. Чубайса в Санкт-Петербургском государственном инженерно-экономическом университете, tringer-news.com, 27 Октября, 2003. <https://rb.gy/8vwdex> 04/08/2026

23 „ხელოვნება ცოცხალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია“ – საქართველოს კინოინსტიტუტი დაფუძნდა, ტაბულა, 30 ნოემბერი, 2023.

DE-COLONIAL NARRATIVES IN TBILISI GRAFFITI CULTURE

Giorgi Razmadze

Keywords: Tbilisi graffiti, de-colonialism, virtual geography, liberalism

In recent years, graffiti and stencil culture has become a rather popular phenomenon in Tbilisi. In this mode of urban and anonymous art, the city's walls serve as exhibition spaces, while the public becomes the audience. Givi Margvelashvili referred to graffiti as the city's "wall newspaper." According to him, the author uses the street/wall just as a writer uses a newspaper page. Sometimes, graffiti narratives are mundane, but more often they respond to significant events in the social life of the city or the country.

Unlike other forms of visual arts, graffiti's specificity lies in its short lifespan, making it more political, provocative, uncensored, and free than any other medium. The anonymity of graffiti also links us the tradition of religious art. However, while wall painting in the past was intended to convey sacred content and atmosphere, primarily within building interior, contemporary wall art seeks to sanctify the city through unconventional means. Temporary messages shape the city's visual identity. This transience compels street artists to focus exclusively on current and pressing issues that concern society at a given moment.

One such issue was the large influx of Russian citizens who moved to Georgia after the outbreak of the Russia-Ukraine war. This mass immigration significantly increased the cost of living for locals and triggered social, cultural, and political changes. It was precisely after this period that graffiti and stencils with anti-Russian content became visible in the streets of Tbilisi, messages that, at first glance, were de-colonial in character. This research is dedicated to the study of these anti-colonial narratives and discourses, analyzing the extent to which it is possible and effective to pursue de-colonial politics outside of an ideological framework.

21st-Century Neocolonialism

On February 24, 2022, Russia invaded Ukraine, an act that definitively shattered the already fragile post-World War II order. The Russian Federation declared war on the West, which had been attempting to weaken the aggressor state since the 2014 annexation of Crimea. Through large-scale military operations, Russia reintroduced 19th-century colonialism into international politics in postmodern form, seeking to maintain hegemony not through economic means or so-called soft power, but through coercion.

In the 20th century, colonialism existed mostly in

covert forms. For example, despite gaining independence in the 1960s, many former African colonies remain subjects of economic exploitation. France controls the national currencies of 14 African countries and manages their monetary policies.¹ A similar dynamic exists in post-Soviet republics viewed by the Russian Federation as part of its trade sphere and zone of influence. The war in Ukraine must be understood within the context of this order and the threat of its disruption.

Vladimir Putin is fighting in a neighboring state not only to preserve the Russian empire but also

¹ King, True Sovereignty? Harvard Review, 2022.

to oppose the broader anti-imperialist movement that, however slowly, had begun in the post-Soviet space. Notably, in a televised address delivered days before the war in 2022, Putin referred to Ukraine as a “Soviet fantasy” invented by Lenin.² For him, the only rival in this war is Lenin himself. Many found this passage of the Russian president’s speech perplexing, but an explanation can be found in Lenin’s own works, which designate imperialism as the final stage of capitalism.³ Putin seeks to complete the process initiated by Boris Yeltsin, ensuring the triumph of a capitalist system in Russia that requires post-Soviet republics as its economic lifeline (market).

Following the collapse of the Soviet Union, “wild” or, in other words, “bandit” capitalism took root in Russia. The Russian model of plutocracy reached its final stage of development in the 2010s, leading first to the war with Georgia and later to the invasion of Ukraine.

The onset of the war with Ukraine triggered an unprecedented wave of migration from Russia. In Georgia, among other places, the number of Russian “relocants” (an autonym used by migrants themselves grew geometrically over weeks and months.⁴ They primarily migrated to former Soviet republics: Armenia, Kazakhstan, Georgia, etc.

The migration waves to these countries led to the spread of the Russian world, albeit without military conflict. This process can be termed soft colonialism. The relocants accelerated the process of gentrification in host countries. Real estate prices rose significantly. The increase in rental costs was particularly noticeable and painful in Georgia, leading to deteriorated standards of living for the locals, forcing many to relocate to suburbs. Also, from this period onward, there was a marked increase in the prices of services and products,⁵ which exceeded

the annual inflation rate several times over.⁶

In response to gentrification, de-colonial narratives gained strength in Georgia’s virtual geography, reminding Russian colonizers in various urban spaces that they were the offspring of a blood-stained empire and urging them to leave Georgia. No precise studies of public sentiments have been conducted, but empirical observations suggest that locals directly attributed the sudden price increases to the influx of Russian migrants.

Numerous media reports addressed the connection between Russian migration waves and rising prices,⁷ but they failed to discuss the main issue, i.e. solutions.

Following the collapse of the Soviet Union and, notably the military coup, neoliberalism aggressively took root in Georgia. On September 25, 2003, ahead of Russia’s parliamentary elections, former Finance Minister and co-author of Yeltsin’s neoliberal reforms, Anatoly Chubais (an associate and ideological ally of Yegor Gaidar), first used the term “liberal imperialism.”⁸ This concept implies the construction of a new form of the Russian empire based on the principle of economic freedom. Russia is to gain influence over its former colonies through freedom, though this freedom is, of course, one-sided. For instance, in the economic sphere, Russia selectively opened its market to neighboring countries while expecting its products to flow freely into CIS countries. The same dynamic applies to language, culture, and nearly every aspect of life.

Russian neoliberalism is classical by nature, indistinguishable from Western neoliberalism or imperialism. The World Bank and other international organizations urge developing countries to adhere to the cornerstone of neoliberalism, the open market principle, and secure their own markets through protectionism, a phenomenon thoroughly studied

2 Address by the President of the Russian Federation, February 21, 2022. <https://rb.gy/kvyuur>.

3 Lenin, Complete Works, 1960, p. 302.

4 Data by year is provided in the “Foreign Visitors Statistics” by Sakstat, available at: <https://rb.gy/ahummt>.

5 According to TBC Capital data, in 2022, the cost of renting residential apartments increased by 77%, a historical record. Source: Tbilisi Residential Market: Monthly Watch, TBC Capital, 2023.

6 According to the National Bank of Georgia, annual inflation was 11.5%. Source: Monetary Policy Report, National Bank of Georgia, August 2022, p. 2.

7 Chilachava, What Impact Did the Arrival of Russian Migrants Have on Georgia’s Economy?, Tabula, 2023; Chania, Shurgaia, Chitaya, Russian Migration and the Real Estate Crisis, On.ge, 2023.

8 Chubais, Russia’s Mission, tringer-news.com, 2003.

by Nobel laureate economists Daron Acemoglu and James Robinson.⁹ Erik Reinert also addresses this in his book *How Rich Countries Got Rich... and Why Poor Countries Stay Poor*.¹⁰ The key argument is that wealthy countries keep growing rich at the expense of poor ones banned from adopting the economic models that enabled the wealthier nations' prosperity. While protectionism is permissible for the US and Russia, it is forbidden for Uzbekistan (which Robinson and Acemoglu dedicate a separate chapter to) and Georgia.

TEIMURAZ KEZHERADZE

თეიმურაზ კეჟერაძე არის თეატრმცოდნე, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი და პროფესორი. 1991 წელს დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის (ГИТИС) თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი. პროფესიული საქმიანობა დაიწყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც მსახიობის, ადმინისტრაციული და სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციებზე მუშაობდა. იგი სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა აჭარის კულტურის სფეროს დაწესებულებებს და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2020–2023 წლებში იყო პროფესორი და ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2023 წლიდან კი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი თეატრის ისტორიის, თეორიისა და მართვის საკითხებზე.

Teimuraz Kezheradze is a theatre scholar, Doctor of Art History and Theory, and Professor. He graduated in Theatre Studies from the Lunacharsky State Institute of Theatre Arts (GITIS) in Moscow in 1991. From 2020 to 2023 he served as Professor and Head of the Department of Art Theory and History; since 2023 he has been Rector of Batumi Art State University. He is the author of scholarly works on theatre history, theory, and management.



მაია კიკნაძე
MAIA KIKNADZE

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქართული თეატრის მკვლევარი. 1991 წლიდან დღემდე არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. აკადემიურ თეატრში, სალიტერატურო ნაწილის გამგის მოადგილედ, მიწვეულ პედაგოგად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „ნატო გაბუნია“. არის რედაქტორი წიგნებისა: მაკო საფაროვას მოგონებები „განვლილი გზები და ბილიკები“, ნოდარ გურაბანიძე — „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“, შემდგენელ-რედაქტორია წიგნისა „წერილები თეატრზე“, არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი და კონფერენციის მომხსენებელი.

Doctor of Arts, Associate Professor, researcher of Georgian theatre. Since 1991 she has been a lecturer at the Shota Rustaveli Theatre and Film University of Georgia. She has published the monograph "Nato Gabunia". She is the editor of the books: Memoirs of Mako Saparova "Roads and Paths", Nodar Gurabanidze "Mikheil Tumanishvili Theatre". She is the author of numerous publications and a speaker at various conferences.

ნარინე სარგსიანი არის თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი და ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო დარგის პრორექტორი. ნარინე სარგსიანს თეატრალური განათლების სფეროში ოთხი ათწლეულის პედაგოგიური და აკადემიური გამოცდილება აქვს. ნარინე სარგსიანი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და პროფესიულ ფორუმებში და აქტიურად არის ჩართული თეატრმცოდნეობისა და თეატრალური განათლების განვითარებაში როგორც სომხეთში, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. მისი აკადემიური და პროფესიული საქმიანობა აღნიშნულია არაერთი ჯილდოთი, მათ შორის სომხეთის პრემიერ-მინისტრის მადლობის სიგელით (2004) და მოვსეს ხორენაცის მედლით (2014).

Narine Sargsyan is a theatre scholar, Professor, and Vice-Rector for Academic Affairs at Yerevan State Theatre and Film Institute. Her principal scholarly and professional interests include theatre history, theatre theory and criticism, and theatre education. She graduated with honours in Drama Directing from the Yerevan State Art-Theatrical Institute in 1981. Professor Sargsyan has four decades of teaching and academic experience in theatre education. She is the author of numerous scholarly articles, textbooks, and methodological works in the field of Theatre Studies.



ნარინე სარგსიანი
NARINE SARGSYAN

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. ავტორი წიგნებისა: „შალვა გატსერელია – 80“, „რეჟისორის ჩანაწერები“ და სხვ.

Successfully graduated from the Study of Arts faculty at Shota Rustaveli Theatre and Cinema State University in 1989. Defended her doctoral thesis about “Theatric Aesthetics of director Shota Gatserelia” (2003). Works at Scientific Research Institute after Dimitri Janelidze as a principal researcher. Lecturing since 2008 for the students of different specializations in the following disciplines: “Play reconstruction”, “Theatric metaphor”, “Teaching theatre and its plays”. Author of the books: “Shalva Gatserelia – 80” (2011), “Director’s notes” (2016), “History of Georgian dramaturgy” (2014), “Theatre by Shalva Gatserelia” (2017), etc.



თამარ ქუთათელაძე
TAMAR KUTATELADZE

თეატრმცოდნე, მკვლევარი, ბლოგერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი, ონლაინ პლატფორმა „ქართული თეატრის ელექტრონული არქივის“ – TheatreLife.ge დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ათზე მეტი წიგნისა და 50-მდე კვლევის ავტორი, სისტემატურად მუშაობს პერიოდულ პრესაში და აქვეყნებს წერილებს ქართულ და მსოფლიო თეატრში მიმდინარე პროცესებზე. არის ვასილ კიკნაძის ჯილდოს მფლობელი, სამგზის წლის საუკეთესო თეატროლოგი, კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანების ვიცე პრეზიდენტი.

Doctor of Arts, theatre critic and blogger, Associate Professor of Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Head of the Modern Georgian Theatre Research Centre in Tbilisi, Georgia, Vice president of International union of theatre critics. He works in Caucasus University as a teacher of Contemporary theatre and criticism, He is the author of 10 books and 450 reviews. He is a member of the International University Theatre Association (IUTA) and the International Association of Theatre Critics.



ლაშა ჩხარტიშვილი
LASHA CHKHARTISHVILI



მარინა ხარატიშვილი
MARINA KHARATISHVILI

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თეატრის საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების დარგობრივი სექციის თავმჯდომარე. არის მონოგრაფიის „სარეჟისორო ექსპლიკაციის ფორმები“, სამი სახელმძღვანელოს „მსოფლიო თეატრის ისტორია“ (მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილი) თანაავტორი, 43 საგაზეთო თუ სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იკვლევს რეჟისურის და სათეატრო პედაგოგიკის საკითხებს.

Theatre Critic. PhD in Art Study (Theatre Study), Associate Professor of the Faculty of Arts, Media and Management, Shota Rustaveli State University of Theater and Film, Head of Department Performing and Theoretical Studies of the University Dissertation Council. He is the co-author of the monograph «Forms of Directing Explication», co-author of three textbooks «History of the World Theater» (parts two, three and four), author of 43 newspaper and scientific papers. Researches the issues of directing and theater pedagogy.



იოსიფ ასტრუკოვი
IOSIF ASTRUKOV

იოსიფ ასტრუკოვი არის ბულგარელი მკვლევარი, კინორეჟისორი, ფოტოგრაფი და მულტიმედიური ხელოვანი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების კვლევების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. 2002 წელს დაამთავრა სოფიის უნივერსიტეტი სამედიცინო ფიზიკის სპეციალობით, შემდგომ კი სწავლობდა თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნულ აკადემიაში კინოსა და ტელევიზიის რეჟისურის მიმართულებით, რომელიც 2007 წელს დაამთავრა. 2014 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების კვლევების ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო გამოცემებიდან აღსანიშნავია სადოქტორო კვლევის საფუძველზე შექმნილი VideoDance (2015), Stage and Screen: New Multimedia Performances (2018) და Photography as...-ის მეორე გამოცემა (2023). ასტრუკოვის შემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს კინოს, ფოტოგრაფიის, ლიტერატურასა და ინტერდისციპლინურ ვიზუალურ პროექტებს.

Iosif Astrukov is a Bulgarian scholar, filmmaker, photographer, and multimedia artist. He is an Associate Professor at the Institute of Art Studies, Bulgarian Academy of Sciences. His publications include VideoDance (2015), based on his doctoral research, Stage and Screen: New Multimedia Performances (2018), and the second edition of Photography as... (2023). His creative practice encompasses filmmaking, photography, literature, and interdisciplinary visual projects. Alongside his academic and independent artistic work, he has collaborated on a wide range of creative projects as a director, photographer, cinematographer, and stage lighting designer.



თათია ახალშენაშვილი
TATIA AKHALSHENASHVILI

თათია ახალშენაშვილი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი და ამავე უნივერსიტეტის დოკუმენტური კინოს მიმართულების ასისტენტი. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინო, მისი ისტორიული განვითარება, მხატვრული თავისებურებები და იდეურ-სტრუქტურული მახასიათებლები. აკადემიური საქმიანობის პარალელურად თათია ახალშენაშვილი მუშაობს როგორც დოკუმენტური კინოს რეჟისორი და არის რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ავტორი. კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ურთიერთშეთავსება განსაზღვრავს მის ინტერესს დოკუმენტური კინოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტების მიმართ.

Tatia Akhalshenashvili is a PhD candidate in Film Studies at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, where she also serves as an Assistant in Documentary Film. Her principal research interests focus on contemporary Georgian documentary cinema, its historical development, artistic characteristics, and conceptual and structural features. Alongside her academic work, Akhalshenashvili is a documentary filmmaker and has directed several short documentary films. The combination of scholarly research and creative practice shapes her engagement with both the theoretical and practical dimensions of documentary cinema.

ელეონორა გოგოლაშვილი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი. მას აქვს კულტურის სფეროში საქმიანობისა და კულტურული პროექტების მართვის მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება. მისი აკადემიური საქმიანობა უკავშირდება კინომცოდნეობის სფეროს, ხოლო პროფესიული გამოცდილება მოიცავს კულტურის პოლიტიკისა და კულტურული პროექტების მართვის პრაქტიკულ მიმართულებებს.

Eleonora Gogolashvili is a PhD candidate in Film Studies at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University and Head of the Department of Culture, Sports, Education and Youth Affairs at Kutaisi City Hall. She has extensive professional experience in the cultural sector, particularly in the management of cultural projects. Her academic work is focused on Film Studies, while her professional experience encompasses the practical dimensions of cultural policy and cultural project management.



ელეონორა გოგოლაშვილი
ELEONORA GOGOLASHVILI

ბარბარე კალაიჯიშვილი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი. მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება თანამედროვე ამერიკულ და იტალიურ კინოს, განსაკუთრებული ყურადღებით პიროვნების იდენტობის, მარტოობის, გაუცხოებისა და ფსიქოლოგიური ტრანსფორმაციის საკითხებზე. საბაკალავრო ნაშრომში იგი იკვლევდა უმიზეზო მეამბოხის ფენომენს თანამედროვე ამერიკულ კინოში, ხოლო სამაგისტრო კვლევა მიუძღვნა მარტოობის პრობლემას 1950–1970-იანი წლების იტალიურ კინოში. ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც თანამედროვე ამერიკულ კინოში პიროვნების გაორების საკითხს შეისწავლის. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ბარბარე კალაიჯიშვილი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ვებგვერდთან gfr.ge, სადაც აქვეყნებს ქართული კინოს შესახებ რეცენზიებს.

Barbare Kalaijishvili is a PhD candidate in Film Studies at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. Her research examines contemporary American and Italian cinema, focusing on identity, loneliness, alienation, and psychological transformation. Her bachelor's thesis explored the "rebel without a cause" in American cinema, while her master's research addressed loneliness in Italian films of the 1950s–1970s. Her doctoral dissertation investigates the divided self in contemporary American cinema. She also publishes reviews of Georgian films on the university website gfr.ge.



ბარბარე კალაიჯიშვილი
BARBARE KALAIJISHVILI

გვანტა კუპრაშვილი არის კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი კინომცოდნეობის მიმართულებით. დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი კინომცოდნეობის სპეციალობით. ამავე უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართველი კინორეჟისორები უცხოეთში — კინომიგრაცია, მიზეზები და შედეგები“. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ემიგრირებული ქართველი ხელოვნების შემოქმედებითი მეშვეობით, ქართული კინოს ისტორია და კინომიგრაციის საკითხები. კვლევით საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული კინოსა და თეატრის წარმომადგენელთა საარტივო მეშვეობით შესწავლასა და დამუშავებას. 2013 წლიდან მუშაობს საქართველოს ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმში. თავდაპირველად იყო კინოხელოვნების მიმართულების მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 2017 წლიდან ხელმძღვანელობს მუზეუმის აფიშების ფონდს.

Gvantsa Kuprashvili is a film scholar and holds a PhD in Art History, specialising in Film Studies. She graduated in Film Studies from Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, where she later defended her doctoral dissertation entitled "Georgian Film Directors Abroad: Film Migration, Its Causes and Consequences." Her principal research interests include the creative heritage of Georgian émigré artists, the history of Georgian cinema, and film migration. She is actively involved in the Museum's research, publishing, and exhibition activities. Kuprashvili has extensive research and teaching experience.



გვანტა კუპრაშვილი
GVANTSA KUPRASHVILI



მაია ლევანიძე
MAIA LEVANIDZE

მაია ლევანიძე არის კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 1991 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი. 2002 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული საოპერატორო ხელოვნება: ტრადიციები, ძიებანი“. 1991–2005 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კინოს სექტორში, ხოლო 1993 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2004–2006 წლებში იყო კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი. არის კინოს ისტორიისა და თეორიის საკითხებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი.

Maia Levanidze is a film scholar, Doctor of Art Studies, and Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She graduated from the university's Faculty of Film Studies in 1991 and defended her doctoral dissertation, "Georgian Cinematographic Art: Traditions and Explorations," in 2002. From 1991 to 2005 she worked in the Film Department of the university's Research Centre, and she has taught at several Georgian universities since 1993. She is the author and co-author of scholarly publications and textbooks on film history and theory.



მანანა ლეკბორაშვილი
MANANA LEBORASHVILI

კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ის იყო კინო-კაბინეტის გამგე (1990–1993), სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1993–2006), ასოცირებული პროფესორი (2006–დან დღემდე). კითხულობს ლექციების კურსს თეორიასა და კრიტიკაში, სამღვარგარეთის კინოს ისტორიაში. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე «სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართული კინოს ჟანრული ტენდენციები». არის ავტორი რიგი სამეცნიერო სტატიების, წიგნის: «სამღვარგარეთის კინოს ისტორია. ლექციების კურსი» (2004) და თანაავტორი სახელმძღვანელოსი: „კინოკრიტიკა და თეორია. ფილმის ანალიზის საფუძვლები“. 2016 (ლია კალანდარიშვილთან და მაია ლევანიძესთან ერთად).

Manana Lekborashvili is a film scholar, Doctor of Art Studies, and Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She teaches film theory and criticism and the history of international cinema. In 2005, she defended her dissertation on genre tendencies in Georgian cinema of the 1960s and 1970s. She is the author of scholarly articles and the book History of International Cinema: A Lecture Course, and co-author of the textbook Film Criticism and Theory: Fundamentals of Film Analysis.



ქეთევან ღონღაძე
KETEVAN GHONGHADZE

ქეთევან ღონღაძე არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი. ამავე უნივერსიტეტში მიიღო განათლება კინომცოდნეობისა და კინოს ისტორიის მიმართულებით. ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე „კონტრკულტურა 1960–1970-იანი წლების ამერიკულ კინოში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი — პროფესორი ზვიად დოლიძე). მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა კინოს ისტორია, განსაკუთრებული ყურადღებით ამერიკული კინოს, კონტრკულტურისა და კინოს სოციალურ-კულტურულ კონტექსტთან ურთიერთმიმართების საკითხებზე. იგი არის წიგნის „ბრიტანული უხმო კინო“ (2006) და რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული არაერთი სტატიის ავტორი. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

Ketevan Ghonghadze is a PhD candidate in Film Studies at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, where she also received her academic training in Film Studies and Film History. She is currently working on her doctoral dissertation, "Counterculture in American Cinema of the 1960s–1970s," under the supervision of Professor Zviad Dolidze. Her principal research interests lie in film history, with particular emphasis on American cinema, counterculture, and the relationship between cinema and its broader social and cultural contexts. She has also presented her research at international academic conferences.

მარიან ცუცუი ბალკანეთის კინოს წამყვანი მკვლევარია. 2017 წლიდან ბუქარესტის ჰიპერ-რიონის უნივერსიტეტის კინომცოდნეობის სრული პროფესორია, ხოლო 2014 წლიდან — რუმინეთის აკადემიის ჯორჯ ოპრესკუს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მკვლევარი. 1996–2013 წლებში მუშაობდა რუმინეთის კინოარქივის კურატორად. რუმინულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული აქვს სამი წიგნი: „ძმები მანაკია, ანუ ბალკანეთის სახე“, „რუმინული კინოს მოკლე ისტორია“ და „ორიენტ ექსპრესი: რუმინული და ბალკანური კინო“.

Marian Țuțui is a leading scholar of Balkan cinema. Since 2017, he has been Professor of Film Studies at Hyperion University in Bucharest, and since 2014, a researcher at the George Oprescu Institute of Art History of the Romanian Academy. From 1996 to 2013, he served as curator of the Romanian Film Archive. He has published three books in Romanian and English: *The Manakia Brothers, or the Image of the Balkans*; *A Short History of Romanian Cinema*; and *Orient Express: Romanian and Balkan Cinema*.



მარიან ცუცუი
MARIAN ȚUȚUI

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1982) და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი. იგი არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიული გამოკვლევების: „შალვა ქიქოძე“ (1990); „დიმიტრი შევარდნაძე“ (1998 წ. ქ. ბაგრატიშვილის თანაავტორობით); ასევე, წიგნი-ალბომისა: „რუსუდან ჯავრიშვილი“ (1990); „დიმიტრი შევარდნაძე“ (2001); „შალვა ქიქოძის კულტურული მემკვიდრეობა“ (2005); კატალოგის „თანამედროვე ქართული ხელოვნება“. იგი არის საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი, დაჯილდოებულია — „ღირსების ორდენით“.

Irine Abesadze holds doctorates in Art History and Historical Sciences and is Professor Emerita at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She is the author of approximately 150 scholarly publications, including eight monographic studies. Her books and catalogues address the work of Shalva Kikodze, Dimitri Shevardnadze, Rusudan Javriashvili, and modern Georgian art. She is a board member of the Georgian Artists' Union and has been awarded the Georgian Order of Honour.



ირინე აბესაძე
IRINE ABESADZE

ანა მგალობლიშვილი არის მხატვარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ფერწერის სპეციალობით. 2004 წელს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროებია XIX–XX საუკუნეების საეკლესიო ხელოვნება და ვიზუალური კულტურა. იგი არის წიგნის „საეკლესიო მხატვრობა საქართველოში (1900–1921 წწ.)“ და ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, ანა მგალობლიშვილი აქტიურად მუშაობს როგორც მხატვარი და კურატორი. არის არაერთი სახელოვნებო და საგამოფენო პროექტის კურატორი, მათ შორის: „უხილავი წიგნის პოეტიკა“ (გალერეა „ვანდა“), „ვიზუალური კულტურა და რელიგიური იმპულსები“ (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) და „საეკლესიო ხელოვნება საქართველოში“ (საქართველოს ეროვნული არქივი).

Ana Mgaloblishvili is an artist, art historian, and Professor at Caucasus University. She graduated from the Tbilisi State Academy of Arts with a degree in Painting and received her PhD in Art History in 2004. She has been a scholarship holder at the University of Athens and the Centre for Byzantine and Post-Byzantine Monuments in Greece. Her main research interests include nineteenth- and twentieth-century ecclesiastical art and visual culture. She is the author of the book *Church Painting in Georgia (1900–1921)* and dozens of scholarly publications.



ანა მგალობლიშვილი
ANA MGALOBlishvili



ირმა დოლიძე
IRMA DOLIDZE

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სათეატრო არქიტექტურა საქართველოში უძველესი დროიდან 1921 წლამდე“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშეოში მიმართულების კურატორი. არაერთი მუზეოგრაფიული პროგრამის, სამუშეო კონცეფციის ავტორი და თანაავტორი. გამოცემათა სერიის „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“ – ავტორი (2015–2020 წლებში გამოცემულია ხუთი წიგნი). სამეცნიერო სესიის „ფიროსმანი დღეს“ – ავტორი და კრებულის „ფიროსმანი დღეს“ შემდგენელ-გამომცემელი. ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ (2014 წლიდან) თანაავტორი და განმარტებელი, კრებულის „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ შემდგენელ-გამომცემელი. ათეულობით პუბლიკაციის (მონოგრაფია, წიგნი, კრებული, სტატია) ავტორი და რედაქტორი.

PhD in History of Art, the Head of the Museums and Museum-Reserves Department of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia; the author and co-author of a number of programs and concepts in the Museum studies. The author of the “Museum, History, Artifact” series (5 volumes published in 2015–2020). The “Pirosmeni Today” project leader and the contributor-editor of the “Pirosmeni Today” collection; Irma Dolidze graduated from the department of art history of the Tbilisi I. Javakhishvili State University. Sr.



ეკატერინა კენიგსბერგი
EKATERINA KENIGSBERG

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების ისტორიკოსი, გამოფენებისა და საერთაშორისო საგამოფენო პროექტების კურატორი ბელარუსსა და უცხოეთში, მხატვარი. ბელარუსის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი. მისი ნაშრომები ეძღვნება თანამედროვე ბელარუსულ და უცხოურ სახვით ხელოვნებას. გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი პუბლიკაცია, როგორც ბელარუსში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

An art historian, a curator of exhibitions and international exhibition projects in Belarus and abroad, an artist. The Head of the International Relations Department of the Belarusian State Academy of Arts, Associate Professor. The author of over 300 publications on contemporary Belarusian and international fine art in Belarus and abroad.



გიორგი ფარცხალაძე
GEORGE PARTSKHALADZE

გიორგი ფარცხალაძე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის ასოცირებული პროფესორი. 1996 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ჩარხის სამარჯვების კომპიუტერული პროექტირების საკითხებზე. 1992–1996 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ და ბაარლანდის უნივერსიტეტებში; 1993–1995 წლებში იყო DAAD-ის სტიპენდიატი. ხელმძღვანელობს ინტერდისციპლინურ კვლევით პროექტებს და არის კომპიუტერული გრაფიკისა და პროგრამირების ტექნიკების შესახებ სამი სასწავლო მონოგრაფიის ავტორი.

George Partskhaladze is Associate Professor at the School of Technology, Faculty of Business, Technology and Education, Ilia State University. He earned his PhD from Georgian Technical University in 1996 with a dissertation on computer-aided design of machine-tool fixtures. From 1992 to 1996, he pursued postgraduate studies at Georgian Technical University and Saarland University, where he was a DAAD fellow from 1993 to 1995. He leads interdisciplinary research projects and has authored three teaching monographs on computer graphics and programming techniques.

ეკატერინე კიკნაძე არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობით; 2006 წელს მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ეკა კიკნაძე არის რამდენიმე სამეცნიერო და საკურატორო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. მისი პუბლიკაციები ეხება ქართულ მოდერნიზმს, საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას, იაკობ ნიკოლაძეს, ჰენრიკ ჰრინევსკის, ნიკო ფიროსმანაშვილის სამუზეუმო კოლექციას და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დასავლეთევროპული ხელოვნების კოლექციებს. 2022 წელს დაჯილდოვდა პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის Gloria Artis სამინისტროს მედლით.

Ekaterine Kiknadze is an art historian, PhD, and Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. Her research interests include nineteenth- and twentieth-century Georgian art, imperial and colonial studies, Soviet cultural policy, museum history, cultural memory, architectural heritage, and the institutional history of art. Eka Kiknadze has authored and led several research, exhibition, and cultural heritage projects. Her publications address Georgian modernism, Soviet-period art, Iakob Nikoladze, Henryk Hryniewski, Niko Pirosmiani's museum collection, and the Western European art collections of the Georgian National Museum.

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, 2023 წლიდან არის თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი. 2016 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (BA). 2021 წელს დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 2016-2021 წლებში მუშაობდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. 2022 წლიდან მუშაობს გამომცემლობა „არტანუჯის“ სამეცნიერო მიმართულების პროექტების კოორდინატორად. 2024 წლიდან არის კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. თანაავტორია წიგნი-ალბომებისა: ანატოლი კალგინი 145 (2020) და ეროვნული გალერეა 100 (2020). მისი კვლევის სფეროა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, საბჭოთა პერიოდის სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა.

Master of Arts (MA). Since 2023, he has been a PhD candidate at the Tbilisi Apollon Kutateladze State Academy of Arts. In 2016, he graduated from the bachelor's program (BA) in Art History at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. In 2021, he defended his master's thesis at Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts. Co-author (Main author Gvantsa Berdenishvili) of book-albums: Anatoly Kalgin 145 (2020) and National Gallery 100 (2020). His research topics are Medieval Georgian Architecture, fine arts and architecture of the Soviet period.

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. უძღვება რამდენიმე სალექციო კურსს სამივე საფეხურზე: კოსტიუმის ისტორიას, მსოფლიო ხელოვნების ისტორიას, ქართული ხელოვნების ისტორიას და სხვ. 4 მონოგრაფიის და 1 სახელმძღვანელოს ავტორია, გამოქვეყნებული აქვს 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

Art critic, Assistant-Professor of the Shota Rustaveli Theatre and Film University, Doctor of Arts. Her subject courses are at all three levels of study: History of costume, World Art History, Georgian Art History etc. She has published 4 monographs, 1 coursebook and more than 75 scientific works in Georgia and abroad. She often participates in local and international conferences.



ეკატერინე კიკნაძე
EKATERINE KIKNADZE



დავით ნიორაძე
DAVIT NIORADZE



ლალი ოსეფაშვილი
LALI OSEFASHVILI



გიორგი რაზმაძე
GIORGI RAZMADZE

კინომცოდნე. ჟურნალ „კინოს“ მთავარი რედაქტორი. შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის კინოს ისტორიას. ასევე იკვლევს კინოს თეორიას. მისი ავტორობითა და თანაავტორობით რამდენიმე წიგნია გამოცემული.

Film critic. Editor of magazine KINO. He is a lecturer of film history at the Shota Rustaveli Theatre and Film State University. He also studies the theory of cinema. Giorgi Razmadze is author and co-author of several books.



ქეთევან ოჩხიკიძე
KETEVAN OCHKHIKIDZE

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი. საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების ასისტენტი. 2017 წლიდან ამავე უნივერსიტეტში მონაწილეობს ხელოვნების ისტორიისა და პრაქტიკული სასწავლო კურსების განხორციელებაში, კითხულობს ლექციებს ქართული ხელოვნების ისტორიაში. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა შუა საუკუნეების ქანდაკება. არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების მომხსენებელი, საერთაშორისო პროექტების მონაწილე.

PhD in Art History and Theory. Assistant in the Art History Department at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. Since 2017, she has taught art history and practice-based courses at the university, including lectures on the history of Georgian art. Her primary research interest is medieval sculpture. She is the author of numerous publications, has presented papers at national and international conferences, and has participated in international projects.



შორენა ფხაკაძე
SHORENA PKHAKADZE

შორენა ფხაკაძე არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ქალაქ ქუთაისის №21 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მენტორი მასწავლებელი. იგი არის საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის (იმერეთის) რეგიონული ორგანიზაციის წევრი. შორენა ფხაკაძე არის 30-მდე სამეცნიერო სტატიისა და სხვა აკადემიური პუბლიკაციის ავტორი. მას ეკუთვნის წიგნები „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოკლე გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ და „აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი“. აკადემიური საქმიანობის პარალელურად იგი წერს ლექსებს. მისი პოეტური ნაწარმოებები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში.

Shorena Pkhakadze holds a PhD in Art History and is Assistant Professor at Akaki Tsereteli State University. Pkhakadze is the author of around thirty scholarly articles and other academic publications. Her books include A Concise German–Georgian and Georgian–German Dictionary of Fine and Applied Arts and Abstract Expressionism. Alongside her academic work, Pkhakadze also writes poetry, which has been published in periodicals.

ნათია წულუკიძე არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. იგი არის საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. 2010 წლიდან მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ხოლო 2015 წლიდან ორგანიზებას უწევს ყოველწლიურ კონფერენციას „ფოტოგრაფიული მემართულებები“. არის წიგნის „ქართული ფოტოკონცეპტუალიზმი: ფოტოგრაფიისა და ფერწერის სინთეზი“ და 50-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.


Natia Tsulukidze holds a PhD in Art History and lectures at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She is the founder and director of the Georgian Photography Association. Since 2010, she has participated in national and international academic conferences, and since 2015, she has organised the annual conference Photographic Trends. She is the author of the book Georgian Photoconceptualism: A Synthesis of Photography and Painting and approximately fifty scholarly articles.



ნათია წულუკიძე
NATIA TSULUKIDZE

ქორეოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. დისერტაცია დაიცვა თემაზე „დასავლეთ საქართველოს საცეკვაო დიალექტები (აჭარული, ლაზურ-შავშურის, მეგრული, აფხაზური, რაჭული) და მათი ურთიერთმომართების ძირითადი ეთნოქორეოლოგიური ასპექტები (2019 წ.). წლების განმავლობაში მიჰყავდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიისა და ბალეტის ისტორიის კურსი. არის უნივერსიტეტის ლექტორი ბალეტის ისტორიაში. სამეცნიერო ინტერესები: ქართული და მსოფლიო ქორეოგრაფიის (ხალხური, კლასიკური, სამეჯლისო, „მოდერნი“) ისტორია.

Choreologist, Doctor of Arts, Researcher of the Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the Shota Rustaveli State University of Theater and Film of Georgia. The dissertation was defended on the topic “Dance dialects of Western Georgia (Adjara, Laz-Shavshuri, Megrelian, Abkhazian, Rachuli) and the main ethno-choreological aspects of their relationship” (2019). For years led a course in Georgian folk choreography and history of ballet. Is a university lecturer in the history of ballet. Scientific interests: History of Georgian and world choreography (folk, classical, ballroom, “modern”).



ხათუნა დამჩიძე
KHATUNA DAMCHIDZE

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების დოქტორანტი. დოქტორანტურისა და მაგისტრატურის საფეხურებზე Erasmus + პროგრამით იმყოფებოდა ვენის მუსიკისა და სამემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში. 2016 წლიდან დღემდე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი, ამჟამად აღმასრულებელი პროდიუსერი გადაცემაში „ამ შაბათ-კვირას“, წლების მანძილზე არაერთი პროექტის შემოქმედებითი გუნდის წევრი. მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ელექტრონული, ელექტროაკუსტიკური მუსიკა. არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების მომხსენებელი.

PhD Student at the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. She has participated in the Erasmus+ program while studying for a Master's and PhD at the University of Music and Performing Arts Vienna. The main field of her scientific interests is electronic, electroacoustic music. She is the author of publications and a participant at local and international conferences.



ნია ბარაბაძე
NIA BARABADZE



მარინა ქავთარაძე
MARINA KAVTARADZE

მარინა ქავთარაძე არის მუსიკისმცოდნე-ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიციო ფაკულტეტი. მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუსიკალურ რედაქტორად და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ლექტორ-მუსიკისმცოდნედ. 1978 წლიდან პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მისი კვლევითი ინტერესებია ძველი და ახალი ქართული მუსიკა, საოპერო სინთეზი, კულტურათაშორისი ურთიერთობები და მულტიკულტურალიზმი. არის მრავალი სამეცნიერო სტატიისა და ნარკვევის ავტორი, სამეცნიერო გამოცემების რედაქტორი და კონფერენციების მონაწილე და ორგანიზატორი.

Marina Kavtaradze is a music historian, Doctor of Art Studies, and Professor at the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. She graduated from the Conservatoire's Department of Music Theory and Composition in 1973. Since 1978 she has taught and conducted research at the Tbilisi State Conservatoire. Her scholarly interests include historical and contemporary Georgian music, operatic synthesis, intercultural relations, and multiculturalism. She is the author of numerous scholarly articles and essays, an editor of academic publications, and a participant and organizer of scientific conferences.



ნანა დოლიძე
NANA DOLIDZE

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიის და მას. კომუნიკაციების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მრავალი კულტურული და საგანმანათლებლო კვლევითი პროექტის ინიციატორი და ხელმძღვანელი. მათ შორის ქართული კინომემკვიდრეობის დაბრუნების, დიგიტალიზაციისა და ციფრული რესტავრაციის პროექტის ავტორი. არის არაერთი სამეცნიერო სტატიის და პუბლიკაციის ავტორი კულტურისა და მედიის კვლევების სფეროში. ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, არის მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, მომხსენებელი. კითხულობს ლექციებს დისციპლინებში: „მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, „მედიატექსტის ანალიზის მეთოდები“, „ტელევიზიის განვითარების ძირითადი ტენდენციები“, „კინო და ტელევიზია“ და სხვა.

Ph.D. in Art History. Associate Professor for Media and Mass Communication at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. The initiator and head of numerous cultural and educational research projects, such as being the author for the project that was in charge of returning, digitalizing and digitally restoring the Georgian Film heritage. She is the author of many scientific articles and publications in the field of Culture and Media research.



ბილგე კალკავანი
BILGE KALKAVAN

ბილგე კალკავანი არის ჰასან კალიონჯუს უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. გამოყენებითი ლინგვისტიკის მიმართულებით დოქტორის ხარისხი მოიპოვა Hellenic American University-ში; ასევე აქვს ჰასან კალიონჯუს უნივერსიტეტში მიღებული დოქტორის ხარისხი კომუნიკაციის კვლევებში. მისი განსაკუთრებული სამეცნიერო ინტერესია მედიაკონტენტის დისკურსული და კრიტიკული ანალიზი. საბაკალავრო საფეხურზე ასწავლის მედიაწიგნიერებას, ინტერკულტურულ კომუნიკაციასა და ეფექტურ კომუნიკაციას; სამაგისტრო საფეხურზე — ციფრულ მედიაწიგნიერებას; ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე — კულტურისა და მედიის კვლევებსა და კვლევის მეთოდებს. იგი მონაწილეობდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ინტერაქციის კვლევებს, ინტერკულტურულ კომუნიკაციას, მედიაწიგნიერებას, ციფრულ კომუნიკაციას, კომუნიკაციის ახალ ტექნოლოგიებსა და მეორე ენის ათვისების საკითხებს.

Bilge Kalkavan is an Assistant Professor at Hasan Kalyoncu University. She completed her Ph.D. in Applied Linguistics at Hellenic American University and also holds a doctoral degree in Communication Studies from Hasan Kalyoncu University. She teaches courses on media literacy, intercultural communication and effective communication at the undergraduate level; digital media literacy at the graduate level; cultural studies and media and research methods at both the graduate and doctoral levels. Her research interests include interaction studies, intercultural communication, media literacy, digital communication, new communication technologies and second language acquisition.

თეონა ზედანია არის ჟურნალისტი, რადიოწამყვანი და კულტურული პროექტების ავტორი. იგი მუშაობს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოში და არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „კულტურა მედიაში“ დოქტორანტი. 2006 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი მსოფლიო ისტორიის სპეციალობით და მიენიჭა ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მისი პროფესიული და კვლევითი ინტერესები უკავშირდება მედიისა და კულტურის ურთიერთმიმართებას, რადიოჟურნალისტიკასა და კულტურული პროექტების შექმნას. იგი არის პროექტ „კადანსის“ (2020–2024), საავტორო მუსიკის რადიოფესტივალის „მუსიკა ბათუმშიდან“ და პროექტის „სიმღერა ბათუმზე“ ავტორი.

Teona Zedania is a journalist, radio host, and author of cultural projects. She graduated from the Faculty of Social Sciences at Shota Rustaveli Batumi State University in 2006, specialising in World History and receiving a Master's degree in History. Her professional and research interests focus on the relationship between media and culture, radio journalism, and the development of cultural projects. She is the author of the Kadansi project (2020–2024), the original music radio festival Music from Batumi, and the project A Song About Batumi.



თეონა ზედანია
TEONA ZEDANIA

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიის და მას. კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი მას. კომუნიკაციის და მედიის კვლევების მიმართულებით. კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. საერთაშორისო ჟურნალისტიკური პრემიის „ოქროს ფრთა“ ლაურეატი. მრავალი სატელევიზიო პროექტის და ვიდეოფილმის ავტორი, პროდიუსერი, რეჟისორი და წამყვანი. მრავალი სამეცნიერო სამუშაოს ავტორი. ავტორი სახელმძღვანელოებისა: „ტელე-რადიო ჟურნალისტიკა“ 2008 წ., „სატელევიზიო პროდუსერი“ 2015 წ., მონოგრაფიის „XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა თეატრალური რეფორმის შესახებ (გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდია)“ 2019, კრებულის „კულტურა მედიაში“ (თანაავტორი) 2020.

Doctor of Arts Studies, Head of Media and Mass Communication, Professor of Shota Rustaveli Georgian State University of Theatre and Cinema. Author and supervisor of undergraduate, graduate and doctoral programs in the field of communication and media research. Laureate of Kote Marjanishvili Award. Laureate of the International Journalism Award "Golden Wing". Author, producer, director and presenter of many TV projects and video films. Author of numerous scientific articles and publications in the fields of communication, media research and arts studies.



გიორგი ჩართოლანი
GEORGE CHARTOLANI

ზიუბეიდე გამზე შაჰინი არის ჰასან კალიონჯუს უნივერსიტეტის კომუნიკაციის კვლევების მიმართულების დოქტორანტი. 2014 წელს დაამთავრა გაზიანთეფის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულება, ხოლო 2018 წელს ამავე უნივერსიტეტში მიიღო სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი. პროფესიული საქმიანობის განმავლობაში იგი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა კერძო სკოლებში ფსიქოლოგიურ კონსულტანტად და პროფესიული ორიენტაციის პედაგოგად. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს კომუნიკაციის კვლევებს, გენდერის კვლევებს, მედიისა და კულტურის კვლევებს.

Zübeyde Gamze Şahin is a doctoral student in Communication Studies at Hasan Kalyoncu University. She graduated from the Department of Sociology at the Faculty of Arts and Sciences, Gaziantep University, in 2014. She obtained her Master's degree in Sociology from the same university in 2018. During her professional career, she has worked for over 10 years as a psychological counsellor and guidance teacher in private schools. Her academic research focuses on communication, gender studies, media and cultural studies.



ზიუბეიდე გამზე შაჰინი
ZÜBEYDE GAMZE ŞAHIN

ISSN 2667-9914



9 772667 991007

